

მიხეილ თუმანიშვილის ფონდის პრემია
უცხოური პიესის საუკეთესო თარგმანისთვის

„თარგმნილი პიესა 2014“

ბომარშე

შეშლილი დღე
ანუ
ფიგაროს ქორწინება

ხუმორქმედებიანი
კომედია პროზად

*ჩვენი აზრი და ხუმრობა მსურს გაიგოთ, მეგობრებო:
სამყარო და თვით ბუნება ასე არის მოწყობილი!..*

პირველად დაიდგა „კომედიენ ფრანსე“-ში, („ფრან-
გი კომედიატები“) 1784 წლის 17 აპრილს.

მოქმედი პირნი

გრაფი ალმავეცა, ანდალუზიის უმაღლესი კორეხიდორი*

გრაფინია, მისი ცოლი

ფიგარო, გრაფის მსახური და ციხე-დარბაზის მოურავი

სიუზანი, გრაფინიას პირველი მოახლე და ფიგაროს საცოლე

მარსელინი, მეკუჭნავე

ანტონიო, მეზალე, სიუზანის ბიძა და ფანშეტის მამა

ფანშეტი, ანტონიოს ქალიშვილი

ქერუბინო, გრაფის პირველი პაუი

ბართოლო, სევილიელი ექიმი

ბაზილი, მუსიკოსი, გრაფინიას მასწავლებელი

დონ გუსმან ბრიდ-უაზონი, მოსამართლე

დუბლ-მენი, სასამართლოს მდივანი

სასამართლოს აღმსრულებელი ანუ ალგაზილი

გრიპ-სოლეი, მწყემსი ბიჭი

ახალგაზრდა მწყემსი ქალი

პედრილიო, გრაფის ბაზიერი

მსახურები

გლეხები (ქალები და მამაკაცები)

მოქმედება ხდება სევილიას შემოგარენში, აგუას-ფრესკასის ციხე-დარბაზში.

* კორეხიდორი (corrégidor) – ესპ. უზენაესი მსაჯული (ავტორის შენიშვნა).

პირველი მოქმედება

ნახევრად ცარიელი ოთახი, შუაში დიდი, ეგრეთ წოდებული „სნეულთა სავარძელი“. ფიგარო არშინით* ზომავს იატაკს. სიუზანი სარკის წინ ტრიალებს, კობტაობს და თმაში იმაგრებს ფლორდორანუის რტოს, რომელსაც „პატარძლის თავსაბურს“ უწოდებენ.

პირველი სცენა. ფიგარო, სიუზანი

ფიგარო: ცხრამეტი ოცდაექვსზე.

სიუზანი: ფიგარო, ჩემი ქუდი როგორ მოგნონს? იქნებ, ასე სჯობს?

ფიგარო, ხელს ჰკიდებს: ვერვინ შეგედრება, სულიკო. ო! რარიგ ხარობს შეყვარებულის თვალი, როდესაც ქორწინების წინა დღეს, საცოლის თმაში ამ მშვენიერ რტოს ხედავს, ქალწულებრივი უმანკოების ქვშმარიტ დასტურს.

* უცნაური საგანი საქორწილო საწოლ ოთახში, ერთდროულად ფუნქციონალური (ორი სამალავით) და სიმბოლური. სწორედ ამ „მშვენიერ საწოლს“ შეჰპირდა გრაფი ნეფე-პატარძალს (ავტორის შენიშვნა).

** არშინი – ადლი, 71 სმ (აქ: თავისი ადლით ზომავს).

სიუზანი, ხელს გაითავისუფლებს: რას ზომავ, ონავარო?

ფიგარო: მსურს გავიგო, დაეტევა თუ არა აქ ის დიდებული სანოლი, რომელსაც მისი ბრწყინვალეობა შეგვპირდა.

სიუზანი: ამ ოთახში?

ფიგარო: ესეც გრაფის საჩუქარია.

სიუზანი: ამ საჩუქარს ვერ მივიღებ.

ფიგარო: კი მაგრამ, რატომ?

სიუზანი: იმიტომ...

ფიგარო: მაინც რატომ.

სიუზანი: არ მომწონს და იმიტომ.

ფიგარო: მიზეზი მაინც მითხარი.

სიუზანი: რომ არ გითხრა?

ფიგარო: ო, რარიგ გეხერხებათ, კაცს მოთმინება დააკარგვინოთ.

სიუზანი: თუკი იმის მტკიცებას მოვყვები, რომ მიზეზი მართლაც მაქვს, მაშინ ისიც დასაშვებია, რომ მიზეზი შეიძლება არც მქონდეს. ბოლოს და ბოლოს, ჩემი სურვილების მონა ხარ თუ არა?

ფიგარო: ეს ციხე-დარბაზის ყველაზე მყუდრო ოთახია; ზუსტად გრაფისა და გრაფინიას მოსასვენებლებს შორის, შენ კი ჯიუტობ. შეიძლება, ღამით გრაფინიამ თავი ცუდად

იგრძნოს, ამ ოთახიდან ზარს დაანკარუნებს და თვალის დახამხამებაში მის გვერდით გაჩნდება. თუ გრაფს დასჭიდა, თავის ოთახიდან დარეკავს. სამი ნახტომი, – მეტი არც დამჭირდება, – და წინ ავესვეტები.

სიუზანი: შესანიშნავია! ერთ დილასაც რომ დარეკოს და სადღაც შორს გიკრას თავი! ერთი-ორი და ჩემი ოთახის კარებს მოადგება, თვალის ერთი დახამხამება და სამი ნახტომი... მეტი არც დასჭირდება...

ფიგარო: ამით რის თქმა გსურს?

სიუზანი: ნუ მანყვეტინებ!

ფიგარო: გამაგებინე, რა ბუზმა გიკბინა?

სიუზანი: ახლავე აგიხსნი, ძვირფასო: მის ბრწყინვალეობას, გრაფ ალმავივას მობეზრდა ლამაზმანების აქეთ-იქით უთავბოლო დევნა და ციხე-დარბაზში დაბრუნება გადაწყვიტა. მაგრამ ცოლის რა მოგახსენო, არც გახსენებია. მიმიხვდი? იმასაც ფიქრობს, რომ ეს ოთახი მისი მიზნებისთვის ზედგამოჭრილია. ამას მიჩიჩინებს ყოველ გაკვეთილზე ერთგული ბაზილი, გრაფის ნების მორჩილი აღმსრულებელი და ჩემი პატივცემული სიმღერის მასწავლებელი.

ფიგარო: ბაზილი? ჰმ, ერთი ამას დამიხე-

დე, თუკი მართალია, რომ როზგები ხერხემალს ასწორებს...

სიუზანი: შენ კი, ჩემო კარგო, გეგონა, რომ მზითვს შენი ერთგული სამსახურის გამო გაძლევენ?

ფიგარო: დიახაც, მეკუთვნის და იმიტომ.

სიუზანი: რა სულელები არიან ეს ჭკვიანი ადამიანები!

ფიგარო: ჰო, ასე ამბობენ.

სიუზანი: ამბობენ კია, მაგრამ არც ერთს არ სჯერა.

ფიგარო: ჰოდა, ძალიანაც ცდებიან.

სიუზანი: გაიგე, რასაც გეუბნები. გრაფი მზითევს იმიტომ მაძლევს, რომ ძველი სენიორების ჩვეულებისამებრ მასთან საიდუმლოდ ერთი საათი გავატარო... ამ ჩვეულებისა შენც კარგად მოგეხსენება!

ფიგარო: იმდენად კარგად, რომ მის ბრწყინვალეობას ქორწინებასთან დაკავშირებით ეს სამარცხვინო უფლება რომ არ გაეუქმებინა, შენს ცოლად მოყვანას გულშიც არ გავივლებდი.

სიუზანი: ჰო, ასეა, გააუქმა. მერე კი, ინანა. დღეს ღამით შენს საცოლესთან სწორედ ამ უფლების აღდგენა ისურვა.

ფიგარო, შუბლს ისრეს: ამ მოულოდნელობამ რეტი დამასხა. ო, ჩემი საბრალო შუბლი...

სიუზანი: შენც რა ქავილი აგიტყდა, შეეშვი შუბლს!

ფიგარო: თუ არადა..?

სიუზანი, სიცილით: მუნუკი ამოგიხტება და ჩვენს ცრუმორწმუნეებს მეტიც არ უნდათ.

ფიგარო: გეცინება, არა, ეშმაკის ფეხო! ამ მატყუარას გაბითურება, მახეში გაბმარომ შეგვეძლოს, ფულსაც ბლომად დავცინცლავდით!

სიუზანი: ინტრიგა და ფული შენი მოგონილია.

ფიგარო: სირცხვილი არ მაძარდებს!

სიუზანი: იქნებ, გეშინია?

ფიგარო: სახიფათო საქმის ჩაფიქრება ხუმრობა ნუ გგონია, მთავარია არ გამოგიჭირონ და საქმე წარმატებით დაასრულო. ღამით ოთახში გადაძვრე, დიასახლისს ჩაუწვე და ამდენი ჯაფის მერე როზგები იგემო, ვერაფერი გმირობაა: ეს ბედოვლათების ხვედრია... მაგრამ, აი... (ისმის ზარის წკარუნი.)

სიუზანი: გრაფინიამ გაიღვიძა. მთხოვა, შენი ქორწინების დღეს, პირველად ჩემთან შემოდით.

ფიგარო: მანაც რაიმე ჩაიფიქრა?

სიუზანი: მწყემსმა თქვა, ამას მიტოვებულ-
ლი ცოლებისთვის ბედნიერება მოაქვსო.
აბა, კარგად მეყოლე ჩემო პატარა ფი-ფი-
ფი-გარო! ჩვენს საქმეზე იფიქრე!

ფიგარო: მაკოცე და ტვინი წამს გამინათლება.

სიუზანი: დღეს რომ შეყვარებულს ვაკოცო,
ხვალ ქმარი რას მეტყვის? (ფიგარო ეხვევა.)

სიუზანი: გეყოფა, მორჩი!

ფიგარო: ვერც კი წარმოიდგენ, რარიგ
მიყვარხარ.

სიუზანი: დილიდან სალამომდე ამას მიჩი-
ჩინებ. იქნებ, მორჩე და მეც მომასვენო.

ფიგარო, იდუმალი გამომეტყველებით: მაშინ
მოვრჩები, როდესაც შევძლებ სალამოდან
დილამდე ჩემი სიყვარული დაგიმტკიცო.
(ისევე ისმის ზარის ხმა.)

სიუზანი, შორიდან ჰაეროვან კოცნას უგზავნის
ფიგაროს: მაკოცეო, ხომ მთხოვე, აჰა, ესეც
შენ, ახლა ბარიბარს ვართ!

ფიგარო, გამოედევნება: არაფერი შეგეშა-
ლოს, ჩემი კოცნა კოცნა იყო, ეს კი...

მეორე სცენა. ფიგარო, მარტოა.

ჩემი კუდრაჭა გოგო! მუდამ ცინცხალი, და-

უოკებელი, მხიარული, ლალი, ჭკუამახვილი,
მოყვარული და განცხრომას დანატრებული,
ამასთან სათნო და ზნეკეთილი. (ოთახში ბოლ-
თას სცემს, ხელებს ისრესს.) მაშ ასე, არა, თქვე-
ნო ბრწყინვალეზავ, ძვირფასო გრაფო?! რო-
გორც ჩანს, ადამიანი ერთ ნაბიჯზეც არ უნ-
და გენდოთ! მე კი ტვინი ვიჭყლიტე, მოურა-
ვად დამნიშნა თუ არა, წამს საელჩოში შიკ-
რიკად რად გამამნესა მეთქი? ზედიზედ სა-
მი დანიშნა: თქვენ – დესპანი, მე – დიპლო-
მატიური მოსამსახურე ბიჭი, სიუზანი – გუ-
ლის მპყრობელი ქალბატონი და ჰე, მოუსვი,
შიკრიკო! მე – იქით, თქვენ – აქეთ, პირდა-
პირ ჩემი სანატრელი მეუღლისკენ! მე –
მტვერში ამოგანგლული, არაქათგაცლილი
თქვენდა სამსახურად და სასახელოდ უსას-
რულოდ თავგადაკლული, თქვენ კი ამასო-
ბაში – ჩემი გვარის გასაგრძელებლად შრო-
მაში დახარჯული. საერთო საქმისთვის ღვან-
ლიც ასეთი უნდა! ლამისაა, გული ამიჩუყ-
დეს. მაგრამ მეტისმეტი მოისურვეთ, თქვე-
ნო ბრწყინვალეზავ! ლონდონში თქვენი
მბრძანებლის მიერ დაკისრებულ საქმესაც
ენიოთ და ამავდროულად თქვენი მოსამსა-
ხურის საკეთებელი აკეთოთ, უცხო ქვეყ-

ნის სამეფო კარზე საკუთარი თავიც წარმოაჩინოთ და მეც, თქვენთან ერთად – ო, ამოდენა ტვირთს როგორ აუხვალთ! მეტიმეტი მოგდით-მეთქი, გიმეორებთ. შენ კი, ბაზილ, ჩემო უსუსურო ორეულო, ჩემი ფანდების უნიჭო მიმბაძველო, დამაცადე... გაჩვენებ სეირს... არა, უმჯობესია ორივესთვის ერთი ფანდი მოვიგონო და ერთმანეთს გადავიკიდო! აბა, ბატონო ფიგარო, დღეს ყურადღება არ მოადუნოთ, ასი თვალი და ასი ყური გამოისხით! უპირველეს ყოვლისა, ქორწინება დააჩქარეთ. გულმშვიდად რომ იყოთ, თქვენში ყურებამდე შეყვარებული მარსელინი როგორმე აქაურობას განარიდეთ, ფული და საჩუქრები გადამალეთ, ნუგბარის მოყვარულ გრაფს თავგზა აურიეთ, ბაზილს ერთი წაუთაქეთ და მერე...

მესამე სცენა. მარსელინი, ბართოლო, ფიგარო

ფიგარო, სიტყვას წყვეტს: ამას ვის ვხედავ? აი, ჩვენი სქელუა ექიმიც, ესლა გვაკლდა! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირ-

ფასო ექიმო! ნუთუ მე და სიუზანის ქორწინებაზე გვეახელით?

ბართოლო, აგდებულად: ეს რამ გაფიქრებინათ, ჩემო კეთილო?

ფიგარო: დიდ პატივს დაგვდებდით!

ბართოლო: ეჭვიც არ მეპარება, თუმცა უნდა მოგახსენოთ, ჩემის მხრივ, დიდი სისულელე იქნებოდა.

ფიგარო: თქვენი ქორწილი ხომ მე ჩავშალე?

ბართოლო: სხვა სალაპარაკო არაფერი გვაქვს?

ფიგარო: ახლა თქვენს ჯორს ვინ უვლის?

ბართოლო, გაბრაზებული: აუტანელი ყიამყრალი ბრძანდებით! თავი დაგვანებეთ!

ფიგარო: ბრაზობთ, ექიმო? რა დაუნდობელნი ხართ ეს ექიმები! სულ არ გეცოდებათ საბრალო პირუტყვები... თითქოსდა, მართლაც... მართლაც ადამიანები არიან! მშვიდობით, მარსელინ! ჩემთან სასამართლო დავას ისევ არ იშლით?

„თუ სიყვარული განქარდა, იქნებ ქიშპობას შევეშვათ?“

ექიმის გონიერების იმედი მაქვს.

ბართოლო: რა ბრძანეთ?

ფიგარო: აი, ამას ჰკითხეთ, ყველაფერს

თავს არ ზოგავს. მაგრამ, მთელი საშინე-
ლება ის არის, რომ მოსვენებას არ მაძლევს,
ძველებურად კუდში დამდევეს.

ბართოლო: თქვენს ადგილზე მის არშიყს
დიდი ხნის წინ მოვუღებდი ბოლოს.

მარსელინი: ამას როგორ მოახერხებდით?

ბართოლო: მივთხოვდებოდი.

მარსელინი: ბოროტი და უხამსი ხუმრობაა!
თუ ასეა, ამავე ფასად ჩემს ტანჯვა-წამება-
საც შეგიძლიათ ბოლო მოუღოთ და ცოლად

შემირთოთ. თანაც ეს თქვენი პირდაპირი ვა-
ლია. პირი მიშაღეთ, ხომ ასეა? პატარა ემა-
ნუელი, დავინყებულები სიყვარულის ნაყოფი,
რომელსაც სამუდამოდ უნდა დავეკავშირე-

ბინეთ, ასე ადვილად ამოიგდეთ გულიდან?
ბართოლო, *ქუდს იხდის:* ამ მონაჩმანის მო-
სასმენად მიხმეთ სევილიიდან? სიყვარუ-

ლის ციებ-ცხელებამ შემოგიტიათ?
მარსელინი: კარგი, მოვრჩეთ! თუკი უარს
ამბობთ და ჩემი ცოლად მოყვანა არ

გსურთ, იქნებ სხვას გამაყოლოთ?
ბართოლო: ამას სიამოვნებით გავაკეთებ.
მითხარით, ვინ არის ეს ღვთისა და ქალე-

ბის მიერ განწირული მოკვდავი...
მარსელინი: ვინ იქნება, თუ არა ქალთა გუ-

ლების მპყრობელი, ფიგარო: ლალი და მუ-
დამ მხიარული?..

ბართოლო: ეს ყალთაბანდი?

მარსელინი: გაბრაზებულს ვერასოდეს ნა-
ხავთ, მუდამ კარგ გუნებაზეა, მოუსვენარია,
ანწყობი სიკეთის მეტს ვერაფერს ხედავს,
მომავალზე ფიქრით თავს არ იწუხებს და
არც წარსულს იხსენებს. რომ იცოდეთ, რა
კეთილშობილია, დიახ, დიახ, კეთილშობილი.

ბართოლო: ქურდივით.

მარსელინი: სენიორივით. ერთი სიტყვით,
ვერაფერს დაუწუნებთ. ამასთან ერთად,
საშინელი ურჩხულია!

ბართოლო: სიუზანზე რაღას იტყვი?

მარსელინი: ეს ეშმაკის ფეხი ფიგაროს ვე-
რასოდეს ეღირსება, თუკი, ძვირფასო ექი-
მო, თქვენც მხარში ამომიდგებით და აიძუ-
ლებთ ფიგაროს, ჩემ მიმართ საკუთარი
ვალდებულება აღასრულოს.

ბართოლო: მისი ქორწინების დღეს?

მარსელინი: ქორწინების ჩაშლა ჯვრისწერის
დროსაც შეიძლება. ერთი საიდუმლო მაქვს,
რის გამხელაც, ცოტა არ იყოს, მეშინია...

ბართოლო: ქალებს ექიმისგან საიდუმლო
არაფერი აქვთ...

მარსელინი: თქვენ კარგად იცით, რომ ვერაფერს დაგიმალავთ! ჩვენ, ქალები, მგზნებარენი ვართ, თანაც მორცხვნი. როგორც არ უნდა ვესწრაფოდეთ განცხრომას, შინაგანი ხმა მუდამ ერთს გვკარნახობს: „იყავ მშვენიერი, თუ ძალგის, კდემამოსილი, თუ გსურს, მაგრამ ყოველნაირად ეცადე, კეთილი სიტყვით მოგიხსენიონ.“ და რადგან ასეა, შევეცადოთ, თავდაპირველად სიუზანი შევაშინოთ; მივიდეთ და ვუთხრათ: „ძვირფასო, მთელ ქვეყანას ვამცნობთ, რა შემოთავაზებებს იღებთ მამაკაცებისგან.“

ბართოლო: ამით რას გამოვრჩებით?

მარსელინი: სირცხვილით დაინვება და მის ბრწყინვალეობას უარს სტკიცავს, ის კი, თავის მხრივ, შური რომ იძიოს, დამეხმარება, ფიგაროს ქორწინება ჩავშალო და ამით ჩემი საკუთარი გავინაღდო.

ბართოლო: არადა, მართალს ამბობთ. ეს რა ბრწყინვალე აზრი მოგსვლიათ! ჩემს მოსამსახურეს იმ გაიძვერას მივათხოვებ, რომელიც თანამზრახველებთან ერთად ჩემი საცოლის გატაცებაში მონაწილეობდა...

მარსელინი, ცოცხლად: ...და რომელმაც სა-

კუთარი ბედნიერება ჩემი იმედების ნანგრევებზე ააგო...

ბართოლო: ...და რომელმაც ერთ დღეს ასი ეკიუ დამნაპნა... დღესაც ვერ მომიხელებია.

მარსელინი: ო, ერთი ბედნიერება იქნება...

ბართოლო: ვიგინდარას დასჯა...

მარსელინი: მისი ცოლი რომ გავხდე, ექიმო, მისი ცოლი!

მეხუთე სცენა. მარსელინი, ბართოლო, სიუზანი

სიუზანი, ხელში ბაფთიანი ჩაჩიუკავია, მკლავზე გრაფინიას კაბა აქვს გადაკიდებული: ცოლი რომ გავხდეო? ვისი ცოლი? ჩემი ფიგაროსი?

მარსელინი, იქედნურად: თუნდაც! გასაკვირი არაფერია. აი, თქვენც ხომ მასზე ქორწინდებით?

ბართოლო, იცინის: ქალი თუ გაბრაზდა, მისგან სიმართლეს ნუ ელი! დარწმუნებული ვართ, ქმარს ბედნიერებას მოუტანთ.

მარსელინი: მის ბრწყინვალეობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მასზე დუმილს ვამჯობინებთ.

სიუზანი, ჯდება: მადლობას მოგახსენებთ,

ქალბატონო. თქვენგან მუდამ გადაკრულ სიტყვას ველი.

მარსელინი, მუხლებში იხრება: სამადლობელი არაფერი გაქვთ, ქალბატონო. გადაკრული სიტყვა საიდან მოიტანეთ? განა სამართლიანობა არ ითხოვს, რომ ნეტარების წუთები გულმონყალე გრაფსაც განაცდევინოთ, რათა მანაც შეიგრძნოს იმ სიკეთის შედეგი, რომელსაც ესოდენ გულუხვად გვინანილებს.

სიუზანი: სიკეთეს გვინანილებს?

მარსელინი: რა თქმა უნდა, ქალბატონო.

სიუზანი: საბედნიეროდ, თქვენი ეჭვიანობა და ფიგაროსთან დაკავშირებით თქვენი უფლებების უსაფუძვლობა ყველას კარგად მოეხსენება.

მარსელინი: ისინიც საფუძვლიანი იქნებოდა, თქვენს გზას რომ დავდგომოდი, ქალბატონო.

სიუზანი: ეს გონიერი ქალის გზაა.

მარსელინი: ერთი ამ ანგელოზს დამიხედეთ! უმანკო, ვითარცა ბებერი მოსამართლე!

ბართოლო, მარსელინის წაყვანას ცდილობს: დავემშვიდობოთ ფიგაროს მომხიბვლელ საცოლეს...

მარსელინი, მუხლებში იხრება: და გრაფის იდუმალ სატრფოს.

სიუზანი, მუხლებში იხრება: რომელიც ღრმა პატივს გცემთ, ქალბატონო!

მარსელინი: თუ ასეა, იქნებ ჩემზე გული მოიბრუნოთ, კეთილო ქალბატონო.

სიუზანი: დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ქალბატონო.

მარსელინი, მუხლებში იხრება: მომაჯადოებელი არსება ბრძანდებით, ქალბატონო.

სიუზანი: რა თქმა უნდა, ქალბატონო, იმდენად მაინც, რომ ყოველგვარი იმედი გადაგეწუროთ.

მარსელინი: თანაც, ესოდენ პატივსაცემი.

სიუზანი: ეს სიტყვა ქალიშვილების ძიძებს უფრო მოუხდებათ.

მარსელინი, გაბრაზებული: ძიძებს, არა?

ბართოლო, აკავებს: მარსელინი!

მარსელინი: ნავიდეთ, ექიმო, თორემ არ ვიცი, რას დავმართებ. კარგად მენახოთ, ქალბატონო.

მეექვსე სცენა. სიუზანი, მარტოა.

სიუზანი: გზა დამილოცია, ქალბატონო! გამერიდეთ, აუტანელო არსებავ! თქვენი ხრიკებით ვერ შემაშინებთ, არც თქვენი გადაკრული სიტყვები მალეღვებს. ბორო-

ტი სული! ოდესღაც რაღაც უსწავლია; გრაფინიას სიყმანვილე გაუმწარა, ახლა კი ამ ციხე-დარბაზში ყველას ხელში მოგდება სურს. (კაბასსკამზე ისვრის.) მის გადამკიდეს, დამავინყდა, რისთვის მოვედი.

მეშვიდე სცენა. სიუზანი, ქერუბინო

ქერუბინო, შემორბის: აჰ, სიუზან, ორი საათია დაგეძებ. პირისპირ უნდა გელაპარაკო. ვაგლახ, შენ თხოვდები, მე კი მივემგზავრები.

სიუზანი: ჩემი ქორწინება პირველი პაჟის გამგზავრებასთან რა კავშირშია?

ქერუბინო, საწყალობელი ხმით: სიუზან, გრაფი მაგზავნის.

სიუზანი, ასეთივე ხმით: ქერუბინო, ეტყობა ვილაცამ რაღაც დააშავა.

ქერუბინო: გუშინ სალამოს შენს ბიძაშვილ ფანშეტთან შემისწრო! დღევანდელი ზემისტვის უმანკო ქალიშვილის როლის შესწავლაში ვეხმარებოდი. ჩემს დანახვაზე მრისხანებამ შეიპყრო. „გაეთრიეთ, პატარა...“ შენთან იმ უხეშ სიტყვას ვერ გავიმეორებ, რომლითაც მომმართა – „გაეთრიეთ, ხვალ თქვენი ფეხი არ ვნახო ციხე-

დარბაზში!“ თუკი ძვირფასმა გრაფინიამ, ჩემმა კეთილმა ნათლიამ, ვერ შეძლო მისი დაშოშმინება, მაშ, საშველი აღარ ყოფილა. სიუზან, შენი ხილვის ბედნიერებას ვერასოდეს ველირსები.

სიუზანი: ჩემი ხილვისა? გამოდის ჩემი ჯერიც დამდგარა. გრაფინია ასე სწრაფად დაივიწყეთ? მისთვის აღარ ოხრავთ?

ქერუბინო: ო, სიუზან, რომ იცოდე, რა კეთილშობილია, რა მშვენიერი, მაგრამ რაოდენ უკარება!

სიუზანი: შენ რომ გისმინო, მე ასეთი სულაც არ ვარ და ყველას შეუძლია, როგორც სურს, ისე მომექცეს...

ქერუბინო: კარგად იცი, პატარა ბრაზიანო, რომ საკუთარ თავს ნებას არ მივცემ, რომ... რომ იცოდე, რა ბედნიერი ხარ! შეგიძლია ყოველდღე იხილო, ესაუბრო, დილით ჩააცვა, სალამოს გახადო, კაბას ქინძისთავები ერთმანეთის მიყოლებით ააცალო... ეჰ, სიუზან, რას არ გავიღებდი... ხელში რა გიკავია?

სიუზანი, დამცინავად: ეს ის ბედნიერი ბაფთიანი ჩაჩია, რომელსაც ღამით თქვენი ენით აუნერელი ნათლია იხურავს.

ქერუბინო, ფიცხლად: მისი ბაფთაა! სული-
კო, გევედრები, მომეცი!

სიუზანი, ხელით გვერდზე მისწევს: არც კი
იფიქრო! ჰმ, „სულიკო“! ხედავთ, როგორ
გამიშინაურდა? თუმცა ცხვირმოუხოცავ
ლლას მეტი არც მოეთხოვება! (ქერუბინო
ბაფთას გამოსტაცებს.) არა, მეთქი!

ქერუბინო, სავარძლის გარშემო დარბის: თქვი,
რომ აღარ გახსოვს, სად დადე, ან შემთხვე-
ვით გახიე, ბოლოს და ბოლოს, დაკარგე.
პირველი, რაც თავში მოგივა, ის თქვი.

სიუზანი, ქერუბინოს დასდევს: ღმერთო! ფფი-
ცავ, სამი-ოთხი წელი და თქვენგან მსოფ-
ლიოში ყველაზე დიდი მატყუარა დადგება...
ბაფთა დამიბრუნე. (ცდილობს, წაართვას.)

ქერუბინო, ჯიბიდან რომანსის ნოტებს იღებს:
შემიცოდე, სიუზან, ნუ წამართმევ! სამა-
გიეროდ, ჩემ მიერ შეთხზულ რომანსს მო-
გიძღვნი. მინდა იცოდე, შენს მშვენიერ
ქალბატონზე ფიქრი ჩემი სიცოცხლის ყო-
ველ წამს ტანჯვად აქცევს, შენი გახსენე-
ბა კი ერთადერთი სხივია, რომელსაც ძა-
ლუძს გული გამითბოს.

სიუზანი, რომანსს ხელიდან სტაცებს: გულს
გითბობთ, არა, ეშმაკის ფეხო?! ხომ არ

გგონიათ, რომ ფანშეტს ელაპარაკებით?
თქვენ ეს-ეს არის მის ოთახში თავს წა-
გადგნენ. გრაფინიას ხსენებაზე ოხრავთ
და კვნესით და თან მე მეკურკურებით.

ქერუბინო, ალტყინებული: დიახ, პატიოსნე-
ბას ვფიცავ, სწორედ რომ ასეა! თვითონაც
ვერ გამიგია რა მემართება! ამ ბოლო დროს
მღელვარებას ველარ ვუმკლავდები, ქალის
დანახვაზე გული ყელში მივარდება, სიტყ-
ვები: სიყვარული და ვნება, სულს მიფორი-
აქებს და სევდით მავსებს. ვერ ვიოკებ სურ-
ვილს, ვინმეს ვუთხრა: „მე თქვენ მიყვარ-
ხართ“, საქმე იქამდე მივიდა, მარტო რომ
ვრჩები, ამ სიტყვებს საკუთარ თავს ვუმე-
ორებ. პარკში სეირნობისას ან გრაფინიას
ვეფიცები სიყვარულს, ან შენ, ან ხეებს,
ღრუბლებს, ქარს და ჩემს ამაო ამოძახილს
ქარი ღრუბლებთან ერთად შორეთში მია-
ქანებს. გუშინ მარსელინს გადავეყარე...

სიუზანი, იცინის: ჰა-ჰა-ჰა.

ქერუბინო: სასაცილო რა ვთქვი? თუმცა რას
ვკითხულობ? ქალი, ქალიშვილი ქალიშვი-
ლი! ქალი! ო, რა მათრობელა სიტყვებია! რა-
ოდენი იდუმალეა იმალეა მათ წიაღში!

სიუზანი: ღმერთმანი, გაგიჟდა!

ქერუბინო: ფანშეტი კეთილია, სხვა თუ არაფერი, სიტყვას ყელში არ მჩრის, შენ კი სიკეთის არაფერი გცხია. დიახ, ასეა!

სიუზანი: რას იზამ, თავს ზემოთ ძალა არ არის. იცით რა, ბატონო ჩემო, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ყელში ამომივიდა.

ქერუბინო, ქალს გაურბის და სავარძელს უფლის წრეებს: ვერ მოგართვეს! სიცოცხლის ფასად თუ წამართმევ. თუ არ გეყო, ათას კოცნასაც დავუმატებ. (ახლა ქერუბინო მისდევს სიუზანს.)

სიუზანი, სავარძლის გარშემო დარბის: მომეკარები და ათას ალიყურს მიიღებ. ახლავე გრაფინიასთან გავიქცევი და ყველაფერს მოვუყვები, მერე გრაფს ვეახლები, შენს თხოვნას კი არ გადავცემ, პირიქით, ვეტყვი: „კარგი ქენით, თქვენო ბრწყინვალე ბავ, ეს ქურდბაცაცა თავიდან რომ მოიშორეთ და მშობლებს გაუგზავნეთ ეს ყოვლად უმაქნისი. გრაფინიას შეყვარებულს თამაშობს, საკეკლუცოდ კი ჩემკენ გამორბის, მოსვენებას არ მაძლევს.“

ქერუბინო, შეამჩნევს ოთახში შემოსულ გრაფს და სავარძელს ეფარება: დავილუპე!

სიუზანი: ასე რამ შეაშინა?

მერვე სცენა. სიუზანი, გრაფი, ქერუბინო, სავარძლის უკან

სიუზანი, გრაფს შეამჩნევს: აჰ! (სავარძელთან მიდის და ქერუბინოს ეფარება.)

გრაფი, ქალს უახლოვდება: აღელვებული მეჩვენები, სიუზან. საკუთარ თავს ელაპარაკები და ეტყობა, პანანა გულიც ძალუ-მად გიცემს... თუმცა, კარგად მესმის, განსაკუთრებული დღე დაგიდგა.

სიუზანი, დარცხვენილი: რას ინებებთ, თქვენო ბრწყინვალე ბავ? ერთად რომ გვნახონ...

გრაფი: ვინმემ რომ მოგვისწროს, სასონარკვეთას მივეცემი, მაგრამ შენც ხომ იცი, რარიგ მიყვარხარ. ბაზილმა აგიხსნა ჩემი შენდამი გრძნობა, ზუსტად ერთი წამი მრჩება ჩემი გეგმა რომ გაგაცნო. ყურადღებით მომისმინე. (სავარძელში ჯდება.)

სიუზანი, ცოცხლად: არაფრის მოსმენა არ მსურს.

გრაფი, ხელზე წაეტანება: ერთი სიტყვა მათქმევინე! შენც იცი, რომ მეფე ლონდონში დესპანად მაგზავნის, ფიგაროსაც თან ვი-ახლებ, კარგი სამსახური მოვუნახე და რადგან სადაც ქმარი, იქაც ცოლი...

სიუზანი: ო, სიტყვის თქმის უფლება რომ მქონდეს!

გრაფი, ქალს მიიზიდავს: ილაპარაკე, ილაპარაკე, ძვირფასო, აქედანვე მიეჩვიე, რომ ამიერიდან სამუდამოდ ჩემი გულის მპყრობელი იქნები, მე კი შენი მონა-მორჩილი.

სიუზანი, შეშინებული: არავითარ ძალაუფლებას არ გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალე-ბავ, არც არასოდეს ვისურვებ. თავი დამანებეთ, გთხოვთ!

გრაფი: არა, ჯერ შენი თქვი.

სიუზანი, ბრაზით: აღარც კი მახსოვს, რის თქმას ვაპირებდი.

გრაფი: ცოლის ვალდებულებებზე ვსაუბრობდით.

სიუზანი: გამახსენდა! მას შემდეგ, რაც ექიმს ცოლი ნაართვით და სიყვარულით მასზე დაქორწინდით, მის საამებლად მყისვე გააუქმეთ სენიორის ეს საშინელი უფლება.

გრაფი, მხიარულად: რომელიც ასერიგად ადარდებდა საცოლედ გამზადებულ ქალიშვილებს! სიუზან, მართლაც რომ სასწაულებრივი უფლებაა! შელამებისას პარკში თუ მოხვალ ჩვენი საუბრის გასაგრძელებლად, ამ მცირე საჩუქრის საზღაურად...

ბაზილი, კულისებიდან: მის ბრწყინვალეებას ვერსად ვპოულობ.

გრაფი, წამოდგება: ვისი ხმა ისმის?

სიუზანი: აი, ესეც უბედურება!

გრაფი: მიდი, კარებთან დახვდი, ოთახში ნუ შემოუშვებ.

სიუზანი: თქვენ აქ დარჩებით?

ბაზილი, ყვირის კულისებში: მისმა ბრწყინვალეებამ ეს-ეს არის დატოვა გრაფინიას ოთახი. ახლავე ვიპოვი.

გრაფი: სად დავიმალო? აჰა! სავარძლის უკან... სამარცხვინოა, მაგრამ... სასწრაფოდ თავიდან მოიშორე ეს აბეზარი.

სიუზანი ცდილობს, გზა გადაულობოს, გრაფი კი ფრთხილი მოძრაობით ქალს გვერდით სწევს, სიუზანი გრაფსა და პატარა პაუს შორის ჩადგება, მაგრამ როდესაც გრაფი სავარძლის უკან ჩამუხლვას დააპირებს, ქერუბინო სწრაფად მოსწყდება ადგილს და სავარძელში მოიკუნტება. სიუზანი ქერუბინოს იმ კაბას აფარებს, რომელიც თან მოიტანა და სავარძლის წინ დგება.

მეცხრე სცენა. გრაფი და ქერუბინო, დამალულები, სიუზანი, ბაზილი

ბაზილი: მისი ბრწყინვალეება ხომ არ გინახავთ, ქალბატონო?

სიუზანი, უკმეხად: სად უნდა მენახა? შემეშვით!
ბაზილი, უახლოვდება: ჭკუას თუ მოუხმობთ, ჩემი კითხვა უცნაური არ გეჩვენებათ. გრაფი ფიგაროს ეძებს.

სიუზანი: ესე იგი, ეძებს კაცს, რომელიც თქვენ შემდეგ, მისი ყველაზე დიდი არაკეთილმოსურნეა.

გრაფი, თავისთვის: აბა, ერთი, ბაზილის ერთგულებაც გამოვცადოთ.

ბაზილი: თუკი ცოლისთვის სიკეთე გსურს, ქმარი უნდა მოიძულა?

სიუზანი: თქვენი საზიზლარი ზნეობრივი წესებით, სიძვის მოყვარულს, გამოდის, რომ არა.

ბაზილი: განა იმაზე მეტს გთხოვენ, რისი გაცემაც შეგიძლიათ? ერთობ საამო ჩვეულების წყალობით, ის რაც დღეს გეკრძალებათ, ხვალ ვალდებულებად გექცევით.

სიუზანი: ო, სულმდაბალო ადამიანო!

ბაზილი: ყველა სერიოზულ საქმეთა შორის, ყველაზე სასაცილო ქორწინებაა, ამიტომაც ვიფიქრე...

სიუზანი, გაფიცდება: რაღაც საზიზლრობას მოიფიქრებდით. აქ შემოსვლა როგორ გაბედეთ?

ბაზილი: აბა, აბა, ონავარო! დამშვიდდით! ყოველივე ისე იქნება, როგორც ინებებთ. ნუ იფიქრებთ, რომ გრაფისთვის მხოლოდ ფიგაროა დაბრკოლება. აი, პატარა პაუი რომ არ იყოს...

სიუზანი, გაუბედავად: დონ ქერუბინოს გულისხმობთ?

ბაზილი, გამოაჯავრებს: Cherubino di amore*, რომელიც ფარვანასავით თავს გველვებათ. ამ დილითაც აქ დასეირნობდა და ჩემს წასვლას ელოდებოდა, რათა თქვენს ოთახში შემოპარულიყო. ხომ მართალს ვამბობ?

სიუზანი: მტკნარი სიცრუეა! განვედ ჩემგან, სულს ბოროტო.

ბაზილი: ყოველივე ამის მხილველი, გინდა თუ არა, გაბოროტდები. ყველას რომ უმაღლავს, ის რომანსიც თქვენ გეძღვნებათ?
სიუზანი, გაბრაზებული: ეჭვიც არ შეგეპაროთ.

ბაზილი: რა თქმა უნდა. თუკი გრაფინიას სიყვარულით არ შეთხზა. ჰო, მართლა, ამბობენ, მაგიდასთან რომ ემსახურება, თვალს წამითაც ვერ აშორებს. მაგრამ

*იტალ. სიყვარულის ქერუბინო.

უჯობს, ფრთხილად იყოს. მისი ბრწყინვა-
ლება ასეთ ოინებს არავის პატიებს.

სიუზანი, აღშფოთებული: მხოლოდ ბოროტ
ადამიანს შეუძლია მსგავსი ქორების გავ-
რცელება: საბრალო ბიჭს, რომელსაც მი-
სი პატრონი ისედაც ავი თვალთ უყურებს,
სამუდამოდ დაღუპავთ.

ბაზილი: მე რას მერჩით? ეს ქორი ყველას
პირზე აკერია. მე არ მომიგონებია.

გრაფი, დგება: ყველას პირზე აკერია?

სიუზანი: ღმერთო ჩემო!

ბაზილი: ესეც შენ!

გრაფი: გაიქეცით, ბაზილ, და ქერუბინო
აქაურობას მოაშორეთ.

ბაზილი: რა ეშმაკმა მომიყვანა აქ!

სიუზანი, შეშფოთებული: ღმერთო ჩემო!
ღმერთო ჩემო!

გრაფი, ბაზილს: გული შეუღონდა. სავარ-
ძელში დავასვენოთ.

სიუზანი, ხელის კვრით იშორებს გრაფს: სა-
ვარძელში არ ჩავჯდები! ნუთუ არ გრცხვე-
ნიათ, ასე დაურიდებლად რომ შემომეჭე-
რით ოთახში?

გრაფი: ჩვენ ორს გარდა, აქ სხვა არავინაა,
ძვირფასო. ნუ გეშინია!

ბაზილი: ვნანობ, რომ გაიგონეთ, როგორ
ვთათხავდი პაუს. მსურდა, მისი გულის
ხვაშიადი გამეგო, რადგან მართალი თუ
გნებავთ...

გრაფი: ორმოცდაათი პისტოლი ჩაუჯიბეთ,
ცხენზე შესვით და შინისკენ გზას გაუყენეთ.

ბაზილი: თქვენო ბრწინვალეზავ, ეს ხუმ-
რობა იყო და სხვა არაფერი.

გრაფი: ეს პატარა ნაძირალა გუშინ მეზა-
ლის ქალიშვილთან ერთად გამოვიჭირე.

ბაზილი: ფანშეტთან ერთად?

გრაფი: დიახ, მის ოთახში.

სიუზანი, ბრაზით: თქვენც, თქვენო
ბრწყინვალეზავ, რა თქმა უნდა, რაღაც
საქმე გაკავშირებთ ფანშეტთან.

გრაფი, მხიარულად: ასეთი მახვილგონიერი
შენიშვნები ძალიან მიყვარს.

ბაზილი: სწორი ბრძანებაა. კეთილის მო-
მასწავებელი შენიშვნაა.

გრაფი, მხიარულად: არა, არა. ანტონიოსთვის,
შენი ბიძისთვის, ანუ ჩემი მუდამ გაღეშილი
მეზალისთვის რაღაც უნდა დამევალებინა.
ვაკაკუნებ: შენც არ მომიკვდე, კარს არვინ
მიღებს. შენს ბიძაშვილს სახეზე მიტკლის
ფერი ადევს, ამან დამაეჭვა. გამოველაპარა-

კე, თან ოთახს მოვავლე თვალი. კარებს უკან რაღაც ფარდა უკიდიათ. ფარდის უკან კაბის საკიდარი დგას. მე, თითქოს არაფერიო, ვუახლოვდები და ნელა, სულ ნელა ვწევ ფარდას, სავარძლიდან კაბას იღებს.) და რას ვხედავ... (ამჩნევს პაუს.) ოჰო!

ბაზილი: ესლა გვაკლდა!

გრაფი: რაღა ის ამბავი და რაღა ეს.

ბაზილი: ეს კიდევ უარესი.

გრაფი, სიუზანს: შესანიშნავია, ქალბატონო! ჯერ კიდევ საცოლედ ითვლებით და უკვე ეშმაკობთ? ნასვლასაც იმიტომ მთხოვდით, რომ პაჟთან განმარტოებულიყავით. თქვენი გამოსწორება კი, ჩემო ბატონო, ვერა და ვერ იქნა: ნათლიას პატივისცემა დაივიწყეთ, მის პირველ მოახლეს და თქვენი მეგობრის საცოლეს ეტორღიალებით – სწორედ ესლა გაკლდათ! ვერ მოვითმენ, რომ ფიგარო, რომელიც ასე მიყვარს და რომელსაც პატივს ვცემ, მდაბალი ლალატის მსხვერპლი გახდეს. ბაზილ, ქერუბინო თქვენთან ერთად მოვიდა?

სიუზანი, ბრაზით: ლალატზე და მსხვერპლზე ლაპარაკი ზედმეტია. როდესაც მე-ლაპარაკებოდით, ქერუბინო უკვე აქ იყო.

გრაფი, ფიცხელ: გიჯობდა, ტყუილი გეთქვა. ქერუბინოს მოსისხლე მტერიც კი ვერ გადაყრიდა მსგავს უბედურებას.

სიუზანი: მთხოვა, გრაფინიასთან მიშუამდგომლე, იქნებ გრაფთან ორიოდ სიტყვა შემანიოსო.

გრაფი, განრისხებული: ჯოჯოხეთური ხრიკებია! რაწამს ოთახში ფეხი შემოვდგი, სავარძელში ჩავჯექი.

ქერუბინო: პატივი მაქვს, მოგახსენოთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, შეშინებული და აკანკალებული, სავარძლის უკან ვიმალებოდი.

გრაფი: კიდევ ერთი ტყუილი! მეც სავარძელს ამოვეფარე.

ქერუბინო: მაპატიეთ, თქვენო ბრწყინვალეზავ! მაგრამ, მეც სწორედ იმ წუთს სავარძელში მოვიკუნტე.

გრაფი: რას მიედ-მოედები! ეს გველის წინილი თავის დაძვრენას ცდილობს!

ქერუბინო: პირიქით, თქვენო ბრწყინვალეზავ, ყოველი ღონე ვიხმარე, რათა სიტყვაც არ გამეგონა.

გრაფი: რა ვერაგობაა! (სიუზანს) ფიგაროს ცოლად არ გაყვები.

ბაზილი: დამშვიდდით, თქვენო ბრწყინვალე ბავ, ვილაც აქეთ მოდის.
გრაფი, ქერუბინოს სავარძლიდან დაითრევს და წინ დაიყენებს: ესლა გაკლდა, ყველას თვალწინ, სავარძელში გაიშხლართო!

მეათე სცენა. ქერუბინო, სიუზანი, ფიგარო, გრაფინია, გრაფი, ფანშეტი, ბაზილი; მოსამსახურენი, თეთრებში გამოწყობილი გლეხები.

ფიგარო, ხელში თეთრი ფრთებით და ბაფთებით გაწყობილი ქალის ქუდით, გრაფინიას: თქვენო ბრწყინვალე ბავ! მხოლოდ თქვენ ძალგიძთ ხელი გაგვიმართოთ.

გრაფინია: გრაფ, ხომ ხედავთ, ჩემი გავლენის იმედი აქვთ, რომელიც სამწუხაროდ თქვენზე არ ვრცელდება. მაგრამ მათი თხოვნა ერთობ გონიერი მეჩვენება... იმისთვის, რომ...

გრაფი, შეცბუნებული: თუკი თხოვნა მართლაც კეთილგონიერია...

ფიგარო, სიუზანს, ჩუმად: მხარი ამიბი!

სიუზანი, ფიგაროს, ჩუმად: ვერაფერს გამოვრჩებით.

ფიგარო, ჩუმად: მცდელობით არაფერი დაშავდება.

გრაფი, ფიგაროს: მაინც რას ითხოვთ?

ფიგარო: თქვენო ბრწყინვალე ბავ! თქვენი ვასალები, მადლიერნი, რომ კეთილი ინებეთ და მეუღლის სიყვარულისა და პატივისცემის გამო, გააუქმეთ ერთი ყველასთვის საძულველი უფლება...

გრაფი: მართალია. ეს უფლება წარსულს ჩაბარდა, მერედა რა?

ფიგარო, ეშმაკურად: დაე, ერთხელ და სამუდამოდ, გაბრწყინდეს სათნოება ესოდენ პატივსაცემი ბატონისა! დღეს კიდევ მეტად დავაფასე თქვენი სიკეთე და სათნოებას თქვენსას ჩემს ქორწილში პირველი მე მივუძღვნი სადღეგრძელოს.

გრაფი, ძალიან დაბნეული: გეყოთ, მეგობარო! სამარცხვინო უფლების გაუქმება ღირსების საქმეა. ესპანელს შეუძლია ქათინაურებით თავბრუ დაახვიოს ქალიშვილს, გასაქანი არ მისცეს, მაგრამ ისარგებლოს საკუთარი მდგომარეობით და ქალს, მონა-მხევლის ძღვენივით, ძალით გამოსტაცოს პირველი და უტკბესი ალერსი, – არა, კეთილშობილი კასტილიელის-

თვის ეს სხვა არაფერია, თუ არა უღირსი, ვანდალური ტირანია და ძალმომრეობა! ფიგარო, სიუზანს ხელს უკიდებს: ნება დართეთ ამ უმანკო ქმნილებას, რომლის ღირსებას თქვენი უმნიკვლობაც უდგას მცველად, მიიღოს თქვენგან, ყველას თანდასწრებით, თეთრი ბუმბულით და ბაფთებით განყოფილი საპატარძლოს თავსაბურავი, ვითარცა დასტური თქვენთა ზრახვათა უბინოებისა. მაღლი მოისხით და ქმედება ესე ყველა ახლად დაქორწინებულთათვის ჩვეულებად აქციეთ. დაე, ჩვენმა სიმღერამ, რომელსაც ერთხმად შემოვძახებთ, განადიდოს...

გრაფი, შეცბუნებული: დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, კარგად ვიცი, რომ შეყვარებულთ, მსგავსად მელექსეებისა და მემუსიკეებისა, სიგიჟეებიც ეპატიებათ...

ფიგარო: მეგობრებო, ამყევით!

ყველანი: თქვენო ბრწყინვალე ბავ! თქვენო ბრწყინვალე ბავ!

სიუზანი, გრაფს: თავს ნუ არიდებთ ხოტბას, რომელსაც ჭეშმარიტად იმსახურებთ.

გრაფი, თავისთვის: მზაკვარი!

ფიგარო: თვალნი მიაპყარი, თქვენო ბრწყინვალე ბავ! ხედავთ ჩემს ლამაზ სა-

ცოლეს? სწორედ ის არის თქვენი კეთილმონყალეებისა და თქვენ მიერ გაღებული კეთილშობილი მსხვერპლის ჭეშმარიტი გამართლება.

სიუზანი: ჩემს გარეგნობაზე ნურას ვიტყვით, მხოლოდ და მხოლოდ მისი ბრწყინვალეების სათნოებას მივაგოთ საკადრისი ხოტბა-დიდება.

გრაფი, თავისთვის: აი, თამაშიც ამას ჰქვია!

გრაფინია: ამ განდიდებას მეც ვუერთდები, გრაფ. ნეს-ჩვეულება ჩემთვისაც ძვირფასი საჩუქარია, რადგან მის აღმოცენებას იმ უნაზეს სიყვარულს უნდა ვუმაღლოდეთ, რომელსაც ერთ დროს ჩემდამი განიცდიდით...

გრაფი: ...და ახლაც განვიცდი. ჩემი თანხმობის მიზეზიც ეს არის.

ყველანი: დიდება!

გრაფი, თავისთვის: გავები. (ხმამაღლა) იქნებ მეტი ხიბლისთვის ზეიმი საღამოსთვის გადაგვედო? (თავისთვის) ახლა მარსელინი თუ მიშველის!

ფიგარო, ქერუბინოს: შენ რა ცხვირი ჩამოგიშვია, ონავარო?

სიუზანი: სასიხარულო არაფერი აქვს: გრაფმა შორ გზას გაუყენა.

გრაფინია: გრაფ, იქნებ გადაიფიქროთ და ცოდვა შეუნდოთ?

გრაფი: პატიებას არ იმსახურებს.

გრაფინია: სიყმანვილით მოუვიდა.

გრაფი: არცთუ ისე ახალგაზრდაა, როგორც თქვენ გგონიათ.

ქერუბინო, კანკალებს: თქვენო ბრწყინვალე ბავ, არ მეგონა, რომ გრაფინიაზე დაქორწინების შემდეგ გააუქმეთ სენიორის უფლება გულმონყალედ პატიებისა.

გრაფინია: გრაფმა მხოლოდ ის უფლება გააუქმა, რომელმაც ამდენი უბედურება მოუტანა ჩვენს ქვეშევრდომებს.

სიუზანი: თუკი მისმა ბრწყინვალე ბავ პატიების უფლებაც გააუქმა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მას აღადგენს საიდუმლოდ.

გრაფი, შეცბუნებული: რა თქმა უნდა.

გრაფინია: კი მაგრამ, რატომ?

ქერუბინო, გრაფს: თქვენო ბრწყინვალე ბავ, რა თქმა უნდა, დაუფიქრებლად მოვიქეცი, მაგრამ დარწმუნებული იყავით, არავისთან ზედმეტ სიტყვას არ დავძრავ...

გრაფი, შეცბუნებული: კარგი, გეყოფათ...

ფიგარო: რის თქმას აპირებდა?

გრაფი, სწრაფად: კმარა, კმარა! რაკი ერ-

თხმად ითხოვთ, რომ ვაპატიო, რალა დამრჩენია, თანახმა ვარ; უფრო მეტიც: ჩემი პოლკის ოფიცრად გავამწესებ.

ყველანი: დიდება!

გრაფი: მხოლოდ იმ პირობით, რომ დაუყოვნებლივ გაემგზავრება კატალონიაში, სადაც მისი პოლკია დაბანაკებული.

ფიგარო: თქვენო ბრწყინვალე ბავ, იქნებ, ხვალამდე დარჩენილიყო?

გრაფი, ჯიუტად: ასეთია ჩემი ნება.

ქერუბინო: მზად ვარ!

გრაფი: თქვენს ლამაზმანს გამოემშვიდობეთ და სთხოვეთ, გზა დაგილოცოთ. (ქერუბინო გრაფინიას წინაშე ერთ მუხლზე იჩოქებს, მაგრამ ხმის ამოღება უჭირს.)

გრაფინია, აღელვებული: რადგან გამგზავრებას გაჩქარებენ, გაემგზავრეთ. წინ ახალი მოვალეობები გელოდებათ, რომლებიც კეთილსინდისიერად უნდა აღასრულოთ. ყველას დაუმტკიცეთ, რომ ღირსი ხართ იმ პატივისა, რაც თქვენმა კეთილმა ბატონმა დაგდოთ. არ დაივიწყოთ სახლი, სადაც თქვენს სიყმანვილეს მუდამ მონყალე თვალის უყურებდნენ. იყავით დამჯერი, პატიოსანი, მამაცი. ვინძლო, თქვენი წარმატე-

ბეზით გაგვასხარებთ. (ქერუბინო დგება და თავის ადგილზე ბრუნდება.)

გრაფი: ძალიან ლელავთ, გრაფინია!

გრაფინია: არც უარყოფ. ვინ იცის, რა ელის საბრალო ყმანვილს ხიფათით სავსე ასპარეზზე? ჩემი ნათესავია და თან ნათლული.

გრაფი, თავისთვის: როგორც ჩანს, ბაზილი მართალი იყო. (ხმამალლა) სიუზანს ეამბორეთ... უკანასკნელად.

ფიგარო: რატომ უკანასკნელად, თქვენო ბრწყინვალეებავ? დროდადრო შვებულებით ჩამოვა. მეც მაკოცე, კაპიტანო. (კოცნის.) მშვიდობით გეველოს, ჩემო პატარა ქერუბინო! ამიერიდან შენთვის ახალი ცხოვრება იწყება. ასე, ძმაო, შენს ნებაზე ველარ გაიჯირითებ ქალების ოთახებში. გამოემშვიდობე ფუნთუშებს და ნაირ-ნაირ ნუგბარს. ველარც დამალობანას ან დაჭერობანას ითამაშებ. ეშმაკმა დალახვროს! ყოველივე ამის სანაცვლოდ, ჭუჭყიანი, უხეში, დაძონძილი, ყოჩალი ჯარისკაცები და კიდევ დიდი, მძიმე თოფი; მააარცხნივ, მააარჯვნივ, წინ დიდებისკენ, მაგრამ გაფრთხილდი, გზაში ფეხი არაფერს წამოკრა, თუ არა, ერთი ზუსტი გასროლა და...

სიუზანი: რას ამბობ, რა საშინელებაა!

გრაფინია: კარგად დამოძღვრე!

გრაფი: მარსელინი სადღაა? მიკვირს, აქ რომ ვერ ვხედავ.

ფანშეტი: დავინახე, როგორ ჩაუარა ფერმას და სოფლისკენ მიმავალ შარაგზას გაუყვა.

გრაფი: როდის დაბრუნდება?

ბაზილი: ღმერთმა უწყის...

ფიგარო: დაე, ღმერთმა ინებოს, რომ არასოდეს ინებოს!

ფანშეტი: ბატონ ექიმს მკლავგაყრილი მიჰყვებოდა.

გრაფი, გამოცოცხლებული: განა ექიმიც აქ არის?

ბაზილი: მყისვე ხელი ჩაავლო და აღარ ეშვება.

გრაფი, თავისთვის: დროულად მოსულა.

ფანშეტი: მარსელინს უგუნებობა ეტყობოდა: გზაზე მოაბიჯებდა, თან ხმამალლა ლაპარაკობდა, მერე, სულ ეჩურჩულებოდა და ხელებს ჰაერში ასავსავებდა, აი, ასე... ბატონი ექიმი კი პირზე ხელისგულს აფარებდა, გეყოფა, დანყნარდიო. ეტყობა, მარსელინი რალაცამ გააბრაზა, წამდაუნუმ ჩემს ბიძაშვილ ფიგაროს ახსენებდა.

გრაფი, ნიკაპზე ეხება: მომავალ... ბიძაშვილს.
ფანშეტი, ქერუბინოზე უთითებს: თქვენო
ბრწყინვალეებავ, იმედია გუშინდელი საქ-
ციელი გვაპატიეთ?..

გრაფი, სიტყვას აწყვეტინებს: ამაზე ნუ იღარ-
დებ, ცუგრუმელავ!

ფიგარო: მარსელინს წყეულმა სიყვარულ-
მა აურია გზა-კვალი. ვშიშობ, ზეიმი არ ჩაგ-
ვამნაროს!

გრაფი, თავისთვის: შენ მშვიდად იყავი, ასე
იქნება! (ხმამალლა) ნავიდეთ, გრაფინია. შენ
კი, ბაზილ, ჩემთან შემოდი.

სიუზანი, ფიგაროს: შემომივლი, ჩემო ბიჭო?

ფიგარო, სიუზანს, ჩუმად: რას იტყვი, ნამო-
ვავეთ ანკესზე?

სიუზანი, ჩუმად: ძალიან იყოჩაღე!

მეთერთმეტე სცენა. ქერუბინო, ფიგარო,
ბაზილი (ყველანი იძლებიან, ფიგარო ქერუბინოს
და ბაზილს შეაჩერებს; სამივე სცენაზე ბრუნდება.)

ფიგარო: აბა, ძმებო, ერთი წეს-ჩვეულე-
ბაც დავადგინეთ. ჩემი დღევანდელი ზეი-
მიც ამის დასტური იქნება. თუმცა, შევთან-
ხმდეთ! იმ მსახიობებს ნუ მივბაძავთ, სცე-
ნაზე ძლივს რომ დაბობლავენ, ენას უკიდე-

ბენ და ეს მაშინ, როდესაც კრიტიკა ისედაც
არ სწყალობთ. მერე კიდევ, ჩვენ მხოლოდ
ერთხელ მოგვინევს თამაში! დღეს თუ არ
გამოგვივა, ხვალ ველარაფერს გამოვას-
ნორებთ, ამიტომ, როლები ზედმინევენით
უნდა დავიზუთხოთ.

ბაზილი, ეშმაკურად: ჩემი როლი იმაზე უფ-
რო ძნელია, შენ რომ გგონია.

ფიგარო, ბაზილისგან ფარულად, ხელს გაიქნევს,
თითქოს თავში წამორტყმა სურს: სამაგიეროდ,
ანაზლაურებაც შესაფერისი გელის.

ქერუბინო: მეგობარო, დაგავინყდა, რომ
გზას ვადგავარ?

ფიგარო: დარჩენა ძალიან გინდა?

ქერუბინო: ამას რა კითხვა უნდა? მინდა და
მერე როგორ!

ფიგარო: რაიმე უნდა გავახერხოთ! გამ-
გზავრებამ უხმაუროდ უნდა ჩაიაროს.
მხარზე მოსასხამს გადაიკიდებ, ყველას
დასანახად ბარგს შეკრავ, ჭიშკართან მიბ-
მული ცხენი ყველამ უნდა დაინახოს, მე-
რე, ფერმისკენ გააჭენებ, იქიდან კი შემოვ-
ლითი ბილიკებით, ფეხით უკან დაბრუნდე-
ბი. მისი ბრწყინვალეობა დარწმუნდება, რომ
მართლაც გაემგზავრე. ფრთხილად იყავი,

თვალში არ შეეჩხირო, ქორწილის შემდეგ
კი გულს მოვუღებო.

ქერუბინო: ფანშეტმა საკუთარი როლი
რომ არ იცის?

ბაზილი: შენ რაღას მიკეთებდი? მთელ
კვირას უტრიალებდი და საქმისთვის ვერ
მოიცალე?

ფიგარო, ქერუბინო: დღეს საქმე არაფერი
გაქვს. ასე რომ, კეთილი ინებე და გაისარ-
ჯე. ერთი გაკვეთილი მაინც ჩაუტარე.

ბაზილი: ფრთხილად, ყმანვილო! ფანშე-
ტის მამას თქვენი მეცადინეობა არაფრად
ეპიტნავენა: ერთხელ უკვე ლაზათიანად
მიგტყევა. საქმე დაგავიწყდათ და ერთმა-
ნეთს ეკურკურებით, სანყალ გოგოს, რა-
მე უბედურება არ დაატეხო თავს. „კოკა
შეეჩვია წყაროს...“, ხომ გაგიგია?

ფიგარო: ასეც ვიცოდი! ასწლიანი ანდაზე-
ბის გუდას პირი მოხსნა! აბა, განსწავლულ
ჩერჩეტო, კიდეც რას გვეტყვი ჭკვიანურს?
როგორ თავდება ეგ შენი ხალხური სიბრძ-
ნე? „კოკა შეეჩვია წყაროს...“ მერე, მერე?

ბაზილი: „...ივსება და ერთობ ხარობს.“

ფიგარო, გადის: დახე, არა უშავს რა, ღმერ-
თმანი! სულ მთლად სულელი არ ყოფილა!

მეორე მოქმედება

მდიდრულად მორთული საწოლი ოთახი, შემალ-
ლებულზე ჩარდახიანი დიდი საწოლი. მესამე კუ-
ლისში, მარჯვნივ, კარი; მარცხნივ, პირველ კუ-
ლისში, გრაფინიას ტუალეტის ოთახის კარი. მო-
პირდაპირედ, ქალების ნახევარზე გამავეალი კა-
რი. გვერდით ფანჯარა.

პირველი სცენა. სიუზანი და გრაფინია,
შემოდინ მარჯვენა კარიდან.

გრაფინია, ღრმა სავარძელში ეშვება: კარი მი-
ხურე და ყოველივე წვრილ-წვრილად მო-
მიყევი.

სიუზანი: არაფერს დაგიმაღავთ, ქალბატონო.
გრაფინია: ერთი ეს მითხარი, სიუზან, შენს
ცდუნებას შეეცადა?

სიუზანი: არა, რას ბრძანებთ! მისი ბრწყინ-
ვალება მოახლესთან არშიყს არ იკადრებს;
უბრალოდ, სურდა მოვესყიდე.

გრაფინია: პატარა პაჟიც იქ იყო?

სიუზანი: არა, იცით... სავარძლის უკან იმა-

ლებოდა. ჩემთან ლაპარაკი სურდა. მთხოვა, შენს ქალბატონთან სიტყვა შემანეო.
გრაფინია: პირდაპირ ჩემთან რატომ არ მოვიდა? განა უარს ვეტყვოდი?

სიუზანი: მეც ამას ვუჩიჩინებდი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! სულ იმას იმეორებდა, როგორ უჭირს გამგზავრება და თქვენთან დაშორება: „ოჰ, სიუზან, რა კეთილშობილია, რა მშვენიერი და თან როგორი უკარება!“

გრაფინია: ნუთუ ასეთი მიუდგომელი იერი მაქვს? მუდამ მის მხარეს ვიყავი და ყოველთვის მფარველად ვედექი.

სიუზანი: მერე თქვენი ჩაჩის ბაფთა დაინახა, ჰოდა, ისე გამეტებით მეცა ხელში...

გრაფინია, ღიმილით: ბაფთაო, ამბობ?.. რა ბავშვობაა!

სიუზანი: ნართმევა მოვინდომე, მაგრამ გაბრაზებულ ლომთან რას გავაწყობდი! თვალებს აკვესებდა... ნაზი და წკრიალა ხმა დაიბოხა და „სიცოცხლესთან ერთად თუ წამართმევო“, მითხრა.

გრაფინია, მეოცნებე იერით: მერე, მერე, სიუზან?

სიუზანი: მერე, ის იყო, რომ ვერაფრით მო-

ვისაზრე, ამ ეშმაკის ფეხის მოსათოკად რა გზას დავდგომოდი. ეტყობა იფიქრა, ნათლია ნათლიად, მაგრამ არც ამაზე ვიტყვი უარსო. თქვენგან დაშინებული, თქვენი კაბის კალთასაც ვერ ემთხვევა, ჩემთან კი პირდაპირ კოცნაზე გადმოვიდა.

გრაფინია, მეოცნებე: მორჩა... ამ სისულელეებს მოვეშვათ... ამრიგად, ჩემო კეთილლო სიუზან, ბოლოს და ბოლოს, ჩემმა ქმარმა რა გითხრა?

სიუზანი: ის, რომ თუ გავჯიუტდებოდი, მარსელინს დაუჭერდა მხარს.

გრაფინია, დგება, ბოლთის ცემას იწყებს, თან მარათი იგრილებს სახეს: სულ არაფრად მაგდებს.

სიუზანი: ასერიგად რატომ ეჭვიანობს?

გრაფინია: განა ყველა ქმარი ასე არ იქცევა? ზედმეტი თავმოყვარეობით მოსდით. ჩემი ქარბი სიყვარულის ბრალია. ეტყობა, ჩემი ალერსი მობეზრდა, სიყვარულიც ყელში ამოუვიდა: აი, ჩემი ერთადერთი დანაშაული. შენ მშვიდად იყავი: ეს აღსარება არას გავნებს, გპირდები, ფიგაროს ცოლად გაყვები. ჩვენი შველა მხოლოდ მას შეუძლია. აქ მოსვლას ხომ არ აპირებს?

სიუზანი: გრაფს სანადიროდ წასულს რომ დაიგულეს...

გრაფინია, მარაოს აქნევს: ბაღში გამავალი ფანჯარა გააღე. ვიხუთები!

სიუზანი: ლაპარაკმა და აქეთ-იქით სიარულმა შეგახურათ. (ფანჯარას აღებს.)

გრაფინია, დუმილის შემდეგ: ასე ჯიუტად რომ არ გამირბოდეს... დიახაც. დიახაც, ყველაფერი მამაკაცების ბრალია!

სიუზანი, ფანჯარასთან: აი, მისი ბრწყინვალე-ბაპარკში მიჯირითობს. პედრილიო და ორი... არა, სამი... არა, ოთხი მწვეარი ახლავს.

გრაფინია: დრო ჩვენს ხელშია. (ჯდება.) სიუზან, აკაკუნებენ.

სიუზანი, ღიღინით კარისკენ მივბის: ეს ხომ ჩემი ფიგაროა! დიახ, ჩემი ფიგარო!

მეორე სცენა. ფიგარო, სიუზანი, გრაფინია, ზისსავარძელში.

სიუზანი: ფეხი გამოადგი, მეგობარო! მისი ბრწყინვალეობა სადაცაა მოთმინების ზღვარს გადავა...

ფიგარო: შენ, ცუგრუმელავ?.. მის ბრწყინ-

ვალეებს შეუძლია, მშვიდად იყოს. ჩვენში დარჩეს და ისეთი რა მოხდა? არც არაფერი. გრაფს, აი, ეს გოგონა მოეწონა და სურს ხასად დაისვას, – არაჩვეულებრივს ამაში ვერაფერს ვხედავ.

სიუზანი: ბუნებრივად გეჩვენება?!

ფიგარო: მერე დიპლომატიური შიკრიკის ნოდება მიბოძა, სიუზანი კი საელჩოს მრჩეველად გაამწესა. წინდახედულად მოიქცა.

სიუზანი: მორჩი, ერთი!

ფიგარო: მას შემდეგ, რაც სიუზანმა, ჩემმა საცოლემ, გრაფს უარი უთხრა, გრაფმა მარსელინზე შეაჩერა არჩევანი, რაც ადვილი გასაგებია. იმას, ვინც ხელს გვიშლის, არც ჩვენ ვზოგავთ, – ყველა ასე იქცევა. ჩვენც რალა დაგვრჩენია, მათ უნდა მივბადოთ. აი, სულ ეს არის!

გრაფინია: ამ ჩანაფიქრზე, რომელიც ყველას უბედურებას გვიქადის, ასე ლალად როგორ მსჯელობთ?

ფიგარო: ეს რამ გაფიქრებინათ, ქალბატონო?

სიუზანი: იმის მაგივრად, რომ დაგვამშვიდო და ჭირში გაგვამაგრო...

ფიგარო: ის არ გყოფნით, რომ წამდაუნუმ თქვენს უბედურებაზე ვფიქრობ? მაშ ასე,

მისი ბრწყინვალეების მსგავსად, ჩვენც თანმიმდევრულად ვიმოქმედოთ: პირველ ყოვლისა, ჩვენი საკუთრების დაუფლების სურვილი დავუცხროთ, დავაეჭვოთ, რომ მასაც იგივე ემუქრება.

გრაფინია: სათქმელად ადვილია, მაგრამ საიდან მივუდგეთ?

ფიგარო: პირველი ნაბიჯი გადადგმულია. გრაფინიაზე ყალბი დასმენა...

გრაფინია: ჩემზე ამბობთ? გაგიჟდით?

ფიგარო: მე არა, აი, მისი ბრწყინვალეებისა კი რა მოგახსენოთ.

გრაფინია: ისედაც ეჭვიანობს.

ფიგარო: მით უკეთესი. ასეთი ადამიანის გამოსაჭერად, საკმარისია სისხლი ცოტა ავუდულოთ. ასეთი რამ ქალებს ადვილად ეხერხებათ. ტვინი რომ გაუხურდება, სულ მცირე სასიყვარულო ინტრიგა და მეტიც არ უნდა, ცვილივით მორჩილი გახდება. თუ ისურვებთ, გვადალკვივირში დაუფიქრებლად თავით გადაეშვება. ჩემს ნაცნობს ბაზილთან ბარათი გავატანე, რომელიც მის ბრწყინვალეებას ამცნობდა, რომ დღეს, მეჯლისზე, უცნობი თაყვანისმცემელი თქვენთან შეხვედრას მოინადინებდა.

გრაფინია: როგორ არ გრცხვენიათ პატიოსანი ქალის ღირსების ესოდენ დამცირება?

ფიგარო: არც ერთ ქალს ამას არ ვაკადრებ. ვაითუ, მიზანში გავარტყა!

გრაფინია: ასეთი დაფასებისთვის მადლობას მოგახსენებთ.

ფიგარო: ნუთუ არ მოგწონთ ჩემი ჩანაფიქრი? გრაფს ისეთ ამბავს დავმართებთ, რომ ჩემს ცოლთან საამო დროის გატარების ნაცვლად, იძულებული იქნება, ამქვეყნად ყველაფერი დაივიწყოს და საკუთარს სდიოს. ეს კი არადა, ახლაც არ იცის, რა გზას დაადგეს. იმ ერთს გამოეკიდოს, თუ ამ მეასეს უთვალთვალოს? შეხედეთ, შეხედეთ! აი, აფორიაქებული და ტვინარეული ცხენს მინდორში მიაჭენებს და უდანაშაულო კურდღელს წირვის გამოყვანას უპირებს. ამასობაში ჩვენი ქორწინების დროც დაუოკებელი სისწრაფით ახლოვდება, ასე რომ ჩვენ წინააღმდეგ რამე თუ ჩაიფიქრა, მაინც ვერაფერს მოასწრებს; მით უმეტეს, გრაფინიას თანდასწრებით, თითსაც ვერ გაანძრევს.

სიუზანი: გრაფისა გასაგებია, მაგრამ ჭკუის კოლოფი მარსელინი, რაც არ უნდა მოხდეს, თავისას არ დაიშლის.

ფიგარო: მეც ეს მაშინებს. მის ბრწყინვალეებას როგორმე აცნობე, რომ სალამოს ბაღში შეხვდები.

სიუზანი: ჩემს იმედზე ხარ?

ფიგარო: რა თქმა უნდა. მერნმუნეთ, ადამიანი, რომელსაც არაფრისგან არაფრის შექმნა არ შეუძლია, წარმატებას ვერასოდეს მიაღწევს და მასზე ლაპარაკიც არ ღირს. მე ასე ვფიქრობ.

სიუზანი: მახვილგონივრული აზრია!

გრაფინია: ისევე როგორც გეგმა. გრაფთან პაემანზე გაუშვებთ?

ფიგარო: გრაფს ამის იმედი ნუ ექნება: ვინმეს სიუზანის კაბას გადავაცემევ. აზრზე მოსვლასაც ვერ მოასწრებს, ისე გაებმება მახეში.

სიუზანი: ჩემს კაბას ვის ჩააცმევთ?

ფიგარო: ქერუბინოს.

გრაფინია: ქერუბინო ახლა გზაშია.

ფიგარო: არა მგონია. ნებას მაძლევთ, ჩემს ნებაზე ვიმოქმედო?

სიუზანი: ინტრიგების ხლართვაში ფიგაროს ტოლი არ მოეძებნება.

ფიგარო: ერთი, ორი, სამი ხრიკი ერთმანეთს გადაებმება და გადაეხლართება. მეფის კარის დიდებულად ვარ გაჩენილი.

სიუზანი: ამბობენ, რთული ხელობააო.

ფიგარო: მიღება, აღება, თხოვნა: აი, სულ ეს არის, რაც არის. ამ სამ სიტყვაშია ხელობის მთელი საიდუმლო.

გრაფინია: ისეა დარწმუნებული წარმატებაში, რომ მეც იმედი მომეცა.

ფიგარო: ჩემი მიზანიც ეს არის.

სიუზანი: ესე იგი, რას ამბობდი?

ფიგარო: იმას, რომ სანამ მისი ბრწყინვალეობა სანადიროდაა, ქერუბინოს გამოგიგზავნით – თმა კარგად დავარცხნეთ და ლამაზად გამოპრანჭეთ, მე კი დავმალავ და თან ჭკუას დავარიგებ. მერე კი, მის ბრწყინვალეებას ჩემს დაკრულზე ვაცეკვებ.

მესამე სცენა. სიუზანი, გრაფინია, ზის.

გრაფინია, ხელში ფერ-უმარილის ყუთი უკავია: ღმერთო ჩემო, სიუზონ, რას ვგავარ!.. სადაცაა, ის ყმანვილი მოვა!..

სიუზანი: ქალბატონო, გსურთ, მუდამ თქვენი ხიბლის ტყვეობაში ამყოფოთ? **გრაფინია,** ფიქრებში წასული სარკეში იცქირება: მე მსურს? აი, ნახავ, რა დღეს დავაყრი!

სიუზანი: მოდიტ, რომანსი ვამღეროთ. (ნოტებს გრაფინიას მუხლებზე უდებს.)

გრაფინია: თმაც როგორ ამეწენა!..

სიუზანი, იცინის: ამ ორ კულულს ზემოთ ავწევ და მორჩა. ახლა უკვე შეგიძლიათ, რამდენიც გნებავთ, იმდენი თათხოთ.

გრაფინია, აზრს იკრებს: რაო, რა თქვით, სულიკო?

მეოთხე სცენა. ქერუბინო, დარცხვენილი, სიუზანი, გრაფინია, ზის.

სიუზანი: მობრძანდით, ბატონო ოფიცერო, გელოდებიან!

ქერუბინო, ახლოვდება, კანკალებს: რომ იცოდეთ, როგორ არ მიყვარს, ასე რომ მომმართავენ! წამს მახსენდება, რომ სულ მალე ციხე-დარბაზი უნდა დავტოვო... და ჩემს ნათლიას უნდა დავშორდე.

სიუზანი: კეთილს და მშვენიერს.

ქერუბინო, ორივეს: დიახ, დიახ!

სიუზანი, გამოაჯავრებს: „დიახ, დიახ.“ ზნეკეთილი, ეშმაკურად გრძელწამწამა ყმან-

ვილი! ახლა კი, ჩემო ბულბულო, გრაფინიას რომანსი უმღერეთ!

გრაფინია, ნოტებს გადაშლის: რომანსი ვინ შეთხზა?

სიუზანი: ხედავთ, საკუთარი თავი გასცა: ყაყაჩოსავით განითლდა.

ქერუბინო: ქალის გაღმერთება ვინ დაგვიშალა?

სიუზანი, ცხვირთან მუშტს მიუტანს: ახლავე ყველაფერს დავფქვავ... ცრუპენტელავ!

გრაფინია: იქნებ, ბოლოს და ბოლოს, გვიმღეროს?

ქერუბინო: ძალიან ვღელავ, ქალბატონო! **სიუზანი,** სიცილით: აბა, აბა! თუ გრაფინიას თქვენი მოსმენა სურს, ჩემო მოკრძალებულ ავტორო, აკომპანემენტს ახლავე გა-ახლებთ.

გრაფინია: ჩემო პატარავ, აიღე. (გრაფინია ნოტებს უყურებს. სიუზანი სავარძლის უკან დგას, გრაფინიას მხარზემოდან რვეულს ჩასცქერის და დაკვრას იწყებს. პატარა პაუი, თვალებდახრილი, გრაფინიას წინ დგას. სცენა ვანდოოს დიდებულ ნახატს, „ესპანელების საუბარს“, გვახსენებს.)

რომანსი

პირველი კუპლეტი

მირბის, მიმაფრენს მე ჩემი რაში,
სულში სიბნელე, სევდად ჩაღვრილი.
ტრიალი ველი, არცა რამ ბუჩქი,
მიშვებული აქვს მერანს აღვირი...

მეორე კუპლეტი

მიშვებული აქვს მერანს აღვირი,
არ ამცდა ტანჯვა, არ ამცდა გვემა
და მწარე ფიქრი გამიჯდა ტვინში:
მე მიმატოვა ნათლიამ ჩემმა.

მესამე კუპლეტი

მე მიმატოვა ნათლიამ ჩემმა,
ტანჯვამ დაატყო ჩემს გულს იარა,
ხეზე დავწერე სახელი მისი
და... ჰა, ხელმწიფემ ჩამოიარა.

მეოთხე კუპლეტი

და... ჰა, ხელმწიფემ ჩამოიარა;
მე კი მორჩილი და უბრად მდგარი,
ვუსმენ დედოფლის ეშმაკურ კითხვას:
„ნეტავ, რა სევდამ გქნა ამდაგვარი?“

მეხუთე კუპლეტი

„ნეტავ, რა სევდამ გქნა ამდაგვარი,
ხომ არ დაკარგე შეყვარებული?“
და მე ვპასუხობ: „რამ გამახაროს?
ნათლიას ტრფობამ დანაცრა გული.“

მეექვსე კუპლეტი

ნათლიას ტრფობამ დანაცრა გული,
გავიჭერ ველად, მარტოდ მარები.“
ის კი მპასუხობს: „დასძლიე სევდა,
მაღალ ღმერთს ვფიცავ, დაგეხმარები.“

მეშვიდე კუპლეტი

„მაღალ ღმერთს ვფიცავ, დაგეხმარები!
დაე, ვერ გძლიოს ურვამ და ნყენამ,
ჰა, შენ, ელენე, ტურფა ასული,
ერთობა თქვენი აკურთხოს ზენამ!“

მერვე კუპლეტი

„ერთობა თქვენი აკურთხოს ზენამ!“
და მე პასუხად: „ოი, სირცხვილო,
ჩემს სათნო სატრფოს ვით ვუღალატო...
მზად ვარ გამოგყვე, მოველ სიკვდილო!“

გრაფინია: ჭეშმარიტ გრძნობას რომ უხ-
დება, სწორედ ისეთი გულწრფელობაა!

სიუზანი, გიტარას სავრძელზე დებს: გრძნობას რაც შეეხება, ყმანვილო... ჰო, მართლა, ბატონო ოფიცერო, მინდა იცოდეთ, რომ დღევანდელი საღამოს მხიარულად გატარებას ვაპირებთ და ამიტომ გვსურს, ამთავითვე ვიცოდეთ, მოგიხდებათ თუ არა ჩემი კაბა?
გრაფინია: არა მგონია.

სიუზანი, გვერდით ამოუდგება: ერთი სიმალლის ვართ. ჯერ ერთი, მოსასხამი გაიხადეთ. (ღიღებს უხსნის.)

გრაფინია: ვინმემ რომ შემოგვისწროს?

სიუზანი: რამე ცუდს ვაკეთებთ? კარს ჩავკეტავ. (კარისკენ გარბის.) ახლა ქუდზე ვიფიქროთ.

გრაფინია: აი, იქ, ტუალეტის მაგიდაზე, ჩემი ჩაჩი დევს. (სიუზანი ტუალეტის ოთახში გადის.)

მეხუთე სცენა. ქერუბინო, გრაფინია, ზის.

გრაფინია: მეჯლისამდე, გრაფს არ ეცოდინება, რომ თქვენ ციხე-დარბაზში იმყოფებით. მერე ავუხსნით, რომ სანამ სამსახურში გამწესების ბრძანებას ამზადებდნენ, ვიფიქრეთ, რომ...

ქერუბინო, ფურცელს აჩვენებს: არაფერი გამოგვივა. ბრძანება მაქვს, აი ისიც! გრაფმა ბაზილის ხელით გადმომცა.

გრაფინია: როგორ მოასწრო? ნუთსაც არ გიტოვებთ. (კითხულობს ბრძანებას.) ისე ჩქარობდნენ, რომ ბეჭდის დასმა დაავინყდათ.

მეექვსე სცენა. ქერუბინო, გრაფინია, სიუზანი

სიუზანი, გამოდის, ხელში ჩაჩი უკავია: ბეჭედი? რა ბეჭედი ახსენეთ?

გრაფინია: ბრძანების ბეჭედი.

სიუზანი: ბრძანება მზად არის?

გრაფინია: საქმეც ეს გახლავთ! ჩემი ჩაჩია?

სიუზანი, გრაფინიას გვერდით ჯდება: დიახ, ყველაზე ლამაზი შევარჩიე. (ღიღინებს, ხელში ქინძისთავეები უკავია.)

აბა, ასე, აბა, ისე, მოდი ერთი, კიდევ გნახო, მეგობარო, ნუ იბნევი, კარგად უნდა დაგვენახვო.

(ქერუბინო სიუზანის წინ ჩაიმუხლებს, ქალი თმას უვარცხნის.)

ქალბატონო! ხედავთ, რა ლამაზად გამოიყურება!

გრაფინია: საყელო შეუსწორე, ქალისას დაამსგავსე.

სიუზანი, საყელოს უსწორებს: ესეც ასე... ერთი ამ ღლაპს დამიხედეთ, რა კარგი ქალიშვილი გამოვიდა! (ნიკაპზე ხელს ჰკიდებს.) კარგი, კეთილი ინებეთ და იმყოფინეთ ამდენი სილამაზე, მეტიმეტი არ მოგივიდეთ!

გრაფინია: რას აუხირდი, სიუზან?! სახელოები აუწიე, მანუეტები გამოუჩინე! (სახელოებს უწევს.) ხელზე რა უკეთია? ბაფთა?

სიუზანი: თანაც თქვენი! მიხარია, რომ დაინახეთ. გავაფრთხილე, ავდგები და გრაფინიას ყველაფერს ვუამბობ-მეთქი. მისი ბრწყინვალეობა რომ არ შეგვსწრებოდა, ნამდვილად წავართმევდი: ჩემზე ძლიერი არ უნდა იყოს!

გრაფინია: ბაფთაზე სისხლის ლაქებია. (ბაფთას მოიხსნის.)

ქერუბინო, შეცბუნებული: დილით, აქეთ რომ მოვდიოდი, ცხენს ვკაზმავდი: უცებ თავი გააქნია და აღვირმა ხელი გამიკანრა.

გრაფინია: მერედა, ბაფთით ქრილობის გადახვევა სად გაგონილა?

სიუზანი: თანაც მოპარული ბაფთით. აბა ერთი ვნახოთ, იმ აღვირმა თუ რალაცამ...

ამის არაფერი მესმის... ო, რა თეთრი მკლავებია! ქალისას მიუგავს! ჩემზე თეთრიც კია! აბა, ერთი შეხედეთ, ქალბატონო! (ქერუბინოს ხელს თავისას ადარებს.)

გრაფინია, ცივად: ენის ტარტალს გიჯობს, ტუალეტის ოთახიდან სალბუნი მოიტანო. (სიუზანი სიცილით ქერუბინოს კეფაზე ხელს წამოარტყამს. ქერუბინო იატაკზე ორივე ხელით ეცემა. სიუზანი ტუალეტის ოთახში გადის.)

მეშვიდე სცენა. ქერუბინო, მუხლებზე დგას, გრაფინია, ზის.

გრაფინია, მდუმარედ ათვალიერებს ბაფთას. ქერუბინო თვალს არ აშორებს ქალს: ამ ბაფთის გამო, ჩემო ბატონო... ჩემი საყვარელი ფერია... მენყინა, რომ დავკარგე...

მერვე სცენა. ქერუბინო, მუხლებზე დგას, გრაფინია, ზის, სიუზანი

სიუზანი, შემოდის: ხელი არ შევუხვიოთ? (გრაფინიას სალბუნს და მაკრატელს აწოდებს.)

გრაფინია: კაბის მოსატანად რომ გახვალ, სხვა ჩაჩის ბაფთა გამოიყოლე. (სიუზანი გადის, ქერუბინოს მოსასხამიც თან მიაქვს.)

მეცხრე სცენა. ქერუბინო, მუხლებზე დგას, გრაფინია, ზის.

ქერუბინო, თვალებს ხრის: ის ბაფთა, რომელიც წამართვით, ჭრილობას მყისვე მომიშუშებდა.

გრაფინია: ეს როგორ? (უჩვენებს სალბუნს.) აი, ეს მართლაც გიშველით.

ქერუბინო, ენის ბორძიკით: ბაფთა, რომელიც... რომლითაც თმას იკრავდით... ანდა ის, რომელიც... ერთხელ მაინც შეხებია ადამიანის კანს...

გრაფინია: სრულიად უცხო ადამიანის კანიც რომ იყოს? ისიც მყისვე პირს უკრავს ჭრილობას? ასეთი რამ ადრე არ გამიგია, ღმერთმანი. შესამონმებლად ამ ბაფთას, ხელზე რომ გეკეთათ, დავიტოვებ და რომელიმე მოახლემ თითი თუ გაიკანრა, აი, მაშინ გამოვცდი.

ქერუბინო, ნაღვლიანი ხმით: ბაფთა თქვენთან დარჩება, მე კი მივემგზავრები.

გრაფინია: ოდესმე ხომ დაბრუნდებით?

ქერუბინო: ო, რა უბედური ვარ!

გრაფინია, გულაჩუყებული: ტირით? იმ წყეული ფიგაროს გამოსამშვიდობებელი სიტყვის ბრალია!

ქერუბინო, გზნებით: რარიგ ვნატრობ იმ საბედისწერო წუთის დადგომას, რომელიც მიწინასწარმეტყველა! რომ ვიცოდე, ახლავე თქვენ წინაშე სულს განვუტევებ, გავბედავდი, ბაგეებს შევხსნიდი და...

გრაფინია, ცხვირსახოციოთ ცრემლებს იმშრალეებს, სიტყვას აწყვეტინებს: იყურეთ, იყურეთ, ბაღღო! ნურას იტყვიოთ, საღ გონებას მოუხმეთ! (ისმის კაკუნს ხმამაღლა) ვინ გვეახლა?

მეათე სცენა. ქერუბინო, გრაფინია, გრაფი, სცენის გარეთ

გრაფი, კულისებიდან: რატომ ჩაიკეტეთ?

გრაფინია, დაბნეული წამოდგება: ჩემი ქმარია! (ქერუბინოს, ისიც ფეხზე დგება.) მოსასხამი არ გაცვიათ, შიშველი მკლავები და მოშიშველებული მკერდი გიჩანთ; მე და თქვენ მარტო, ასეთი სანახავი, მერე კიდევ

ის ანონიმური წერილი, დაბოლოს, მისი ეჭვიანობა! ღმერთო, შენ შეგვენიე!

გრაფი, კულისებიდან: კარს რატომ არ მიღებთ?

გრაფინია: საქმე ის გახლავთ, რომ ოთახში მარტო ვარ.

გრაფი, სცენის მიღმა: მარტო? ვილაცხას ელაპარაკებოდით.

გრაფინია, აყოვნებს: რა თქმა უნდა, თქვენ. ქერუბინო, თავისთვის: მას შემდეგ, რაც გუშინ საღამოს და დღეს დილით მოხდა, უეჭველად, ადგილზევე მომითავეებს ხელს!

მეთერთმეტე სცენა. გრაფინია, მარტოა, ტუალეტის კარიდან გასაღებს გამოაძრობს და კარისკენ გარბის.

გრაფინია: ო, რა დაუდევრობაა. სიფრთხილე სულ დავივიწყე!

მეთორმეტე სცენა. გრაფი, გრაფინია

გრაფი, გაღიზიანებული: ადრე ოთახში არ იკეტებოდით!

გრაფინია, შეცბუნებული: მე... ჰო, იცით, სიუზანთან ერთად კაბებს ვარჩევდი... ეს-ეს არის გავიდა.

გრაფი, გამომცდელად შესცქერის: თქვენი გამომეტყველება, თქვენი ხმა – ყოველივე მონაბოხს, რომ აფორიქებული ბრძანდებით.

გრაფინია: ამაში გასაოცარი არაფერია... სრულიად არაფერი... მერწმუნეთ... თქვენზე ვსაუბრობდით... გიმეორებთ, სიუზანი ეს-ეს არის ოთახიდან გავიდა...

გრაფი: ჩემზე ლაპარაკობდით?.. ნადირობა შევწყვიტე, რადგან ერთმა გარემოებამ შემაშფოთა. ცხენზე რომ ვჯდებოდი, წერილი გადმომცეს. ყურადღებით არ წამიკითხავს, თუმცა... გუნება შემეცვალა.

გრაფინია: ასეთი რა მოხდა, გრაფ? რა წერილზე ლაპარაკობთ?

გრაფი: უნდა ვაღიარო, გრაფინია, რომ თქვენ, ან მე, ან ორივეს ერთად, ირგვლივ ბოროტი ადამიანები გვახვევია! წერილით მატყობინებდნენ, რომ დღის განმავლობაში მავანი, ვინც აქედან შორს მეგულება, თქვენთან შეხვედრას ეცდება...

გრაფინია: ვინც უნდა იყოს ეს თავხედი, აქ შემოსვლას ადვილად ვერ შეძლებს; გადავ-

წყვიტე, მთელი დღე ოთახიდან ფეხი არ გამოვდგა.

გრაფი: სიუზანის ქორწინება?

გრაფინია: ფეხს არ მოვიცვლი-მეთქი, უქეიფოდ ვარ.

გრაფი: გაგვიმართლა, რომ ექიმიც აქვია. (ქერუბინო ტუალეტის ოთახშისკამს წამოედება.)
ეს რა ხმაურია?

გრაფინია, დაბნეული: რა ხმაური?

გრაფი: ვილაცამ სკამი ააყირავა.

გრაფინია: მე... მე არაფერი გამიგია.

გრაფი: გეტყობათ, რალაცამ შეგაფიქრიანათ.

გრაფინია: შემაფიქრიანა? მაინც რამ?

გრაფი: ტუალეტის ოთახში ვილაც იმალება.

გრაფინია: ჩუუ... ვინ შეიძლება იყოს?

გრაფი: სწორედ ამას გეკითხებით. მე ეს ეს არის შემოვედი.

გრაფინია: ვინ?.. ვინ?.. ეტყობა, სიუზანი ოთახს ალაგებს.

გრაფი: თქვენ არ თქვით, თავის ოთახში გავიდაო?

გრაფინია: შეიძლება... იქ, შეიძლება... აქ... არ ვიცი.

გრაფი: თუკი სიუზანია, თქვენ რატომღა ლელავთ?

გრაფინია: ჩემი მოახლის გამო რატომ უნდა ვლელავდე?

გრაფი: არ ვიცი, მოახლის გამოა თუ არა, მაგრამ იმას, რომ აღელვებული ხართ, წყალი არ გაუვა.

გრაფინია: ეს გოგო, უეჭველია, თავგზას გიბნევთ. მასზე უფრო მეტს ფიქრობთ, ვიდრე ჩემზე.

გრაფი, ამრეზით: დიახ, მასზე ფიქრი ისე ამეკვიატა, რომ მსურს, სასწრაფოდ ვიხილო.

გრაფინია: თუ არ ვცდები, მსგავსი სურვილი ხშირად გეუფლებათ... მაგრამ, თქვენს ეჭვებს რაც შეეხება, ამისთვის არავითარი საფუძველი არ გაქვთ...

მეცამეტე სცენა. გრაფი, გრაფინია, სიუზანი, შემოაქვს კაბა და კარს ხურავს.

გრაფი: ...მით უფრო ადვილად მოვიშორებ. (ტუალეტის ოთახისკენ იხედება და ყვირის.)
გამოდით, სიუზან, გიბრძანებთ! (სიუზანი საწოლთან დგება.)

გრაფინია: თითქმის შიშველია, გრაფ. განა შეიძლება, ასე უხეშად შემოიჭრათ ქა-

ლების ოთახში? იმ კაბას იზომავდა, ქორწინლისთვის რომ ვაჩუქე. თქვენი ნაბიჯების ხმა გაიგონა და გაიქცა.

გრაფი: გამოსვლის თუ ეშინია, ლაპარაკს ვინ უშლის? (ოთახისკენ მიბრუნდება.) მიპასუხეთ, სიუზან, ოთახში ხართ? (ამ სიტყვების გაგონებაზე, შუა ოთახში მდგომი სიუზანი საწოლის ჩარდახის ქვეშ იმალება.)

გრაფინია, ტუალეტის ოთახისკენ მიბრუნდება: სიუზან! პასუხის გაცემას გიკრძალავთ! (გრაფს) გაუგონარი ტირანიაა!

გრაფი, ტუალეტის ოთახისკენ გარბის: როგორც გენებოთ! არაფრად მენალვლება, ჩაცმულია თუ არა. რადგან ხმას არ იღებს, თვალს მაინც შევავლებ.

გრაფინია, დგება გრაფსა და ოთახის კარს შორის: სხვაგან ვერაფერს დაგიშლიდით, მაგრამ იმედი მაქვს, ჩემს ოთახში...

გრაფი: მე კი იმედი მაქვს, რომ ბოლოს და ბოლოს, გავიგებ, ვინ არის ეს იღუმალის სიუზანი. გასაღების მოთხოვნას, ვფიქრობ, აზრი არ აქვს. ისღა დამრჩენია, კარის შესანგრევად ვინმეს მოვუხმო. ჰეი! მომხედეთ ვინმემ!

გრაფინია: სად გაგონილა, უბრალო ეჭვის გამო მთელი ჯალაბობის შეყრა და ასეთი

აურზაურის ატეხვა? მთელი ციხე-დარბაზის დასაცინი გავხდებით!

გრაფი: სწორი ბრძანდებით, გრაფინია. სხვების გარეშეც იოლად გავალ ფონს. ახლა წავალ და რაც საჭიროა, იმას მოვიტან. (კარისკენ მიდის, მაგრამ წამსვე უკან ბრუნდება.) თუმცა აქ ყველაფერი ხელუხლებელი უნდა დარჩეს. ამიტომ იქნებ, კეთილი ინებოთ და ზედმეტი ხმაურის გარეშე, რომელიც არც თქვენ გიყვართ, თან წამომყვით? ვფიქრობ, ასეთ წვრილმან თხოვნაზე უარს არ მეტყვიოთ.

გრაფინია, შეცბუნებული: რას ამბობთ, გრაფ, გაძალიანებას არ ვაპირებ!

გრაფი: ჰო, მართლა, ქალების ნახევარში გამავალი კარი დამავინწყდა! იმასაც დავკეტავ და თქვენც ჩემ წინაშე პირნათელი იქნებით. (კარს კეტავს და გასაღებს იტოვებს.)

გრაფინია, თავისთვის: ღმერთო! ეს როგორ ვერ მოვისაზრე!

გრაფი, ბრუნდება: მაშ ასე, კარი ჩავკეტე, ახლა კი ნება მომეცით, მკლავი შემოგთავაზოთ. (ხმამალლა) აი, ის სიუზანი კი, რომელიც ტუალეტის ოთახშია გამოკეტილი, მელოდოს! როდესაც დავბრუნდები, სეირს

მაშინ ვიხილავთ, მცირე სასჯელს არ ვაკ-
მარებ...

გრაფინია: მართალი თუ გნებავთ, გრაფ,
აღმაშფოთებელი საქციელია. (გრაფს მიჰ-
ყავს და კარს ხურავს.)

მეთოთხმეტე სცენა. სიუზანი, ქერუბინო

სიუზანი, ჩარდახიდან გამოდის, ტუალეტის
ოთახთან მიიღბენს და საკლიტეში ლაპარაკობს:
გამიღეთ, ქერუბინო, იჩქარეთ, სიუზანი
ვარ. კარი გააღეთ და გამოდით!

ქერუბინო, გამოდის: სიუზან, ეს რა უბედუ-
რებაა ჩემს თავს?!

სიუზანი: ახლავე მოშორდით აქაურობას!

ქერუბინო, დაბნეული: სად წავიდე?

სიუზანი: სადაც გენებოთ, მხოლოდ წა-
დით!

ქერუბინო: არსად რომ არ მიმესვლება?

სიუზანი: იმ შემთხვევის შემდეგ გრაფი არ
დაგვინდობს, არც თქვენ დაგაყრით კარგ
დღეს და არც ჩვენ. ფიგაროსთან გაიქეცით
და ყოველივე უამბეთ...

ქერუბინო: მგონი, ბაღში გამავალი ფანჯა-
რა მაღალი არ არის... (მირბის და გადაიხედავს.)

სიუზანი, შეძრწუნებული: მთელი სართუ-
ლია! არც იფიქროთ! საბრალო გრაფინია!
მერედა, ჩემი ქორწილი? ღმერთო ჩემო!
ქერუბინო, ბრუნდება: ფანჯარა ყვავილ-
ნარს გადაჰყურებს. რამდენი ბუჩქის გას-
რესა მომიწევს.

სიუზანი, აკავებს: დაიმტვრევით!

ქერუბინო, აღტაცებით: აბრიალებულ კო-
ცონშიც გადავეშვებოდი, სიუზან, ოღონდ
კი მას არაფერი დაუშავდეს... ეს კოცნა კი
ბედნიერების მომტანი იქნება. (სიუზანს
კოცნის და ფანჯრიდან ხტება.)

მეთხუთმეტე სცენა. სიუზანი, მარტოა.

სიუზანი, შეძრწუნებული სავარძელში ეცემა,
თავს სძლევს, ფანჯარასთან მიდის და მყისვე უკან
ბრუნდება: კვალიც კი არსად ჩანს. ნამდვი-
ლი ყაჩაღანაა! ვერც სილამაზეს დაუნუნებ
და ვერც მოქნილობას! მაგარი ქალების
მუსუსი დადგება... ახლა კი უკან უნდა დავ-
ბრუნდე! (ტუალეტის ოთახში შედის.) თქვენო
ბრწყინვალეებავ, თუკი გსიამოვნებთ, შე-
გიძლიათ ტიხარი შემოამტვრიოთ, მე კი
სიტყვასაც ვერ მათქმევინებთ.

მეთექვსმეტე სცენა. გრაფი და გრაფინია, ოთახში შემოდიან.

გრაფი, სავარძელზე მარწუხს აგდებს: ყოველივე ისეა, როგორც დავტოვეთ. სანამ კარს შევანგრევ, გირჩევთ, კიდევ ერთხელ იფიქროთ შესაძლებელ შედეგებზე. უმჯობესია, კარი თვითონ გამიღოთ.

გრაფინია: რა საშინელებაა, გრაფ, როდესაც უცნაური ხუმტურის გამო, ცოლსა და ქმარს შორის ბზარი ჩნდება! თქვენი ველური საქციელი ჩემდამი სიყვარულით რომ იყოს ნაკარნახევი, მიუხედავად ყველაფრისა, გაპატიებდით, ჩემს შეურაცხყოფასაც შეგინდობდით. ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება აღზრდილმა და განსწავლულმა ადამიანმა, ცრუ ამპარტავნობის გამო ცოფები ყაროს.

გრაფი: მნიშვნელობა არა აქვს, სიყვარულია თუ ცრუ ამპარტავნობა. კარი გამიღეთ, თუ არადა...

გრაფინია, უძალიანდება: შეჩერდით, გრაფ, გთხოვთ! ნუთუ ფიქრობთ, რომ ჩემს მოვალეობას ოდესმე ვულალატებ?

გრაფი: რაც გნებავთ, ის იფიქრეთ, ქალბა-

ტონო. მე კი ხელს ნუ მიშლით გავიგო, ვინ იმყოფება იმ ოთახში.

გრაფინია, დაბნეული: ასე იყოს, გრაფ, ნახავთ! მშვიდად მომისმინეთ...

გრაფი: ესი იგი, სიუზანი იქ არ არის?

გრაფინია, გაუბედავად: ყოველ შემთხვევაში ეს კაცი... თქვენთვის საფრთხეს არ წარმოადგენს... ერთი ოინი მოვიგონეთ...

მერნმუნეთ, სრულიად უბოროტო... დღევანდელი სალამოსთვის... გეფიცებით...

გრაფი: ფიცს მაძლევთ?

გრაფინია - ...არც მას და არც მე თქვენი შეურაცხყოფა აზრადაც არ მოგვსვლია.

გრაფი: „არც მას, არც მე“. მამაკაცს გულისხმობთ?

გრაფინია: ბიჭია, გრაფ.

გრაფი: ვინ არის?

გრაფინია: გამხელას ვერ ვბედავ.

გრაფი, განრისხებული: მოვკლავ!

გრაფინია: ღმერთი არ გაპატიებთ!

გრაფი: სიმართლე გამიმხილეთ!

გრაფინია: ეს... ეს პატარა... ქერუბინოა.

გრაფი: ქერუბინო? თავხედი! აი, თურმე ვის უნდა ვუმაღლოდე ჩემს ეჭვებსა და ანონიმურ წერილს!

გრაფინია, ხელებს მკერდთან მიიტანს:
ოღონდ არ იფიქროთ, რომ...

გრაფი, ფეხებს აბაკუნებს; თავისთვის: ყველ-
გან ეს ნყეული პაჟი მეჩხირება! (ხმამალა)
კარი გააღეთ, გრაფინია, ახლა ხომ ყველა-
ფერი ვიცი. ასე არ აღელდებოდით დილით,
მასთან გამომშვიდობებისას... როდესაც
ვუბრძანებდი, მაშინ გაემგზავრებოდა, სი-
უზანზეც არ შეთხზავდით ნაირ-ნაირ
ზღაპრებს და არც პაჟს დაიცავდით ესო-
დენი მზრუნველობით, ყოველივე ამაში
რალაც ორჭოფული რომ არ იყოს.

გრაფინია: ეშინოდა, რომ გაუბრაზდებო-
დით, გრაფ.

გრაფი, განრისხებული, ტულეტის ოთახისკენ
გაპყვირის: გამოდი, უხამსო ლანირაკო!

გრაფინია, გრაფს წელზე ხელს მოხვევს და
ცდილობს განზე გაიყვანოს: გრაფ! ასეთ გან-
რისხებულს რომ გხედავთ, მეშინია, რამე
უბედურება არ აუტეხოთ! გთხოვთ, ნუ აპ-
ყვებით ამო ეჭვებს და თუკი უცნაურად
გამონყობილი მოგეჩვენათ...

გრაფი: უცნაურად გამონყობილი?

გრაფინია: დიახ, გადანყვიტა ქალის სამო-
სი ჩაეცვა: თავზე ჩემი ჩაჩი, მოკლე ზედა-

ნელი, მოსასხამის გარეშე, მოღიავებული
ყელი, დაკაპინებული სახელოები. აპირებ-
და მოეზომა...

გრაფი: და თქვენ მასთან ერთად ოთახში
დარჩენა არჩიეთ, უღირსო მეუღლე! დი-
დი ხანი მოგინევთ ამ ოთახში ყოფნა. მა-
ნამდე კი იქიდან იმ თავხედს გამოვუშვებ
და ვუბრძანებ, ამიერიდან თვალით არ და-
მენახოს!

გრაფინია, ხელებს მალა ალაპყრობს და მუხ-
ლებზე ეცემა: გევედრებით, ბავშვი შეიცო-
დეთ! თავს ვერ ვაპატიებ, მისი უბედურე-
ბის მიზეზი თუ გავხდები...

გრაფი: თქვენი შეშფოთება კიდევ მეტად
ამძიმებს მის დანაშაულს.

გრაფინია: ბრალი არაფერში მიუძღვის,
გამგზავრებას აპირებდა, მე შევაცოვნე.

გრაფი: ნამოდექით! უკან დაიხიეთ!... სხვის
მაგივრად თხოვნა უპატიებელი თავხედო-
ბაა!

გრაფინია: ნება თქვენია, გრაფ! გვერდზე
მივდგები, ტულეტის ოთახის გასაღებსაც
გადმოგცემთ, მაგრამ ჩვენი სიყვარულის
სახელით, ერთს გთხოვთ...

გრაფი: ჩვენი სიყვარულის ორგულო!

გრაფინია, დგება და ხელებს უწვდის: შემპირ-
დით, რომ ბიჭს არას დაუშავებთ. დაე, მთე-
ლი თქვენი რისხვა მე დამატყდეს თავს, თუ-
კი თქვენ წინაშე თავს ვერ გავიმართლებ!..
გრაფი, გასაღებს გამოართმევს: აღარაფრის
მოსმენა არ მსურს.

გრაფინია, თვალეზზე ცხვირსახოცს მიიღებს,
სავარძელში ჩაეშვება: ღმერთო, საბრალოს
დასაღუპად ნუ გასწირავ!

გრაფი, კარს გააღებს და წამში უკან იხევს: სი-
უზანი!

მეჩვიდმეტე სცენა. გრაფინია, გრაფი,
სიუზანი

სიუზანი, სიცილით გამოდის ოთახიდან: „მოვ-
კლავ, მოვკლავ!“ თუ ასეა, მოკალით ეს
აუტანელი პაჟი!

გრაფი, თავისთვის: გავბითურდი! (გრაფინი-
ას უყურებს, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გამოორ-
კვეულა.) თქვენ რალამ გაგაოცათ? თავს ისე
მაჩვენებთ, თითქოს გაოცებული ბრძან-
დებით!.. შეიძლება იქ მარტო არ იყო? (გა-
დის ტუალეტის ოთახში.)

მეთვრამეტე სცენა. გრაფინია, ზის,
სიუზანი

სიუზანი, გრაფინიასთან მიირბენს: დანყნარ-
დით, ქალბატონო, მისი კვალიც კი არსად
ჩანს. გადახტა...

გრაფინია: სიკვდილს ცოტა დამაკლდა!

მეცხრამეტე სცენა. გრაფინია, ზის,
სიუზანი, გრაფი

გრაფი, დარცხვენილი გამოდის ტუალეტის ოთა-
ხიდან. ცოტა ხნის ღუმილის შემდეგ: გრაფინია,
ამჯერად შევცდი. თქვენ, ქალბატონო...
ბრწყინვალედ შეასრულეთ თქვენი როლი.

სიუზანი, მხიარულად: ჩემზე რას იტყვით,
თქვენო ბრწყინვალეზავ? (გრაფინია მღელვარე-
ბას მალავს, პირზე ცხვირსახოცი აქვს აფარებული.)

გრაფი, უახლოვდება: მაშ ასე, გრაფინია, გა-
მოდის, უბრალოდ, ერთობოდით?

გრაფინია, თანდათან მშვიდდება: რატომაც
არა, გრაფ. გართობას წინ რა უდგას?

გრაფი: საზარელი ხუმრობაა! და მერე რის-
თვის?

გრაფინია: განა თქვენი გიჟური გამოსტომები მიტევენას იმსახურებს?

გრაფი: როდესაც საქმე ღირსების დაცვას ეხება, ამას გამოსტომას ვერ უწოდებ.

გრაფინია, უფრო მეტად დარწმუნებული ტონით: ნუთუ იმიტომ გავხდით ცხოვრების გზაზე თქვენი თანამგზავრი, რათა გამუდმებით ამეტანა გულცივობა და ეჭვიანობა, რომელთაც ესოდენი წარმატებით უთანხმებთ ერთურთს?

გრაფი: გრაფინია, რა სასტიკი ბრძანდებით!

სიუზანი: სეირს მაშინ ნახავდით, გრაფინიას რომ არ გადაერწმუნებინეთ, შინამოსამსახურეებს ნუ შეყრითო.

გრაფი: სწორად ამბობ... ჩემი სიტყვები უკან მიმაქვს... დამნაშავე ვარ და ძალიან მრცხვენია...

სიუზანი: აღიარეთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, რომ ახია თქვენზე, ასე მოგიხდებათ!

გრაფი: როდესაც გეძახდი, ოთახიდან რატომ არ გამოსვედი, ეშმაკუნავ?

სიუზანი: ფაციფუცით ვიცვამდი, ვჩქარობდი – ქინძისთავების შეკვრას ვერ ავუდიოდი. ასე რომ, მისი ბრწყინვალეობა გრა-

ფინია სრულიად მართალი იყო, გამოსვლას რომ მიშლიდა.

გრაფი: ჩემს შეცდომებს ცხვირში ნუ მჩრი, გიჯობს, გრაფინიასთან შემარიგო.

გრაფინია: არა, გრაფ. ასეთ წყენას ადვილად ვერ დავივინყებ. დედათა მონასტერში ალვიკვეცები. ვხედავ, დრომ მინია.

გრაფი: ასე ადვილად შემეღევეით? ერთხელაც არ დაინანებთ?

სიუზანი, გრაფინიას: დარწმუნებული ვარ, განშორებისას ცხარე ცრემლებით იტირებთ.

გრაფინია: დაე, ასე იყოს, სიუზან, მაგრამ პატიებას მონატრება მირჩევნია. წყენას ასე ადვილად ვერ დავივინყებ.

გრაფი: როზინ!

გრაფინია: მე ის როზინი აღარ ვარ, რომელსაც ერთ დროს თავს ევლებოდით და სიყვარულს ეფიცებოდით. ახლა გრაფ აღმავივას გასაცოდავებული ცოლი ვარ, მუდამ სევდიანი, მიტოვებული ქმრისგან, რომელსაც აღარ ვუყვარვარ.

სიუზანი: ქალბატონო!

გრაფი, ვედრებით: შემიბრალეთ!

გრაფინია: მე ვინ შემიბრალებს?

გრაფი: მაგრამ ის წერილი, რომელმაც ტყინი ამირია?

გრაფინია: მე წინააღმდეგი ვიყავი.

გრაფი: გამოდის, ყველაფერი იცოდით?

გრაფინია: ეს თავქარიანი ფიგარო...

გრაფი: ფიგარო რა შუაშია?

გრაფინია: წერილი ბაზილს გადასცა.

გრაფი: ბაზილმა მითხრა, ვილაც გლეხმა მოიტანაო. დამაცადე, ფლიდო მომღერალო, მოლალატევ, ყველაფერს გაზღვევინებ!

გრაფინია: პატიებას ითხოვთ, სხვებს კი არ პატიებთ: ასეთები ხართ მამაკაცები! ყველაფრის წერილისთვის დაბრალება და თქვენი პატიება რომ შემეძლოს, წამსვე საყოველთაო ამინისტიას მოვითხოვდი.

გრაფი: რა გაეწყობა! თანახმა ვარ, გრაფინია. მაგრამ, ეს დამამცირებელი შეცდომა როგორ გამოვასწორო?

გრაფინია, დგება: ორივესთვის დამამცირებელი.

გრაფი: არა, არა, მხოლოდ ჩემთვის, თქვენ ბრალი არაფერში მიგიძღვით. ერთს ვერ ვხვდები: როგორ ახერხებთ ქალები, მყისვე ალლო აულოთ ვითარებას და შესაფერი

სიტყვები მოძებნოთ?! ლოყები აგიჭარხლდათ, ცრემლიც დაღვარეთ... შეცბუნებული იერი მიიღეთ... ახლაც გატყვიათ სახეზე!

გრაფინია, ცდილობს გაიცინოს: თუ გავნიტლდი, თქვენი ეჭვიანობის გამო. მაგრამ მამაკაცებს არ ძალუძთ უსამართლოდ შეურაცხყოფილი უმანკო სულის ქეშმარიტი აღშფოთება სამართლიანად ბრალდებული ადამიანის დაბნეულობისგან განასხვაონ. **გრაფი, ღიმილით:** ნახევრად შიშველ პაჟზე რაღას იტყვით?

გრაფინია, სიუზანზე მიუთითებს: თქვენ წინაშეა. ყოველივე ამისგან ხეირი ნახეთ, ხომ ასეა? მერე კიდევ, პაჟთან შეხვედრას არასოდეს გაურბოდით.

გრაფი, იცინის: ხვენწა-მუდარას და ყალბ ცრემლებს რაღა ვუყოთ?

გრაფინია: გინდათ გამაცინოთ, მე კი სულაც არ მეცინება.

გრაფი: მე კი წარმოვიდგინე, რომ დიპლომატიაში ერთობ განაფული ვარ; ვერ მოგართვეს, – ბავშვივით გამაცურეთ, მეფეს თქვენ უნდა გაეგზავნეთ დესპანად ლონდონში! ეტყობა მშვენიერი სქესი ზედმი-

წევნით დაეუფლა თვალთმაქცობის ხელოვნებას! ასე რომ არა, მსგავს სიმაღლებს ვერ დალაშქრავდით!

გრაფინია: ამისკენ თქვენ გვიბიძგებთ.

სიუზანი: სიტყვაზე გვენდეთ და ჩვენი პატიოსნება გამოსცადეთ.

გრაფინია: მოდი მოვრჩეთ, გრაფ. შეიძლება, ზედმეტი მომივიდა, მაგრამ კარგი იქნება, თუ ჩემს მიმტევებლობას თქვენც ფეხს აუწყობთ.

გრაფი: კიდევ ერთხელ გამიმეორეთ, რომ მპატიებთ.

გრაფინია: განა მე ეს ვთქვი, სიუზან?

სიუზანი: მე არაფერი გამიგონია, ქალბატონო.

გრაფი: ბოლოს და ბოლოს, გამოიმეტეთ ეს სიტყვა!

გრაფინია: ღირხართ კი ამაღ, უსულგულო ადამიანო?!

გრაფი: თქვენ წინაშე თავდახრილი იმიტომ ვდგავარ, რომ საკუთარი შეცდომა შევიგნე.

სიუზანი: როგორ იფიქრეთ, რომ ქალბატონის ოთახში უცხო მამაკაცი იმალებოდა?

გრაფი: ამისთვის საკმაოზე მეტად დავისაჯე!

სიუზანი: არ უჯერებთ გრაფინიას, რომელიც გიმტკიცებთ, რომ ტუალეტის ოთახში მისი მოახლეა.

გრაფი: სიუზან! ნუთუ ასეთი შეუბრალებელი ბრძანდებით?

გრაფინია: ო, სიუზან, რა სუსტი ქალი ვყოფილვარ! რა მაგალითს გაძლევ? (გრაფს ხელს გაუწვდის.) მოდი და დაუჯერე ქალის რისხვას!

სიუზანი: ასეც უნდა იყოს, ქალბატონო, მამაკაცებს უნდა შეევურიგდეთ! (გრაფი ხელზე ეამბოროება მეუღლეს.)

მეოცე სცენა. სიუზანი, ფიგარო, გრაფინია, გრაფი

ფიგარო, შემორბის გულამოვარდნილი: მითხრეს, რომ გრაფინია შეუძლოდაა. აქეთ გამოვენთე და შვებით ამოვისუნთქე, როდესაც შევიტყვე, რომ ყოველივე რიგზეა.

გრაფი, უკმეხად: ერთობ ყურადღებიანი ბრძანდებით!

ფიგარო: ჩემი მოვალეობა ეს გახლავთ! თუკი ყველაფერი ასე კარგადაა, ნება მი-

ბოძეთ მოგახსენოთ, რომ ყველა თქვენი ქვეშევრდომი, ქალი თუ კაცი, ვიოლინოებით და გუდასტვირებით ქვემო დარბაზში შეიკრიბნენ და ელოდებიან, როდის დამრთავთ ნებას, პატარძალი ვაახლო...

გრაფი: გრაფინიას ვინ მიხედავს?

ფიგარო: მისახედია? აკი არაფერი სჭირსო?

გრაფი: ჯანმრთელობას არ უჩივის, მაგრამ უცხო მამაკაცმა რომ მიაკითხოს?

ფიგარო: ვინ უცხო მამაკაცმა?

გრაფი: მამაკაცმა, რომლის წერილი ბაზილს გადაეცით.

ფიგარო: ვინ მოგახსენათ?

გრაფი: თუ აქამდე ამის არაფერი ვიცოდი, გაიძვერავე, ახლა შენი შემყურე ყველაფერს ვხვდები. ღალატი სახეზე განერია.

ფიგარო: გამოდის, მე კი არა, ჩემი სახე ტყუის.

სიუზანი: მომისმინე, ჩემო საბრალო ფიგარო, მჭერმეტყველებას ამაოდ ხარჯავ: ჩვენ ყველაფერი დავფქვით.

ფიგარო: ყველაფერი? ისე მექცევით, თითქოს ბაზილი ვიყო.

სიუზანი: გრაფს ვუამბეთ, შენ წერილი იმისთვის დანერე, რათა ნადირობიდან დაბრუნე-

ბულ გრაფს ეფიქრა, რომ პატარა პაუი გრაფინიას ტუალეტის ოთახში იმალებოდა, სადაც მე, ამ დროს, ტანსაცმელს ვიცვლიდი.

გრაფი: აბა, რას უპასუხებ?

გრაფინია: ფიგარო, სიჯიუტე და სიმართლის მალვა არას გიშველის: ხუმრობა დასრულდა.

ფიგარო, ცდილობს მიხვდეს: ხუმრობა... დასრულდა?

გრაფი: დიახ, დასრულდა. ამაზე რას იტყვი?

ფიგარო: რა მეტქმის! ვიტყვი, რომ... კარგია, როდესაც საქმეს კეთილი ბოლო აქვს, მსურს, ჩემს ქორწინებაზეც შემეძლოს იგივეს თქმა, ამიტომ თუკი თქვენი ბრწყინვალეობა კეთილსინებებს და ბრძანებას გასცემს...

გრაფი: ესე იგი, აღიარებ, რომ წერილი შენ შეთხზე?

ფიგარო: თუკი ასე ინება გრაფინიამ, თუკი ასე ინება სიუზანმა, თუკი თქვენმა ბრწყინვალეობამაც ასე ინება, რაღა დამრჩენია, გარდა იმისა, რომ მეც ვისურვო აღიარება. თუმც კი, თქვენო ბრწყინვალეობავ, თქვენი რომ ვიყო, ერთ სიტყვასაც არ დავიჯერებდი... იქიდან, რაც აქ და ახლა გიამბეთ...

გრაფი: ისევ ცრუობს, თუმცა ყოველივე

გამოაშკარავდა! ბოლოს და ბოლოს, ყელში ამომივიდა...

გრაფინია, სიცილით: საცოდავი ბიჭი! რატომ ვთხოვთ, რომ მაინც და მაინც ახლა თქვას სიმართლე?

ფიგარო, სიუზანს ხმადაბლა: გავაფრთხილე, ხიფათი გელით-მეთქი, ეს ყველა პატრიოსანი კაცის ვალია.

სიუზანი, ხმადაბლა: პატარა პაჟს ესაუბრე? **ფიგარო**, ხმადაბლა: აზრზე ჯერაც ვერ მოსულა.

სიუზანი, ხმადაბლა: მეცოდება!

გრაფინია: გრაფ, ქორწილის მოლოდინში სული კბილებით უჭირავთ და, მათ მდგომარებაში, ეს ბუნებრივიცაა! დავინყოთ ზეიმი!

გრაფი, თავისთვის: მაგრამ... მარსელინი... მარსელინი... (ხმამალლა) ტანსაცმლის გამოცვლა მაინც მაცალეთ!

გრაფინია: მსახურების გამო? არც მე ვარ საზეიმოდ გამონწყობილი.

ოცდამეერთე სცენა. ფიგარო, სიუზანი, გრაფინია, გრაფი, ანტონიო

ანტონიო, შეზარხოშებული, ხელში ღეროში გადატეხილი ყვავილების ქოთანი უკავია: თქვენო

ბრწყინვალეებავ! თქვენო ბრწყინვალეებავ!

გრაფი: რა გაყვირებს, ანტონიო!

ანტონიო: უბრძანეთ, ბაღში გამავალ ფანჯრებს გისოსები გაუკეთონ. გამუდმებით რალაცას ისვრიან, დღეს კი ვილაც მამაკაცი გადმოაგდეს.

გრაფი: ამ ფანჯრებიდან?

ანტონიო: ამ ყვავილებს ხომ ხედავთ.

სიუზანი, ფიგაროს ხმადაბლა: ფიგარო, აბა, ჰე, შენ თუ გვიშველი!

ფიგარო: თქვენო ბრწყინვალეებავ! ანტონიო დილიდან მთვრალია.

ანტონიო: არაფერი შეგეშალოს, გუშინდლიდან გამომყვა. ასე ერთბაშად კაცისთვის ხელის მოთავება სად გაგონილა?

გრაფი, გაფიცებული: ის მამაკაცი სად არის?

ანტონიო: სად არის?

გრაფი: ჰო, სად არის.

ანტონიო: მეც ამას ვკითხულობ, რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა დავიჭიროთ. თქვენი მონა-მორჩილი გახლავართ, თქვენ ბაღი მანდეთ, იქ კი კაცი გადმოაგდეს, ხომ გესმით... ჩემი... ღირსება ხელყვეს...

სიუზანი, ფიგაროს, ხმადაბლა: მიდი ერთი, შენებურად დასცხე!

ფიგარო: რაო, ანტონიო, ყოველ ცისმარე დღეს უნდა სვა?

ანტონიო: სმას რომ შევეშვა, ცოფი შემეყრება.

გრაფინია: მაგრამ უმიზეზო სმა...

ანტონიო: ადამიანები ცხოველებისგან სწორედ ამით გამოვირჩევით: ვსვამთ და ქალებთან ვერთობით, ყოველ დროს და ყოველგან.

გრაფი, გაბრაზებული: პასუხი გაგვეცი, თორემ ახლავე გაგაძევებ.

ანტონიო: მე კი ნავალ?

გრაფი: რაო, რა თქვი?

ანტონიო, შუბლზე ისვამს ხელს: თუკი თქვენ ერთგული მსახური არად გენაღვლებათ, მე იმდენად ბრიყვი ნუ გგონივართ, რომ კეთილი ბატონი დავითხოვო.

გრაფი, აჯანჯლარებს: ამბობ, რომ ფანჯრიდან კაცი გადმოაგდეს?

ანტონიო: დიახ, თქვენო ბრწყინვალეზავ, სულ ახლახან... თეთრი ქურთუკი ეცვა... რომ იცოდეთ, როგორ მოკურცხლა!

გრაფი, მოუთმენლად: მერე, რა მოხდა?

ანტონიო: დავედევნე, მაგრამ რკინის მესერზე გადახტომისას თითი ვიღრძე, ხელს ნესიერად ველარ ვხმარობ.

გრაფი: რამე რომ იყოს, იმ კაცს იცნობ?

ანტონიო: ეჭვიც არ შეგეპაროთ!.. ერთხელ მაინც რომ შემეხედა...

სიუზანი, ფიგაროს, ჩუმად: არ უნახავს.

ფიგარო: ერთი ქოთნის გამო ამდენი დავიდარაბა? რამდენი გადაგიხადო მაგ შენ ყვავილებში, მტირალავ? თქვენო ბრწყინვალეზავ, იმ კაცის ძებნით ნურავის დაღლით, ფანჯრიდან მე გადავხტი.

გრაფი: ეს როგორ მოხდა?

ანტონიო: „რამდენი მოგცე, მტირალავ?“ ეტყობა, წონაში მოიმატეთ, ადრე უფრო თხელი იყავით და გაცილებით დაბალი. **ფიგარო:** გასაკვირი არაფერია: გადმოხტომისას ყოველთვის იკუნტები...

ანტონიო: მე კი მგონია, ფანჯრიდან ის მამლის ფეხივით წვრილი პაჟი გადმოეშვა.

გრაფი: ფიქრობ, ქერუბინო იყო?

ფიგარო: დიახ, დიახ, სევილიაში ჩავიდა... და ისევ ცხენს ამხედრებულმა წამსვე აქეთკენ გამოუტია.

ანტონიო: არა, ამის მტკიცებას არც ვაპირებ: ცხენით გადმომხტარი რომ დამენახა, ვიტყოდი.

გრაფი: შენს ნათქვამს თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ!

ფიგარო: ქალთა ნახევარზე ვიყავი, და რადგან ძალიან ცხელოდა, თეთრი ქურთუკი მეცვა... სიუზანეტს ველოდებოდი, როდესაც მისი ბრწყინვალეების ხმა შემომესმა. მერე, ყურისწამლები ხმაური ატყდა, წერილი გამახსენდა და შიშმა დამრია ხელი, ჰოდა, მაშინ, ჩემს ჭკუას რა ვუთხარი, წამიც არ დავაყოვნე და პირდაპირ ყვავილების ბუჩქებზე გადავეშვი. მარჯვენა ფეხიც მაშინ ვიღრძე. (ფეხს ისრეს.)

ანტონიო: თქვენ თუ იყავით, მაშინ თქვენი ჯიბიდან ამოვარდნილი ქალაღდის ნაგლეჯი უნდა დაგიბრუნოთ.

გრაფი, ანტონიოს ფურცელს გამოგლეჯს: მომეცი! (ქალაღდის ნაგლეჯს გაშლის, მერე ისევ კეცავს.)

ფიგარო, თავისთვის: გავები.

გრაფი, ფიგაროს: ვფიქრობ, შიშმა თავი იმდენად მაინც არ დაგაკარგვინათ, რომ არ გახსოვდეთ, წერილში რა წერია, თან თქვენს ჯიბეში როგორ აღმოჩნდა.

ფიგარო, დაბნეული ჯიბეებში იქექება და იქიდან ქალაღდებს იღებს: რა თქმა უნდა, არ დამ-

ვინყებია... მაგრამ, ასეთი ნაკუნები იმდენი მაქვს... თანაც ყველას უნდა უპასუხო... (ერთ-ერთ ნაგლეჯს დახევის.) ეს რაღაა? აჰა, მარსელინის წერილი ყოფილა, ოთხგვერიანი: ჩინებულად შეუდგენია! ციხეში ჩაყუდებული საცოდავი ბრაკონიერის წერილი სადღა დავკარგე? არა, არ დამიკარგავს. აჰა, ისიც! მეორე ჯიბეში მცირე ციხე-დარბაზის ავეჯის სიას ვინახავდი. (გრაფი იმ წერილს ხსნის, რომელიც ხელში უკავია.)

გრაფინია, სიუზანს, ხმადაბლა: ღმერთო ჩემო, სიუზან! ეს ხომ ქერუბინოს გამწესების ბრძანებაა!

სიუზანი, ფიგაროს, ჩუმად: ველარაფერი გვიშველის, ეს ქალაღდი გრაფის ბრძანებაა. **გრაფი,** ქალაღდს კეცავს: აბა, თავის დაძვრენის დიდოსტატო, ვერაფერს იხსენებთ?

ანტონიო, ფიგაროს უახლოვდება: მისი ბრწყინვალეობა გეკითხებათ, რამე გაიხსენეთ თუ არა.

ფიგარო, ხელის კვრით იშორებს: ესლა მაკლდა, ვილაც გარენარმა ჭკუის სწავლება დამიწყოს.

გრაფი: მეხსიერება არაფერს გკარნახობთ?

ფიგარო: ოო, **povero***! ეს ეტყობა, ჩვენი სანყალი ბიჭის დანიშვნის ბრძანებაა: სწორედ მან მომცა, მე კი დაბრუნება დამავინყადა. ეს როგორ მომივიდა, რამ გამომასულელა? ბრძანების გარეშე რასა იქმს? უნდა გავიქცე...

გრაფი: თქვენ რატომ გადმოგცათ?

ფიგარო, იბნევა: მითხრა... მითხრა... ბრძანებას რაღაც აკლიაო...

გრაფი, ქალაღდს დახედავს: ვერ გამიგია, რა აკლია?

გრაფინია, სიუზანს, ჩუმად: ბეჭედი.

სიუზანი, ფიგაროს, ჩუმად: ბეჭედი არ აზის.

გრაფი: ენა ჩაგივარდათ?

ფიგარო: საქმეის გახლავთ, რომ... ისა, რომ... მართლაც სულ მცირე რამ აკლია... მითხრა, ამის გარეშე ქალაღდს ძალა არ ექნებაო.

გრაფი: რა დაიჩემეთ, ძალა არ ექნება, ძალა არ ექნება! კი მაგრამ, ასეთი რა აკლია?

ფიგარო: თქვენი ღერბიანი ბეჭედი. თუმცა, ვინ იცის, იქნებ აუცილებელი არც არის.

გრაფი, ქალაღდს გაშლის და განრისხებული ხელში ჭმუჭნის: ვატყობ, სიმართლეს ვერ ველირსები. (თავისთვის) სულ ფიგაროს

*იტალ. საბრალო.

ოინებია, შურს როდისღა ვიძიებ? (განაწყენებული გასასვლელისკენ მიემართება.)

ფიგარო, შეაყოვნებს: ისე წახვალთ, რომ ქორწინების თაობაზე არავითარ განკარგულებას არ გასცემთ?

ოცდამეორე სცენა. ბაზილი, ბართოლო, მარსელინი, ფიგარო, გრაფი, გრიპ-სოლეი, გრაფინია, სიუზანი, ანტონიო, მსახურნი, გლეხები.

მარსელინი, გრაფს: მოითმინეთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, ნურაფერს განკარგავთ! სანამ მის მადლს მოისხამთ, სამართლიანად განგვსაჯეთ! ფიგაროს ჩემ მიმართ გარკვეული ვალდებულებები გააჩნია.

გრაფი, თავისთვის: ჩემი შურისძიების უამიც დადგა!

ფიგარო: ვალდებულებები? რას მიედ-მოედებით, აგვიხსენით!

მარსელინი: ახლავე მოგახსენებთ, ნამუს-გარეცხილო არსებავ! (გრაფინია სავარძელში ფდება, სიუზანი უკან ამოუდგება.)

გრაფი: რას გულისხმობთ, მარსელინ?

მარსელინი: ცოლქმრულ ვალდებულებებს.

ფიგარო: ფულის სესხების ხელწერილს ის-სენებთ? სულ ეს იყო.

მარსელინი: დიახ, ხელწერილს, ჩემზე და-ქორწინების პირობით. თქვენო ბრწყინვა-ლება, ბრწყინვალე კარისკაცი და პროვინ-ციის უზენაესი მსაჯული ბრძანდებით...

გრაფი: სასამართლოს მიმართეთ, მე კი მზად ვარ, სამართლიანი განაჩენი გამოვიტანო.

ბაზილი, მიუთითებს მარსელინს: თუ საქმე იქითკენ მიდის, თქვენო ბრწყინვალეება, ნება მომეცით, განგიცხადოთ, რომ მეც მაქვს გარკვეული უფლებები მარსელინ-თან დაკავშირებით.

გრაფი, თავისთვის: აი, კიდევ ერთი გაიძვე-რა, რომელმაც წერილზე ლაპარაკით გუ-ლი გამინწვრილა.

ფიგარო: ეს ჭკუაარეული გვაკლდა!

გრაფი, ბაზილს, განრისხებული: უფლებები? იმასაც ბედავთ, ღვთის ხელიდან გაგდებუ-ლო ადამიანო, წვრილმანი საჩივრებით თავი მომაბეზროთ!

ანტონიო, ტაშს შემოკრავს: აი, ეს მესმის, რა მაგრად შეუკურთხეთ! სიტყვაც პირდაპირ ზედგამოჭრილია.

გრაფი: მარსელინ! ქორწილი გადაიდება,

სანამ ყველაფერს არ გავარკვევთ, თქვენ სარჩელს, დიდ დარბაზში, ღია სასამარ-თლოზე განვიხილავთ. თქვენ კი, ერთობ პატივცემულო ბაზილ, ერთგულო და სან-დო მსახურო, სოფელში წადით და სასამარ-თლოს წევრებს მოუხმეთ.

ბაზილი: მარსელინის საქმის გასარჩევად?

გრაფი: ის გლეხიც თან მოიყვანეთ, რომელმაც წერილი გადმოგცათ.

ბაზილი: როგორ ვიცნო?

გრაფი: მეურჩებით კიდევ?

ბაზილი: იცით, თქვენთან მუშაობა აქეთ-იქით სარბენლად არ დამინყია.

გრაფი: მაშ, აბა, რისთვის?

ბაზილი: მე საუკეთესო ადგილობრივი ორ-განისტი ვარ, მის ბრწყინვალეება გრაფინი-ას კლავესინზე დაკვრას ვასწავლი, პირის-ფარეშებს სიმღერას, პაუზებს კი მანდოლი-ნის გაკვეთილებს ვუტარებ და მაინც, მთა-ვარი მოვალეობა ის არის, რომ თქვენი სტუმრები, რაწამს ამას ისურვებთ, გიტა-რის დაკვრით შევაქციო.

გრიპ-სოლეი, წინ გამოდის: მე გამაგზავნეთ, თქვენო ბრწყინვალეება, ფეხი - იქ, ფეხი - აქ.

გრაფი: რა გქვია და, საერთოდ, ვინ ხარ?

გრიბ-სოლუი: მე, თქვენო ბრწყინვალეზე, გრიბ-სოლუი გახლავართ. ერთი ტლუ მწყემსი ვარ! ესე იგი, თხებს ვმწყემსავ. აქ კი მაშხალების გასაშვებად გამომიძახეს: დღეს ხომ ზეიმისთვის ემზადებით. აქაურ სამართლის ჭიებს კარგად ვიცნობ.

გრაფი: ბეჯითობისთვის ქების ღირსი ხარ, ნადი. თქვენ კი (მიუბრუნდება ბაზილს), ამ ბატონს თან ეახლეთ და გზა გიტარიტ და სიმღერით შეუმოკლეთ: ისიც ჩემს სტუმრად იგულვეთ.

გრიბ-სოლუი, სიხარულით: რა? მე? თქვენო... (სიუზანი სახელოზე დაქაჩავს და გრაფინაზე მიანიშნებს.)

ბაზილი, გაოცებული: რაო? გრიბ-სოლუის დავემგზავრო და თან დაკვრა-სიმღერით შევაქციო?

გრაფი: ეს თქვენი მოვალეობაა. ნადით, თუ არადა, გაგაგდებთ. (გაღის.)

ოცდამესამე სცენა. იგივენი, გრაფის გარდა

ბაზილი, თავისთვის: არა ბატონო, ძლიერთან ბრძოლა ვის მოუგია? ჰოდა, მეც ვერას გავხდები.

ფიგარო: თანაც ასეთი ყუყუჩი.

ბაზილი, თავისთვის: სხვის ქორწილზე ზრუნვას, სჯობს, საკუთარი გავჩარხო მარსელინთან. (ფიგაროს.) ერთ რჩევას მოგცემ: ჩემს დაბრუნებამდე არაფერი გადანყვიტო. (სცენის სიღრმისკენ მიდის გიტარის ასაღებად.)

ფიგარო, უკან მიჰყვება: ნუ გეშინია, არაფერს მოვიმოქმედებ. შეგიძლია, საერთოდ არ დაბრუნდე... გეტყობა, სიმღერის გუნებაზე არ ხარ, თუ გინდა, მე დავინყებ... აბა, ჰე, შენ დაუკარ, მხიარულად და ხმამაღლა, სი-მი-რე, პატარძალო, მისმინე! (ცეკვით უკან-უკან იხევს და მღერის სეგიდილიას, ყველანი უკან მიჰყვებიან.)

სეგიდილია

არ მინდა ვერცხლი, არ მინდა ოქრო,
ჩემი გოგონა თავს მირჩვენია.

ოდეს მასთან ვარ, მღერის, იცინის,
თეთრი კბილები ბროლად სჩენია.

სიუზონ, ზონ, ზონ!

ზონ, ზონ, სიუზონ!

მისი ერთგული ვიქნები მარად,
ვერას დაგვაკლებს ყინვა, ვერც გვაღვა,
ერთმანეთს ტკბილად შევაბერდებით,

ვერ მოგვერევა ბოროტი ძალა.

სიუზონ, ზონ, ზონ!

ზონ, ზონ, სიუზონ!

(ახლა ხმაშორიდან ისმის.)

ოცდამეოთხე სცენა. სიუზანი, გრაფინია

გრაფინია, სავარძელში: ხომ ნახე, რა ბრძოლა გადავიტანე შენი გადარეულის და მისი ანონიმური წერილის გამო.

სიუზანი: ქალბატონო, ერთი თქვენი გამომეტყველება გენახათ, როდესაც ტუალეტის ოთახიდან გამოვედი. წუთით მკვდრის ფერი დაგედოთ, მერე კი სულ უფრო და უფრო წითლდებოდით!

გრაფინია: ფანჯრიდან გადახტა?

სიუზანი: წამითაც არ დაფიქრებულა. მომხიზვლელი ბიჭია, თანაც ფუტკარივით ფარფატა!

გრაფინია: მერე კიდევ ეს ავბედი მებაღე! ისე ავლელდი, რომ გონების მოკრება ვერ შევძელი.

სიუზანი: რას ამბობთ, ქალბატონო, პირიქით! ახლა მივხვდი, რას ნიშნავს კეთილშობილი აღზრდა. მაღალი წრის ქალბატონები ისე ადვილად ეჩვევიან სიცრუეს, რომ მართალს და ტყუილს ერთმანეთისგან ვერ გაარჩევენ.

გრაფინია: ფიქრობ, გრაფის მოტყუება შევძელი? ციხე-დარბაზში ბიჭს რომ გადაეყაროს?

სიუზანი: წავალ და ვეტყვი, ისე გადამალონ, რომ...

გრაფინია: სჯობს, გაემგზავროს. იმის გადამკიდე, რაც მოხდა, თქვენ მაგივრად ბაღში ვერ გავუშვებ...

სიუზანი: არც მე წავალ, მერე კიდევ, ქორნილი...

გრაფინია, დგება: მოიცა, რა იქნება, შენ და კიდევ ვინმე სხვას მე რომ შევენაცვლო?

სიუზანი: თქვენ თვითონ, ქალბატონო?

გრაფინია: სხვა არვინ... გრაფი თავს ვერ დაიძვრენს... ეჭვიანობას გადავაჩვევ და ლალატისთვის დავსჯი... აი, სეირიც ეს იქნება... მორჩა და გათავდა: პირველი საქმე ხომ კეთილად გასრულდა, ახლა მეორეც ვცადოთ. ახლავე აცნობე, რომ ბაღში შეხვდები, მაგრამ ისე, რომ არავინ...

სიუზანი: არც ფიგარომ?

გრაფინია: არავითარ შემთხვევაში. რამე თუ იგუმანა, თავის გამოდებას მოინდომებს... ხავერდის ქუდი და ხელჯოხი მომანოდე: ტერასაზე გავალ და ყველაფერს

ერთხელ კიდევ ავწონ-დავწონი. (სიუზანი ტუალეტის ოთახში გადის.)

ოცდამეხუთე სცენა. გრაფინია, მარტოა.

გრაფინია: სახიფათო თამაში წამოვიწყეთ! (შემობრუნდება.) ო, ჩემი ბაფთა, ჩემი ლამაზი ბაფთა, სულ დაგივიწყე! (საეარძლიდან ბაფთას იღებს და კეცავს.) აღარასოდეს მოგიშორებ... მუდამ გამახსენებ, ის საბრალო ბიჭი როგორ... ო, გრაფ, რა უბედურებას გადამკიდეთ! მე კი რას ვაკეთებ?

ოცდამეექვსე სცენა. გრაფინია, სიუზანი (გრაფინია ბაფთას გულისპირში მალავს.)

გრაფინია: გახსოვდეს: ფიგაროსთან კრინტი არ დასძრა, ზედმეტი არაფერი წამოგცდეს!

სიუზანი, აღფრთოვანებით: ქალბატონო, ბრწყინვალე ჩანაფიქრია! ამიტომაც გაფასებთ! ყველა ყველას შეურიგდება, ყოველივე კეთილად დასრულდება... ჩემს ქორნილსაც წინ აღარაფერი დაუდგება! (ხელზე კოცნის გრაფინიას. ოთახიდან გადის.)

მესამე მოქმედება

სცენა მიმდინარეობს ციხე-დარბაზის დიდ, ეგრეთ წოდებულ, სატახტო ოთახში; კედელზე, ბალდახინის ქვეშ, მეფის პორტრეტი.

პირველი სცენა. გრაფი, პედრილიო, ქურთუკში, ჩექმებში, დალუქული კონვერტით ხელში.

გრაფი, სწრაფად: ხომ კარგად გამიგე? **პედრილიო:** რა თქმა უნდა, თქვენო ბრწყინვალეზავ. (გადის.)

მეორე სცენა. გრაფი, მარტოა.

გრაფი, ყვირის: პედრილიო!

მესამე სცენა. გრაფი, პედრილიო, ბრუნდება.

პედრილიო: რას მიბრძანებთ, თქვენო ბრწყინვალეზავ!

გრაფი: ვინმეს ხომ არ დაუნახიხარ.

პედრილიო: არც ერთ სულიერს.

გრაფი: არაბული ცხენი წაიყვანე.

პედრილიო: ცხენი შევკაზმე და ბალის ლობესთან დავაბი.

გრაფი: ჰოდა, ახლა სევილიისკენ გაქუსლე!

პედრილიო: სევილიამდე სამი მილიც არ იქნება, მაგრამ ისიც გასავლელია.

გრაფი: როგორც კი ჩახვალ, პირველი ის გაიგე, პაჟი იქ არის თუ არა.

პედრილიო: სასტუმროში მოვიკითხო?

გრაფი: დიახ, მთავარია გაიგო, როდის ჩავიდა.

პედრილიო: გავიგე, ბატონო!

გრაფი: გადაეცი და უკან გამობრუნდი.

პედრილიო: თუ ვერსად ვიპოვე?

გრაფი: კიდევ უფრო ააჩქარე ცხენი და რომ მოხვალ, ყოველივე წვრილად მომახსენე. ახლა კი წადი.

მეოთხე სცენა. გრაფი, მარტოა, ჩაფიქრებული ბოლთას სცემს ოთახში.

გრაფი: ბაზილი არ უნდა გამეშვა, შეცდომა დავუშვი! რისხვას არ უნდა ავყოლოდი. ბაზილი გადმომცემს წერილს, რომელიც მამცნობს, რომ ვილაცას გრაფინიასთან

არშიყი განუზრახავს; ჩემს გამოჩენაზე მოახლე ტუალეტის ოთახში იკეტება, მისი ქალბატონი შიშს აუტანია, შეიძლება თავს იკატუნებს, შეიძლება მართლაც ასეა. ერთი მამაკაცი ფანჯრიდან ხტება, მეორე კი აღიარებს, რომ... ან შეიძლება, ყველაფერი თითიდან გამონწოვა... თავს მაჩვენებს, თითქოს... ვერაფერი გამიგია, ფიქრი გამირბის... რალაც ისე არ არის, ბნელით მოცული ამბავია... ჩემი ვასალების ცელქობა გასაგებია, მათთან არაფერი მესაქმება... მაგრამ, გრაფინია?! ვილაც თავხედი მის პატიოსნებას ემუქრება... აი, სადამდე მივედი! სისხლი ტვინში რომ აგასხამს, ამაზე უარესსაც წარმოიდგენ! გიჟის მონაჩმახია! შეიძლება, ქალბატონი უბრალოდ ერთობა: სიცოცხლს იკავებდა, სიხარულს მალავდა... არა, არა, პატიოსანი ქალის სახელს სიფრთხილით ეკიდება. მაგრამ, ჩემი ღირსება?... რაო, ყველამ დაივიწყა? მე რა დღეში ჩავვარდი. ეშმაკმა დალახვროს! იქნებ, ენაჭარტალა სიუზანმა გათქვა ჩემი საიდუმლო? თუმცა, ჯერ კიდევ არ არის მისი მონაწილე. კი მაგრამ, მეც რა ავიხირე? რამდენჯერ ვეცადე, უარი მეთქვა... ვერა

და ვერ გადავწყვიტე, წარმოუდგენელი გაუბედაობაა! ასეთი ბრძოლა რომ არ გადამეტანა, აქამდე შევეშვებოდი! ფიგარო რატომღაც იგვიანებს! რაღაც არ უნდა დამიჯდეს, სიმართლე უნდა დავსტყუო! (სცენის სიღრმეში გამოჩნდება ფიგარო, ჩერდება.) გავიგებ, იცის თუ არა რაიმე სიუზანისადმი ჩემი გრძნობების შესახებ.

მეხუთე სცენა. გრაფი, ფიგარო

ფიგარო, თავისთვის: დროზე მოვუსწარი.

გრაფი: თუკი სიუზანს სიტყვა გაექცა...

ფიგარო, თავისთვის: არც უამისობაა.

გრაფი: ცოლად ბებრუხანას მივათხოვებ.

ფიგარო, თავისთვის: ბატონ ბაზილის სატროფოს ხომ არა?

გრაფი: მერე კი ქალიშვილსაც მივხედავ.

ფიგარო, თავისთვის: ჩემს ცოლს... კეთილი ინებეთ და ასე უნოდეთ.

გრაფი, შემობრუნდება: რაო? რას ბურტყუნებ?

ფიგარო, უახლოვდება: თქვენს სამსახურში მიგულეთ.

ფიგარო: რაღაც თქვი თუ მომეყურა?

ფიგარო: არაფერი მითქვამს.

გრაფი, იმეორებს: „ჩემი ცოლიო... კეთილი ინებეთო...“

ფიგარო: ეს... წინადადების ბოლო სიტყვებია: „ამის თაობაზე ჩემს ცოლს ელაპარაკეთ... თუ კეთილს ინებებთ.“

გრაფი, სცენაზე ბოლთას სცემს: მის ცოლს!.. ერთი ეს მიბრძანეთ, ჩემო ბატონო, ამდენ ხანს რამ შეგაყოვნათ? მე გიხმობთ, თქვენ კი იგვიანებთ.

ფიგარო, თითქოს ტანსაცმელს ისწორებს: ყვავილნარს დავენარცხე და დავისვარე. ტანსაცმელი გამოვიცვალე.

გრაფი: მთელი საათი მოანდომე?

ფიგარო: საათი არა, მაგრამ დრო მაინც დავკარგე.

გრაფი: ამ სახლში, მსახურები ჩაცმას ბატონებზე მეტ დროს ანდომებენ.

ფიგარო: მოახლეები არ ჰყავთ და ხელს ვერვინ შეაშველებს.

გრაფი: ვერ გამიგია, თავი რატომ ჩაიგდეთ საფრთხეში, ფანჯრიდან რამ გადაგახტუნათ?..

ფიგარო: დიდი საქმე! გადავხტი და ასე მეგონა, მინაში ცოცხლად დავიმარხე...

გრაფი: მასულელებ და თავსაც ისულელებ, ფლიდო მსახურო! საფრთხე სულაც არ მალელებს, ჩემთვის მიზეზია მთავარი.

ფიგარო: ცრუ დაბეზლებას აყოლილი, ნადირობიდან გაშმაგებული ბრუნდებით და სიერა მორენეს ნიაღვარივით გზა-გზა ავეჯს აყირავებთ. ვილაცას ეძებთ, ის კაცი მომიყვანეთო, გაჰყვირით, თუ არადა, მზად ხართ, კარი შეამტვრიოთ, კედლები მტვრად აქციოთ! მეც, შემთხვევით იქ აღმოვჩნდი, და როდესაც თქვენ, ბრაზმორეული...

გრაფი, სიტყვას აწყვეტინებს: შეგეძლო, კიბეზე ჩასულიყავი...

ფიგარო: თქვენ კი დერეფანში წამომენეოდი.

გრაფი, განრისხებული: დერეფანში? (თავისთვის) თავს ვერ ვფლობ; ეს კი კარგს არაფერს მიქადის; ასე ვერაფერს გამოვრჩები. **ფიგარო, თავისთვის:** თავი მოთოკა, ფრთხილად უნდა ვიყო.

გრაფი, თავს სძლევს: რაღაც სხვა უნდა მეთქვა, კარგი მოვრჩეთ! მე... დიახ, ერთი პირობა გადავწყვიტე, ლონდონში წამეყვანეთ დიპლომატიურ შიკრიკად... მაგრამ სალი გონების კარნახით...

ფიგარო: თქვენმა ბრწინვალებამ აზრი იცვალა?

გრაფი: პირველ ყოვლისა, ინგლისურ ენას ვერ ფლობ.

ფიგარო: ვიცი god-dam.*

გრაფი: ვერ გავიგე.

ფიგარო: მე ვთქვი, რომ ვიცი god-dam.

გრაფი: მაინც ვერ გავიგე.

ფიგარო: ჯანდაბა, რა კარგი რამაა ეს ინგლისური! ცოტათი თუ მაინც გეხერხება, ყველაფერს მიაღწევ. God-dam-ით ინგლისში არ დაიკარგები. გნებავთ ლაზათიანად შებრანული ვარიკა დააგემოვნოთ? ნებისმიერ დუქანში შებრძანდით, პატრონს თითები ცხვირწინ დაუტრიალეთ (აჩვენებს, როგორ ატრიალებენ შამფურს), god-dam და წამსვე მოგართმევენ შაშხს უპუროდ. გასაოცარი რამაა! გნებავთ, გადასარევი ბურგუნდიული ღვინო ან კლარეტი გადაყლურნოთ? აი, ასე გააკეთეთ, მეტი არც არაფერი დაგჭირდებათ. (აჩვენებს, როგორ ხსნიან ბოთლს.) God-dam – შესანიშნავ რკინის კათხას პირთამდე ქაფიანი ლუდით

* ინგლ. დამახინჯებით – ეშმაკმა დალახვროს (god-damned).

აგვისებენ! ო რა სილამაზეა! თეძოების რწევა-რწევით მიმავალ ლამაზმანს გადაეყარეთ? თვალები მინისკენ დაუხრია, მკლავები ზურგს უკან შემოუდია და პანანინა ნაბიჯებით ქურჩას მიუყვება. ფაქიზი მოძრაობით თითები ტუჩებთან მიიტანეთ და აჰ, god-dam! ერთ მაგარ ალიყურსაც გამოსტყუებთ – ესე იგი, ყველაფერი კარგად გაიგო. უნდა გითხრათ, ინგლისელები საუბარში სხვა სიტყვებსაც გამოურევენ, მაგრამ ადვილად დარწმუნდებით, რომ god-dam მათი მეტყველების გულის-გულია. ამრიგად, თუ თქვენს ბრწყინვალეებას ესპანეთში ჩემს დასატოვებლად სხვა მიზეზი არაფერი აქვს...

გრაფი, თავისთვის: ერთი სული აქვს, სანამ ლონდონისკენ გაუტევეს. გამოდის, სიუზანს მისთვის არაფერი უთქვამს.

ფიგარო, თავისთვის: ჰგონია, რომ არაფერი ვიცი. ღმერთმა შეიბრალოს!

გრაფი: გრაფინიამ ეს ოინი რა მიზნით მომინყო?

ფიგარო: პატიოსნებას ვფიცავ, თქვენო ბრწყინვალეებავ, თქვენ ჩემზე კარგად მოგეხსენებათ.

გრაფი: ყოველ სურვილს ვუსრულებ, საჩუქრებს არ ვაკლებ...

ფიგარო: საჩუქრებით ავსებთ, მაგრამ ლატობთ. როდესაც აუცილებელს გართმევენ, სიმდიდრეს რა თავში იხლი?

გრაფი: ადრე არაფერს მიმალავდი.

ფიგარო: ახლაც სრულ სიმართლეს მოგახსენებთ.

გრაფი: გრაფინიამ საქმეში გასაყვანად რამდენი შეგაძლია?

ფიგარო: თქვენ რამდენი გადამიხადეთ, ექიმის ხელებიდან რომ დამეხსნა? თქვენო ბრწყინვალეებავ, ერთგულებას არ მიფასებთ, შეურაცხყოფას მაყენებთ და თან მთხოვთ, არასოდეს გიმუხთლოთ.

გრაფი: რატომ ხდება, რომ ყოველი შენი ქმედება საეჭვოდ მეჩვენება?

ფიგარო: იმიტომ, რომ როდესაც ვინმეს სურს, რაღაც არ უნდა დაუჯდეს, რაღაც მაინც გამოჩხრიკოს, ყოველივეს ეჭვის თვალთ უცქერს.

გრაფი: იცი, რომ საშინელი სახელი დაიგდე?!

ფიგარო: მე გაცილებით მეტი ვღირვარ, ვიდრე ჩემი რეპუტაცია. განა, ბევრ დიდებულს შეუძლია ამის მტკიცება?

გრაფი: იმის მოწმეც ვარ, მრუდე გზით რამდენჯერ გამდიდრდი.

ფიგარო: სხვა რა გზას დავდგომოდი? ბევრი მეტოქე გამომიჩნდა; ყველა პირველობას ესწრაფვის, ერთმანეთს მუჯღლუგუნებით უმასპინძლდებიან, სხვების გზიდან გადაგდებას ცდილობენ – ვინც უფრო გაქნილია, იმას უმართლებს, სუსტი და მოუქნელი პირში ჩალაგამოვლებული რჩება. ასეა თუ ისე, მეყოფა, დავიღალე.

გრაფი: კეთილდღეობისგან? (თავისთვის) ესეც ახალი ამბავი!

ფიგარო, თავისთვის: ახლა ჩემი ჯერია. (ხმა-მალლა) თქვენ, თქვენო ბრწყინვალეებავ, ციხე-დარბაზის მოურავობა მიბოძეთ – რალა დავმალო და შესაშური სამსახურია! მართალია, შიკრიკობა არ მეღირსა და ცხელ-ცხელ ამბებსაც აქა-იქ ვერ წავიდნამოვიღებ, მაგრამ საყვარელ ცოლთან ერთად ანდალუზიის მივარდნილ კუთხეში ნებივრობაც...

გრაფი: ვინ გიმლის ცოლი ლონდონში იახლო?

ფიგარო: იძულებული ვიქნები, ხშირად მარტო დავტოვო და ვშიშობ, ცოლქმრული ცხოვრება წამებად არ მექცეს.

გრაფი: შენი მარიფათით და ჭკუით წინსვლა არ გაგიჭირდება.

ფიგარო: ჭკუას წინსვლასთან რა ხელი აქვს? ხუმრობთ, თქვენო ბრწყინვალეებავ? მონურად მორჩილი ჭკუამოკლე არსება – აი, ვინ აღწევს წარმატებას!

გრაფი: შენ მხოლოდ ისლა გაკლია, რომ ჩემს ხელში პოლიტიკის ხელოვნებას დაეუფლო. დანარჩენი ადვილი საქმეა.

ფიგარო: პოლიტიკის რა მესწავლება, ხუთი თითივით ვიცი.

გრაფი: ისევე, როგორც ინგლისური. ორი-ოდე საყველპურო სიტყვა და...

ფიგარო: გეთანხმებით, ვერაფრით დავიტრაბახებ. ყველას თავი უნდა მოაჩვენო იმად, ვინც არ იცის ის, რაც ყველასთვის ცნობილია და იცის ის, რასაც სხვა არავინ უწყის; იმად, ვისაც ესმის ის, რაც სხვას ვერა და ვერ გაუგია და არ ესმის ის, რაც ყველას გასაგონად ითქმის; მთავარია, თავი მოაჩვენო, რომ შეგიძლია საკუთარი შესაძლებლობები გადალახო, საკუთარ თავზე მალლა დადგე, ხშირად საიდუმლოდ აქციო ის, რაც არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს; უნდა ჩაიკეტო სამუშაო ოთახში

მხოლოდ იმისთვის, რომ ფანქრები თალო და ფიქრებში ჩაძირული კაცის იერი მიიღო, ხოლო თავში ქარი გიქროდეს; ავად თუ კარგად, უნდა გაითამაშო ღირსეული ადამიანის როლი, ყველასგან დაფასებულისა, ამრავლო შენ გარშემო დამსმენნი და დააპურო მოლაღატენი, გაალხვო ცვილის ბეჭდები კონვერტებზე, მიიტაცო სხვისი წერილები და მალალი მიზნით გაამართლო მდაბალი საშუალებები. აი, მთელი თქვენი პოლიტიკა. დაე, მინა გამისკდეს, თუ ვტყუოდე!

გრაფი: ამას ინტრიგა ჰქვია და არა პოლიტიკა!

ფიგარო: პოლიტიკა, ინტრიგა: რაც გნებავთ, ის დაარქვით. ისე ენათესავებიან, სულერთია, რომელს რას უწოდებ. „მე კი ჩემი ლამაზმანი ყველას მირჩევნია.“ როგორც იმ სიმღერაშია, კეთილ მეფეს რომ ეძღვნება.

გრაფი, თავისთვის: აქ დარჩენა სურს, ყოველივე ნათელია... სიუზანმა დამასმინა.

ფიგარო, თავისთვის: ანკესზე წამოვაგებ და საკადრისს მივუზღავ.

გრაფი: იმედი გაქვს, რომ მარსელინს სასამართლოს მოუგებ?

ფიგარო: ნუთუ იმაში მდებთ ბრალს, რომ ბებრუხანაზე დაქორწინებას არ ვაპირებ, იმ დროს, როდესაც თქვენი ბრწყინვალე-ბა ლამაზ ქალიშვილებს ერთიმეორის მიყოლებით ხელიდან გვაცლის?!

გრაფი, დამცინავად: სასამართლოსთვის მხოლოდ კანონია უზენაესი. მსჯავრმდებელი...

ფიგარო: ძლიერთათვის მიმტევებელი, სუსტებისთვის – ულმობელი.

გრაფი: გგონია, გეხუმრები?

ფიგარო: თქვენ ვინ გაგიგებთ, თქვენო ბრწყინვალეზავ! „დრო პატიოსანი ადამიანია“, – ამბობენ იტალიელები, ისინი კი არასოდეს ტყუიან. დიახ, დრო მაჩვენებს, ვინ არის ჩემი მოკეთე და ვინ მტერი.

გრაფი, თავისთვის: ეტყობა ყველაფერი იცის. გადია უნდა მივათხოვო.

ფიგარო, თავისთვის: ეშმაკივით შემომიჩინდა. დავიჯერო, რაიმეს მიხვდა?

მუქვესე სცენა. გრაფი, მსახური, ფიგარო

მსახური, მოახსენებს: დონ გუსმან ბრიდუაზონი!

გრაფი: ბრიდ-უაზონი?

ფიგარო: სწორედაც რომ! აქაური მოსამართლე გახლავთ. სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, თქვენი სამსჯავროს მუდმივი წევრი.

გრაფი: დამელოდოს. (მსახური გადის.)

მეშვიდე სცენა. გრაფი, ფიგარო

ფიგარო, ჩუმად შესცქერის ფიქრებში წასულ გრაფს: სულ ეს იყო, რაც გნებავდათ, თქვენო ბრწყინვალეზავ?

გრაფი, გამოფხიზლდება: რა მნებავდა?... ვუბრძანე, დარბაზი სასამართლოსთვის მოემზადებინათ.

ფიგარო: მგონი, ყველაფერი ადგილზეა, არაფერი აკლია. აი, ეს დიდი სავარძელი თქვენთვის, ეს ფეხმაგარი სკამები სასამართლოს წევრებისთვის, ტაბურეტი მდივნისთვის, ორი სკამი ვექილებისთვის, იატაკი სუფთა სტუმრებისთვის, წვრილფეხობა კი, ჩვეულებისამებრ, კედელთან აიტუხებიან. წავალ, დამლაგებლებს მივხედავ. (გადის.)

მერვე სცენა. გრაფი, მარტოა.

გრაფი: ამ ოინბაზმა თავგზა ამირია! კამათში ტოლი არ ჰყავს, ჯიქურ აწვება, სიტყვების ალყაში აქცევს... აი, თურმე რაშია საქმე, ორმა ონავარმა ჩემი გაცუცურაკება გადანყვიტა! დაე, იყავით მეგობრები, თუ გნებავთ, საყვარლები, რაც გნებავთ, ის იყავით, – ყველაფერზე თანახმა ვარ, ეშმაკმა დალახვროს, მაგრამ ცოლი და ქმარი...

მეცხრე სცენა. სიუზანი, გრაფი

სიუზანი, სუნთქვაშეკრული: თქვენო ბრწყინვალეზავ!... მაპატიეთ, თქვენო ბრწყინვალეზავ!

გრაფი, გაბრაზებული: რა ხდება, ქალბატონო? **სიუზანი:** თქვენ ბრაზობთ?

გრაფი: ეტყობა, რაღაც უნდა მთხოვოთ.

სიუზანი, შიშნარევი ხმით: გრაფინიას შაკიკი აწუხებს. მინდოდა, თქვენთვის ეთერი მეთხოვა. ახლავე დაგიბრუნებთ.

გრაფი, აწედის შუშას: არა, არ არის საჭირო, დაიტოვეთ. მალე თქვენც დაგჭირდებათ.

სიუზანი: ჩვენი წოდების ქალიშვილებს შაკიკი არ ანუხებთ, ნერვებს არ უჩივიან. ეს ბატონების ავადობაა: მხოლოდ ბუდუარებში თუ შეგეყრება.

გრაფი: შეყვარებული საცოლე, რომელიც საქმროს კარგავს...

სიუზანი: თუკი მარსელინს თქვენ მიერ შეპირებული სამზითვოდან ცოტაოდენ ფულს ვუწილადებ...

გრაფი: მე შეგპირდით?

სიუზანი, თვალებს ხრის: იმედი მაქვს, სმენა ჯერ არ მღალატობს, თქვენო ბრწყინვალეზე.

გრაფი: არ მოგყურებიან, სწორი ბრძანებაა, მაგრამ თქვენ ყველაფერში უნდა მომენდოთ.

სიუზანი, ისევ იატაკ ჩასჩერებია: ჩემი ვალია, გემორჩილოთ, თქვენო ბრწყინვალეზე.

გრაფი: ადრე გეთქვა, სასტიკო კუდრაჭავ! ამდენს ხომ არ გავწვალდებოდი?

სიუზანი: სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

გრაფი: როდესაც მოსაღამოვდება, ბაღში ხომ გამოხვალ?

სიუზანი: საღამოობით მუდამ ბაღში ვსეირნობ.

გრაფი: ისე მკაცრად მეპყრობოდი!

სიუზანი: ამ დილით? სავარძლის უკან პაუი გახსოვთ?

გრაფი: მართალი ხარ, გამახსენდა. ერთი ეს მითხარი, რატომ იუარე, როდესაც ბაზილმა ჩემი სახელით...

სიუზანი - ...სულაც არ მეპიტნავენა, რომ ვილაც ბაზილმა...

გრაფი: გეთანხმები. მაგრამ არის კიდევ ერთი ვილაც, ფიგარო. ვშიშობ, რომ მას ყველაფერი ჩაუკაკლე.

სიუზანი: რა თქმა უნდა, თავიდან ბოლომდე... ყველაფერი ვუამბე, იმის გარდა, რისი ცოდნაც მას არ ეგების.

გრაფი, იცინის: ო, რა ტკბილად მღერი! სიტყვას მაძლევ, თუ მომატყუებ? ერთი იცოდე, ჩემო მზეთუნახავო! პაემანის გარეშე ნურც სამზითვოზე იფიქრებ და ქორწილის იმედიც ნუ გექნება.

სიუზანი, თავს უკრავს: ქორწილი თუ ჩაიშალა, სენიორის პირველი ღამის უფლებაც მას მიჰყვება, თქვენო ბრწყინვალეზე!

გრაფი: ამდენი საიდან იცის? პატიოსნებას ვფიცავ, ამ ქალიშვილზე ჭკუას ვკარგავ!.. ჰო, მართლა, შენს ქალბატონს წამლის ლოდინში გული გადაეღვევა.

სიუზანი, სიცილით უბრუნებს შუშას: ეს მხოლოდ საბაბი იყო. უმიზეზოდ როგორ დაგელაპარაკებოდით!

გრაფი, ცდილობს მოეხვიოს: ზეცამ მოგავლინა! **სიუზანი**, თავს დააღწევს: ვილაც მოდის.

გრაფი, თავისთვის: ჩემია! (გარბის.)

სიუზანი: გრაფინიასთან ნავალ და ყველაფერს წვრილად მოვახსენებ.

მეათე სცენა. სიუზანი, ფიგარო

ფიგარო: სიუზანი! სიუზანი! ეს-ეს არის მის ბრწყინვალეებას ელაპარაკებოდი; ახლა ასე თავქუდმოგლეჯილი სად გარბიხარ?

სიუზანი: ახლა შეგიძლია მშვიდად იყო და სასამართლოზე არ იფიქრო: საქმე მოგებული გაქვს. (გარბის.)

ფიგარო, გამოედევნება: დამელოდე, მითხარი...

მეთერთმეტე სცენა. გრაფი, მარტოა, უკან ბრუნდება.

გრაფი: „საქმე მოგებული გაქვს“! ცარიელზე დამსვეს! აბა, ჩემო პატარა თავხედებო, ახლა მე მაცალეთ! ჭკუას გასწავლით... განაჩენს ყველა წესის დაცვით გამოვი-

ტანთ... მაგრამ მარსელინს ფული თუ გადაუხადა... მერედა, რითი? რომ გადაუხადოს... პატიოსანი ანტონიო უნდა მოვიშველიო. კეთილშობილება და ღირსება ნებას არ მისცემს, საკუთარი ძმისშვილი უმგვაწო ფიგაროს მიათხოვოს... ეს აზრი თავში უნდა ჩავუჭედო... რატომაც არა? ინტრიგის ვრცელ ველზე ნაირგვარი მცენარე ხარობს, მათ შორის ბრიყვული ამპარტავნობაც... (ეძახის) ანტო... (შეამჩნევს, რომ მარსელინი და დანრჩენები მოდიან... გადის.)

მეთორმეტე სცენა. ბართოლო, მარსელინი, ბრიდ-უაზონი

მარსელინი, ბრიდ-უაზონს: ბატონო, ნება მიბოძეთ, გაგაცნოთ ჩემი სარჩელი.

ბრიდ-უაზონი, მოსამართლის მანტიაში, ენას უკიდებს: მზად ვარ მო-ოგისმინოთ. წარმომიდგინეთ თქვენი სა-ა-არჩელი.

ბართოლო: საქმე ეხება საქორწინო ხელშეკრულებას.

მარსელინი: და თამასუქს...

ბრიდ-უაზონი: მე-ესმის და ასე შემდეგ და ასე და ამგვარად, გა-ა-აგრძელეთ!

მარსელინი: არა, არა, თქვენო ღირსებავ, არავითარი „ასე შემდეგ“.

ბრიდ-უაზონი: გა-ავიგე. ფული გადმოგცეს?

მარსელინი: არა, თქვენო ღირსებავ, ფული მე გავასესხე.

ბრიდ-უაზონი: მაშ, ასე... მე-ესმის, თქვენ სესხის დაბრუნებას ითხოვთ.

მარსელინი: სულაც არა, თქვენო ღირსებავ, ვითხოვ, რომ ცოლად შემირთოს.

ბრიდ-უაზონი: აი, თურმე რაშია საქმე. მე-ესმის, მე-ესმის. მას თუ სურს თქვენზე დაქორწინება?

მარსელინი: არა, თქვენო ღირსებავ. აი, აქ არის სწორედ ძაღლის თავი დამარხული. ჩემი სარჩელიც ამას ეხება.

ბრიდ-უაზონი: თქვენ გ-გონიათ, მე არ მე-ესმის რაში მდგო-ომარეობს თქვენი საქმე?

მარსელინი: სწორედაც, რომ არ გესმით, თქვენო ღირსებავ. (ბართოლოს) ეს რას ჰგავს? (ბრიდ-უაზონს) თქვენ უნდა გავგვასამართლოთ?

ბრიდ-უაზონი: ჩემი თანა-ამდებობა სწორედ ამისთვის ვიყიდე.

მარსელინი, ოხრავს: საშინელებაც ეს არის,

რომ ჩვენთან თანამდებობის ყიდვა ყველას შეუძლია.

სიუზანი: რა თქმა უნდა, უ-უკეთესი იქნებოდა, უფასოდ იძლეოდნენ. მოპა-ასუხე რომელია? ვის უ-უჩივით?

მეცამეტე სცენა. ბართოლო, მარსელინი, ბრიდ-უაზონი, ხელების ფშვნეტით შემოდის ფიგარო

მარსელინი, ფიგაროზე უთითებს: აი, ამ ნამუსგარეცხილ კაცს, თქვენო ღირსებავ. ფიგარო, მარსელინს, მხიარულად: ხელი ხომ არ შეგიშალეთ? ბატონო მოსამართლე, მისი ბრწყინვალება ახლავე გეახლებათ.

ბრიდ-უაზონი: სა-ადლაც მინახავს ეს ყმა-ანვილი.

ფიგარო: თქვენს მელლესთან მიხილავდით, სევილიაში, ბატონო მოსამართლე, რალაც საქმისთვის გამომიძახა.

ბრიდ-უაზონი: რო-ოდის ი-იყო?

ფიგარო: თქვენი უმცროსი ვაჟიშვილის დაბადებამდე რალაც ერთი წლით ადრე. გადასარევი ბავშვია, მისით ძალიან ვამაყობ.

ბრიდ-უაზონი: დიახ, ასეა. შვილებში ყვე-

ლაზე ლამაზია. შენ კი ყმა-ანვილო, ამბობენ, ო-ოინბაზობ.

ფიგარო: მიხარია, რომ ჩემზე ასე ზრუნავთ, თქვენო ღირსებავ. არა, ისეთი არაფერი. ლაპარაკადაც არ ღირს.

ბრიდ-უაზონი: საქორწინო ხელშეკრულება? დაგავინყდა, ჩე-ერჩეტო?!

ფიგარო: რატომ კადრულობთ, თქვენო ღირსებავ?

ბრიდ-უაზონი: ჩემს მოადგილეს თუ ე-ესაუბრე? ყოჩალი ჭაბუკია!

ფიგარო: დუბლ-მენს გულისხმობთ? სასამართლოს მდივანს?

ბრიდ-უაზონი: დიახ, თავისას არავის დაუთმობს.

ფიგარო: დათმობა რას მიქვია, ორივე ხელით ჩაეჭიდება, მიდი და გააგებინე! საქმეში გამოვცადე, ამონაწერი ვთხოვე, თავის დანამატიანად, როგორც წესი ითხოვს.

ბრიდ-უაზონი: დიახ, კანონის მო-ოთხოვნები ყველამ უნდა დაი-იცვას!

ფიგარო: მეც მანდა ვარ, თქვენო ღირსებავ. თავადაც მოგეხსენებათ, სასამართლო პროცესი უშუალოდ მოჰაექრეებს ეხება, ფორმას კი მოსამართლეები ადგენენ.

ბრიდ-უაზონი: არც ისეთი ბრი-იყვი ჩანს, როგორც ადრე მო-ომეჩვენა. მაშ, რადგან ასეთი გა-ანაფული ყო-ოფილხარ, შენს საქმეს როგორც ე-ეგების, ისე გამო-ოვიკვლევთ, წვრი-ილმანებიანად.

ფიგარო: მე, თქვენო ღირსებავ, სრულ ნდობას გიცხადებთ, თქვენი მიუკერძოებლობის იმედი მაქვს, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მოხელე ბრძანდებით.

ბრიდ-უაზონი: რაო? დიახ, სასამართლოს მოხელე გახლ-ავართ. მაგრამ ფული თუ ა-აიღე და სე-ესხს არ აბრუნებ...

ფიგარო: ეს იგივეა, ვითომც არაფერი ამიღია.

ბრიდ-უაზონი: სწორი ბრძანებაა. და-ამაცა, და-ამაცა, რაო, რა-ა თქვი?

მეთოთხმეტე სცენა. ბართოლო, მარსელინი, გრაფი, ბრიდ-უაზონი, ფიგარო, სასამართლოს აღმსრულებელი

სასამართლოს აღმსრულებელი, აცხადებს: ბატონებო! მისი ბრწყინვალეობა გვეახლა!

გრაფი: ბატონო ბრიდ-უაზონ! ოჰო, მანტია მოისხით? ეს შინაურული საქმე ამაღ არ ღირს! ჩვეულებრივი გამოსასვლელი ტანსაცმელიც ზედმეტი მეჩვენება!

ბრიდ-უაზონი: ერთობ კე-ეთილი ბრძან-
დებით, თქვენო ბრწყინვალეებავ! მაგრამ
საქმე ის გახლავთ, რომ მე მუდამ ასე მა-
აცვია: ხომ გესმით, ფო-ორმა ფო-ორმაა.
გაქუცულ ქუ-ურთუკში გამოწყობილ მო-
სამართლეს დაცინვა არ ასცდება, მაგრამ
მა-ანტიამოსხმული პროკურორის დანახ-
ვაზე, ტანში ურუანტელი დაგივლის. ფო-
ორმა, ფო-ორმაა. აი, რა არის მთა-ავარი!
გრაფი, სასამართლოს აღმსრულებელს: კარი
გააღეთ.

სასამართლოს აღმსრულებელი, კარს
აღებს, წვრილი ხმით: სასამართლო მოდის!

მეთხუთმეტე სცენა. იგივენი, ანტონიო,
მსახურები, გლეხები, საზეიმო ტანსაცმელში,
გრაფი ფართო სავარძელში ჯდება, ბრიდ-
უაზონი გვერდით მიუჯდება; მდივანი, ტაბუ-
რეტზე, მაგიდასთან; სასამართლოს წევრები
და ვეჟილები სკამებზე სხდებიან; მარსელინი
ბართლოს გვერდითაა, ფიგარო მეორე სკამს
ირჩევს, გლეხები და მსახურები უკან დგანან.

ბრიდ-უაზონი, დუბლ-მენს: დუბლ-მენ, სა-
აქმის არსი გაგვაცანით!

დუბლ-მენი, კითხულობს: კეთილშობილი,

უკეთილშობილესი და ზეკეთილშობილი
დონ პედრო ჟორჟი, იდალგო, ბარონი დე
ლოს ალტოსი, მონტეს ფიეროსი და სხვა-
თა და სხვათა მონტესებისა, აღძრავს საქ-
მეს ახალგაზრდა დრამატურგი პოეტის,
ალონსო კალდერონის წინააღმდეგ. ცილო-
ბის მიზეზი ერთი მკვდრადშობილი კომე-
დიაა: ორივენი უარყოფენ მის ავტორობას,
თითოეული ამტკიცებს, რომ კომედია მან
კი არა, მისმა მოკამათემ დაწერა.

გრაფი: ორივე მხარე მართალია. საქმე გან-
ხილვას არ ექვემდებარება! დაე, ორთავემ ერ-
თად დაწეროს ახალი ნაწარმოები, ისეთი, რო-
მელიც მაღალი წრის ყურადღებას დაიმსახუ-
რებს, პოეტები პიესას საკუთარ ტალანტს
მოახმარენ, სამეფო კარის მავანი დიდებული
კი საკუთარი სახელით გამოაქვეყნებს.

დუბლ-მენი, აგრძელებს კითხვას: „ანდრე პეტ-
რუჩო, მიწათმოქმედი, აღძრავს საქმეს ად-
გილობრივი გადასახადების ამკრეფის წი-
ნააღმდეგ“. მომჩივანი მოპასუხეს გადასა-
ხადების უკანონო შეწერვაში სდებს ბრალს.

გრაფი: ეს საქმე ჩემი განსასჯელი არ გახ-
ლავთ. მე ჩემს ქვეშევრდომებს უფრო მეტ
სიკეთეს მოვუტან, თუკი მეფის წინაშე მათ

ინტერესებს დავიცავ. (დუბლ-მენი შესამესა-
ქალაღდეს იღებს. ბართოლო და ფიგარო ფეხზე
დგებიან.)

დუბლ-მენი: „ბარბ-აგარ-რააბ-მადლენ-
ნიკოლ-მარსელინ დე ვერტ-ალიური, უფ-
როსი ქალიშვილი. (მარსელინი წამოდგება და
საკრებულოს თავს უკრავს) აღძრავს საქმეს...
ფიგაროს წინააღმდეგ...“ ნათლობის სა-
ხელს ვერსად ვხედავ.

ფიგარო: ანონიმი...

ბრიდ-უაზონი: ა-ანონიმი?! გა-ანა ასეთი
წმინდანი ა-არსებობს?

ფიგარო: დიახ, ჩემი მფარველია.

დუბლ-მენი, წერს: „ანონიმ ფიგაროს წინა-
აღმდეგ“. წოდება?

ფიგარო: აზნაური.

გრაფი: აზნაური ბრძანდებით? (მდივანი წერს.)

ფიგარო: ღმერთს რომ ენება, პრინცის ვა-
ჟიშვილიც ვიქნებოდი.

გრაფი, მდივანს: განაგრძეთ!

**სასამართლოს აღმსრულებელი, წვრილი
ხმით:** ჩუმად, ბატონებო!

დუბლ-მენი, კითხულობს: „...აღძრავს საქ-
მეს ზემოხსენებული ფიგაროს მიერ ზე-
მოხსენებულ ვერტ-ალიურზე დაქორწინე-

ბისტოვის თავის არიდების გამო. მომჩივა-
ნის მოთხოვნებს დაიცავს ექიმი ბართო-
ლო, ზემოხსენებული ფიგარო კი, თუკი
საკრებულოც თანახმაა, ჩვეულებისა და
სასამართლო დადგენილების გვერდის ავ-
ლით, თვით დაიცავს საკუთარ თავს“.

ფიგარო: ჩვეულება, ბატონო დუბლ-მენ,
ხშირად ბოროტების სათავედ იქცევა. კლი-
ენტი, რომელმაც საქმის წარმოების ანა-ბა-
ნა იცის, ვექილზე უკეთ ერკვევა საკუთარ
საქმეში. ვექილები ტყავიდან ძვრებიან და
ხმის ჩახლეჩამდე გაყვირიან, რათა საკუთა-
რი განსწავლულობა დაამტკიცოს ყველა-
ფერში, გარდა საკუთრივ საქმისა. ამავე
დროს არად ენაღვლებათ, რომ ჯიბე დაუ-
ცარიელეს კლიენტს, თავი მოაბეზრეს
მსმენელებს და მიაძინეს მსაჯულები. სიტყ-
ვას რომ გაასრულებენ, წამს გაიბრიქებიან,
ცა ქუდად არ მოეჩვენებათ, დედამინა კი ქა-
ლამნად, და ისე იფხორებიან, გეგონებათ,
საკუთარი ხელით დაწერეს „Oratorio pro
Murena“.* ასე და ამრიგად, ბატონებო...

* ციცერონის ცნობილი საჯარო სცენა „სიტყვა წარ-
მოთქმული მურენას დასაცავად“. მურენა: რომაე-
ლი კონსული, უკანონო გარიგებებში მხილებული და
ციცერონის მიერ გამართლებული.

დუბლ-მენი: ზედმეტებში გადადიხართ! თქვენ მომჩივანი არ ბრძანდებით. თქვენი ამოცანა საკუთარი თავის დაცვაა. ექიმო! მოგვიახლოვდით და მოპასუხის მიერ წერილობით ნაკისრი ვალდებულების შინაარსი გაგვაცანით.

ფიგარო: დიახ, გაგვაცანით.

ბართოლო, სათვალეს იკეთებს: მოგახსენებთ, რომ არაორაზროვანია და ადვილად გასაგები!

ბრიდ-უაზონი: ა-აუცილებლად უნდა გა-ა-ვეცნოთ.

დუბლ-მენი: სიჩუმე, ბატონებო!

სასამართლოს აღმსრულებელი, წვრილი ხმით: ჩუმად!

ბართოლო, კითხულობს: „მე, ქვემოთ ხელისმომწერი, ვადასტურებ ამა საბუთით, რომ გადმომეცა ქალიშვილ... და ასე შემდეგ, და ასე დაამგვარად... მარსელინ ვერტალიურისგან, აგუას ფრესკასის ციხე-დარბაზში, ორი ათასი პიასტრი ნალდი ფული, „რომელსა თანხას უცილობლივ დავუბრუნებ ამავე ციხე-დარბაზში მისი მოთხოვნისა თუ უბრალო შეხსენებისთანავე და ნიშნად მაღლიერებისა ვიქორწინებ მასზედ...“

და ასე შემდეგ. ხელმოწერილია უბრალოდ, ვინმე „ფიგაროს“ მიერ. ჩემი დასკვნა შემდეგი გახლავთ: მოპასუხე ვალდებულია დააბრუნოს სესხი, აღასრულოს მიცემული პირობა და სასამართლოს ხარჯები აანაზღაუროს. (იწყებს სიტყვას.) ბატონებო! სამართლის ისტორიას მსგავსი საქმე არ ახსოვს. მოყოლებული ალექსანდრე მაკედონელიდან, რომელმაც პირობა დადო, ცოლად შეერთო უმშვენიერესი თალესტრისი...

გრაფი, აწყვეტინებს: სანამ დამცველი სიტყვას გააგრძელებს, უპრიანი იქნება, საბუთის ვარგისიანობა დავადგინოთ.

ბრიდ-უაზონი, ფიგაროს: საბუთთან დაკავშირებით არსებითი შენიშვნები ხომ არ გაქვთ?

ფიგარო: თავს ვალდებულად ვრაცხ, შევნიშნო, რომ არ ვიცი დაუკვირვებლობის, შეცდომის ან იქნებ წინასწარგანზრახვისა გამო, ტექსტი დამახინჯებით იქნა წაკითხული, რამეთუ იქ თქმული ის კი არ არის: „რომელსა თანხას უცილობლივ დავუბრუნებ და ვიქორწინებ მასზედ“, არამედ „რომელსა თანხას დავუბრუნებ ან ვიქორწინებ მასზედ“. ეს კი მოგეხსენებათ, ერთი და იგივე არ გახლავთ.

გრაფი: ტექსტში რა წერია? „და“ თუ „ან“?
ბართოლო: „და“.

ფიგარო: „ან“.

ბრიდ-უაზონი: დუ-უბლმენ! თქვენ ნაი-
 კითხეთ!

დუბლ-მენი, იღებს ფურცელს: ასე აჯობებს,
 რამეთუ მხარეები კითხვისას ხშირად გან-
 ზრახ ამახინჯებენ ტექსტს. (ეკითხულობ.)
 „ჰმ, ჰმ, ქალიშვილი... ჰმ, ჰმ... დევერტ-ალი-
 ური... ჰმ, ჰმ..“ ჰო, მივაგენი! „რომელსა
 თანხას უცილობლივ დავუბრუნებ ამავე
 ციხე-დარბაზში მისი მოთხოვნისა თუ უბ-
 რალო შეხსენებისთანავე... „და“... „ან“...
 „და“... „ან“. ვერ გამირჩევია, გაურკვეველად
 წერია... მელნის ლაქა ფარავს...

ბრიდ-უაზონი: ლა-აქა? ამ ლა-აქებისა არ
 მესწავლება. ვიცი, როგორ ჩნდე-ბიან!
ბართოლო, სიტყვას აგრძელებს: ვამტკიცებ,
 რომ საქმე ეხება გამაერთიანებელ სიტყ-
 ვას, მაკავშირებელს წინადადების წევრე-
 ბისა: ქალიშვილს ფულს დავუბრუნებ და
 ვიქორწინებ მასზედ.

ფიგარო, სიტყვას აგრძელებს: მე კი ვამტკი-
 ცებ, რომ ეს განმაცალკავებელი კავშირი
 „ან“ გახლავთ, რომელიც წინადადების

წევრებს, ერთმანეთს აშორებს: „გადავიბ-
 დი ან ვიქორწინებ“. მოვიდა სეტყვა, დახვ-
 და ქვა. გინდ ლათინურად ალაპარაკდეს, მე
 ჩემი ბერძნულით მოვაკეტინებ.

გრაფი: ამ შემთხვევაში როგორ მოვიქცეთ?
ბართოლო, ნაჩქარევად: საბოლოო წერტი-
 ლის დასასმელად, სიტყვებს რომ აღარ გა-
 მოვედევნოთ, ერთში შევთანხმდეთ: ტექ-
 სტში წერია „ან“.*

ფიგარო: ვითხოვ, ოქმში შეიტანოთ!
ბართოლო, ნაჩქარევად: თანახმა ვარ. მოპა-
 სუხეს ასეთი იაფი ხრიკი არ გაუვა. ტექსტში
 ყოველივე აშკარაა. (ეკითხულობს.) „რომელ-
 სა თანხას უცილობლივ დავუბრუნებ ამავე
 ციხე-დარბაზში მისი მოთხოვნისა თუ უბ-
 რალო შეხსენებისთანავე და ნიშნად მად-
 ლიერებისა ვიქორწინებ მასზედ...“ მსგავ-
 სად ამისა, ბატონებო, ამბობენ: „თქვენ
 სისხლს გამოგიღებენ ამ სანოლში, რომელ-
 შიც თბილად იგრძნობთ თავს“, ესე იგი „სა-
 დაც“. ან კიდევ: „უნდა შესვას ათიოდე გრა-
 მი ჯანჯაფილი, რომელშიც შეურევთ ცოტა-
 ოდენ ტამარინს“. გაიგეთ? „შეურევთ რალა-

* ფრანგული **ou** (უ)-ს მნიშვნელობების გათამაშება:
ou: ან, **ou:** სადაც, რომელშიც, რაშიც (მთარგმ. შენ.).

ცაში“. გამოდის, „ციხე-დარბაზში, სადაც ვიქორწინებ მასზედ“, ანუ ციხე-დარბაზში, რომელშიც ვიქორწინებ მასზედ“.

ფიგარო: სრულიადაც არა: ფრაზა სხვა აზრს გულისხმობს. აი, ასეთს: „ან სნეულე-ბა მოგიღებთ ბოლოს, ან ექიმი“, ამას ნყალი არ გაუვა; მეორე მაგალითი თუ გნებავთ, მოგახსენებთ: „ან არაფერს დანერთ მოსაწონს, ან დანერთ და ბრიყვები თავს დაგაცხრებიან და ლაფში ამოგსვრიან“. ან ბრიყვები. აზრი ნათელია; მოცემულ შემთხვევაში, ბრიყვები ან ბოროტები ძირითადი ცნებებია. იქნებ, მეტრ ბართოლოს ჰგონია, რომ მე გრამატიკაში ვერ ვერკვევი? ასე და ამრიგად, გადავუხდი ამ ციხე-დარბაზში, მძიმე, ან ცოლად შევირთავ...
ბართოლო, სწრაფად: მძიმის გარეშე.

ფიგარო, სწრაფად: მძიმე თავის ადგილზეა! თავადაც დარწმუნდებით, ბატონებო; დიას, დიას, ჯერ მძიმე, შემდეგ ... ან მე მას შევირთავ.

ბართოლო, ფურცელს დახედავს, სწრაფად: მძიმის გარეშე.

ფიგარო, სწრაფად: არ დაიჯეროთ, ბატონებო. სხვათა შორის, ასეც რომ არ იყოს, ვის

გაუგია, კაცი, რომელიც ცოლის მოყვანას აპირებს, საცოლეს ვალს უბრუნებდეს?
ბართოლო: ვალდებულია! ჩვენი კანონების მიხედვით ცოლ-ქმრის ქონება გაყოფილია.

ფიგარო: ჩვენი კანონებით ცოლისა და ქმრის სხეულიც კი ერთი არ არის, ისიც გაყოფილია, თუკი რა თქმა უნდა, ქორწინება ერთი ფარატინა ნასყიდობის ქალაღია და სხვა არაფერი. (სასამართლოს წევრები დგებიან და ხმამაღლა ბჭობენ.)

ბართოლო: ვერაფერს იტყვი, ვალდებულების პირუთვნელი აღსრულებაც ამას ჰქვია!
დუბლ-მენი: ხმას დაუნიეთ, ბატონებო! სასამართლოს აღმსრულებელი, წვრილი ხმით: ჩუმაღ!

ბართოლო: ო, რა მელაკუდაა! აი, როგორ ისტუმრებს ვალებს!

ფიგარო: თქვენ საკუთარ სარჩელზე ლაპარაკობთ, ვექილო?

ბართოლო: მე ამ ქალიშვილის დამცველი გახლავართ.

ფიგარო: ჰოდა, ბრიყვული ბოდვა განაგრძეთ, ლანძღვა-გინებას კი მოეშვით. თუკი მოსამართლენი, მომჩივან-მოპასუხეთა უხეში გამოხტომების აღსაკვეთად, სასა-

მართლო პროცესზე მესამე პირთა მონა-
წილეობას ეთანხმებიან, რა თქმა უნდა,
იმიტომ არა, რომ ვეჭილები, რომლებსაც
სიღინჯე და განსჯის უნარი მოეთხოვებათ,
ჩვენ თვალწინ უპირატესობის მქონე უვი-
ცებად იქცნენ. თქვენ დამცველის უკე-
თილშობილეს წოდებას ლაფში სვრით! (სა-
სამართლოს წევრები ისევ ბჭობენ.)

ანტონიო, მარსელინს, მოსამართლეებზე უთი-
თებს: ამდენი საჩურჩულო, მაცოდინა, რა
აქვთ?

მარსელინი: მთავარი მოსამართლე მოს-
ყიდულია, ახლა სხვა მოსამართლეების
მოსყიდვას ცდილობს, წავაგე და ეგ არის!
ბართოლო, ჩუმად, კუშტად: ვშიშობ, რომ
საქმეს ასეთი პირი უჩანს.

ფიგარო, მხიარულად: მარსელინი ცხვირი ნუ
ჩამოუშვით!

დუბლ-მენი, დგება, მარსელინს: ყოველ-
გვარ ზღვარს გადახვედით! მე თქვენ სა-
აშკარაოზე გამომყავხართ. და, ვიცავ რა
ჩვენი სასამართლოს ღირსებას, მო-
ვითხოვ, რომ სანამ სხვა საქმეთა არსში
გავერკვევით, თქვენს საქმეზე გამოვი-
ტანოთ განაჩენი.

გრაფი, ჯდება: არა, ბატონო მდივანო, ჩემი
ღირსების შეურაცხყოფის თაობაზე საქმის
გარჩევას არ დავუშვებ. ესპანელ მოსამარ-
თლეს არ ეგების სირცხვილისგან განითლ-
დეს უკმეხი გამობტომის გამო, რომლის
მსგავსს აზიურ სასამართლოში თუ გაიგო-
ნებ: ჩვენ ჩვენი შეცდომებიც გვეყოფა. ერთ
ასეთ შეცდომას ახლავე გამოვასწორებ და
საფუძვლიან მტკიცებულებასაც წარმო-
გიდგენთ, რამეთუ ყოველი მოსამართლე,
რომელიც ამაზე უარს ამბობს, კანონთა მო-
სისხლე მტერია. რისი მოთხოვნა შეუძლია
ქალბატონ მომჩივანს? ან ვალის გადახდა
ან ქორწინება: ერთი მეორეს გამოორიცხავს.
დუბლ-მენი: ჩუმად, ბატონებო!
სასამართლოს აღმსრულებელი, წვრილი
ხმით: ჩუმად!

გრაფი: რას აცხადებს მოპასუხე? ქორწი-
ნებაზე უარს ამბობს. რას იზამ, მისი ნებაა.
ფიგარო, სიხარულით: მოვიგე!

გრაფი: მაგრამ, რამეთუ ტექსტი გვამც-
ნობს: „რომელსა თანხას უცილობლივ და-
ვუბრუნებ ამავე ციხე-დარბაზში მისი
მოთხოვნისა თუ უბრალო შეხსენებისთა-
ნავე ან ნიშნად მადლიერებისა ვიქორწინებ

მასზედ..." და ასე შემდეგ, სასამართლო
ადგენს: მოპასუხე ვალდებულია გადაუხა-
დოს მომჩივანს ორი ათასი პიასტრი ნაღ-
დი ფული ან დღესვე იქორწინოს. (დგება.)

ფიგარო, გაოგნებული: ნავაგე!
ანტონიო, გახარებული: ბრწყინვალე განა-
ჩენია!

ფიგარო: ბრწყინვალეებას რაში ხედავ?
ანტონიო: იმაში, რომ ჩემი სიძე აღარ ხარ.
მადლობას მოგახსენებთ, თქვენო ბრწყინ-
ვალეებავ.

სასამართლოს აღმსრულებელი, წვრილი
ხმით: დაიშაღეთ, ბატონებო! (დამსწრენი
დარბაზს ტოვებენ.)

ანტონიო: ნავალ, დისშვილს ახალ ამბავს
შევატყობინებ!

მეთექვსმეტე სცენა. გრაფი, აქეთ-იქით
დადის, მარსელინი, ბართოლო, ფიგარო,
ბრიდ-უაზონი

მარსელინი, ჯდება: როგორც იქნა, თავი-
სუფლად ამოვისუნთქე.

ფიგარო: მე კი პირიქით, სული მეხუთება.

გრაფი, თავისთვის: ასეა თუ ისე, შური ვიძიე
და ახლა შემიძლია მშვიდად ვიყო.

ფიგარო, თავისთვის: ბაზილი აპირებდა მარ-
სელინის ქორწინების წინააღმდეგ გამო-
სულიყო, მაგრამ სადღაც გადაიკარგა.
(*გრაფი კარისკენ მიდის.*) გვტოვებთ, თქვენო
ბრწყინვალეებავ?

გრაფი: ყველაფერი დასრულდა.
ფიგარო, ბრიდ-უაზონს: ამ ღიპიანის ბრა-
ლია!

ბრიდ-უაზონი: მე ვა-არ ღიპიანი?
ფიგარო: აბა, სხვა ვინ? რაც არ უნდა მოხ-
დეს, მარსელინს ცოლად არ მოვიყვან, ნუ
გავინყდებათ, რომ აზნაური ვარ. (*გრაფი
ჩერდება.*)

ბართოლო: გინდა თუ არა, იქორწინებ.
ფიგარო: ჩემი კეთილშობილი მშობლების
თანხმობის გარეშე?

ბართოლო: გვითხარით, ვინ არიან თქვენი
მშობლები და სად ვეძებოთ?

ფიგარო: ცოტაც მაცადეთ, თხუთმეტი ნე-
ლია ვეძებ და სადაცაა მოვნახავ.

ბართოლო: მკვებარავ! ეტყობა, ბავშვობა-
ში უპატრონოდ მიგაგდეს.

ფიგარო: არა, ექიმო, არავის მივუგდივარ, დამკარგეს. უფრო ზუსტად, მომიტაცეს.

გრაფი, უახლოვდება: დამკარგეს, მომიპარეს – მოდით და დაამტკიცეთ! მერე იტყვი, შეურაცხყოფას მაყენებენო.

ფიგარო: თუკი მაქმანიანი საცვლები, ნაქარგი ზენარი და ოქროს ნივთები, რომელიც გამტაცებლებმა ნახეს, ჩემს კეთილშობილ წარმომავლობას არ ამტკიცებს, ნიშნები, რომელიც სხეულზე დამიტოვებს, უცილობელი დასტურია იმისა, თუ როგორ მელოლიავებოდნენ და რარიგ მიფრთხილდებოდნენ ჩემი წინდახედული მშობლები, თუნდაც აი, ეს ნიშანი ხელზე... (აპირებს მარჯვენა ხელი გააშვივლოს.)

მარსელინი, სწრაფად წამოდგება: ექიმის დანის კვალია!

ფიგარო: საიდან იცით?

მარსელინი: ღმერთო მაღალო, ეს ხომ ის არის!

ფიგარო: დიახ, ეს მე ვარ.

ბართოლო: ვინ ის?

მარსელინი: ემანუელი!

ბართოლო, ფიგაროს: ბოშებმა მოგიტაცეს?

ფიგარო, უკიდურესად აღელვებული: მხოლოდ ციხე-დარბაზი მახსოვს! ძვირფასო

ექიმო, რაც გნებავთ მთხოვეთ, ოღონდ კი ჩემი მშობლიური ოჯახის წიაღში დამაბრუნეთ: გარნმუნებთ, მაღლიერი მშობლები ოქროთი აგავსებენ.
ბართოლო, მარსელინზე უთითებს: აი, დედაშენი.

ფიგარო: გინდათ თქვათ, ძიძა.

ბართოლო: მშობელი დედა-მეთქი.

გრაფი: დედამისია?

ფიგარო: ჭკუას მოუხმეთ!

მარსელინი, ბართოლოზე უთითებს: აი, ესეც მამაშენი.

ფიგარო, იმედგადაწურული: ოო! ეს რა უბედურებას გადავეყარე!

მარსელინი: ნუთუ თვით ბუნებამ არ გიჩურჩულა ათასჯერ მაინც?

ფიგარო: არც ერთხელ!

გრაფი, თავისთვის: დედამისია!

ბრიდ-უაზონი: ახლა უკვე რა-ა თქმა უნდა, ცოლად ვე-ელარ მო-ოიყვანს.

ბართოლო: არც მე.

მარსელინი: არც თქვენ? მერედა შვილი? ხომ მეკითხებოდით...

ბართოლო: სულელი ვიყავი. ასეთი მოგონებანი რამეს რომ გვავალდებულებდნენ,

ვინ იცის, რამდენი ქალის ცოლად მოყვანა დაგვჭირდებოდა.

ბრიდ-უაზონი: ასე თუ ვი-იმსჯელებთ, ვერავის ვერავინ მოუყვანია ცო-ოლად და ეს არის!

ბართოლო: ჩვეულებრივი ცოდვებია! ახალგაზრდა ვინ არ ყოფილა!

მარსელინი, თანდათანობით ფიცხდება: დიახ, დიახ, თავაშვებული, უფრო მეტიც, ძალზე თავაშვებული ახალგაზრდობა! საკუთარ შეცდომებს არ უარვყოფ – დღეს ყოველივე სააშკარაოზე გამოვიდა! ძალიან ძნელია ცოდვების შენდობაზე ილაპარაკო მას შემდეგ, რაც ოცდაათი წელი პატიოსნად იცხოვრე! ზნეკეთილი დავიბადე და ზნეკეთილი გავხდი, როდესაც ჭკუას მოვუხმე. მაგრამ ცდომილების, გამოუცდელობისა და სიღუბნის ჟამს, როდესაც ამდენი მაცდუნებელი გახვევია თავს, ხოლო სილატაკე სულს გიხუთავს, შეძლებს თუ არა გამოუცდელი ქალიშვილი გაუძლოს მტრების ხროვის შემოტევას? იმან, ვინც ახლა მკაცრად განგვსჯის, უამრავი ცოდვით დამძიმებულ საკუთარ სულს მიხედოს!

ფიგარო: ყველაზე მეტად დამნაშავე ყველაზე ნაკლებ მიმტევებელია; საერთო წესია, ვერსად გაექცევი.

მარსელინი, ცოცხლად: მამაკაცები უმადურებზე უარესები ხართ; ჩვენი გრძნობები საკუთარი ამპარტავნობის სამსხვერპლობე მიგაქვთ, ჩვენი სიყმანვილის შეცდომები თქვენ უნდა ზიდოთ. დიახ, თქვენ და თქვენ მიერ დანიშნულმა მსაჯულებმა, რომლებიც ასე ამაყობენ იმით, რომ ჩვენ გვასამართლებენ და საკუთარი დანაშაულებრივი უვიცობით პატიოსანი შრომით მოპოვებულ ლუკმა-პურს გვართმევენ. იქნებ, საცოდავ ქალიშვილებს თავის გატანის უმცირესი საშუალება მაინც დაუტოვოთ! კაბების კერვის შესაძლებლობა ნართვით, სამკერვალოდან ქალები დაითხოვეთ და მამაკაცები დაიქირავეთ.

ფიგარო, გაფიცებული: ჯარისკაცებს კი ქარგვას აიძულებენ.

მარსელინი, აღელვებული: მაღალი წრის ქალბატონებსაც დამცინავი ღიმილით ზემოდან დასცქერით. ყალბი რიდით გვაცდუნებთ მაშინ, როცა სინამდვილეში თქვენი მონები ვართ. ჩვენს კეთილ საქმეებს

აინუნშიც არ აგდებთ, მცირე შეცდომის-
თვის კი სამაგალითოდ გვსჯით!

ფიგარო: სიმართლეს ამბობს!

გრაფი, თავისთვის: და მერე როგორს!

ბრიდ-უაზონი: ღმერთს ვფიცავ, ა-ა-არ
ცდება!

მარსელინი: შვილო ჩემო, უნამუსო კაცის
უარს ყურად ნუ ვიღებთ, ნურც თავს შევიწუ-
ხებთ! იმაზე ნუ ფიქრობ, საიდან მოდიხარ,
იმაზე იფიქრე, საით მიდიხარ – მთავარი ეს
არის. ცოტა ხანიც და შენი საცოლე დამოკი-
დებული გახდება. პირობას გაძლევ, ცოლად
გამოგყვება და შვილებსაც გაჩუქებს, სათნო
მეუღლე და დედა დადგება. შენც ზრუნვას არ
მოგაკლებს. სამაგიერო მიუგე შენი ოჯახის
წევრებს. დაე, ღმერთმა ხელი მოგიმართოს!
იყავ მხიარული, ლალი და ყველასადმი კეთილ-
განწყობილი. დედაშენს მეტიც არ უნდა!

ფიგარო: პირიდან თაფლი დაგდის, დედიკო,
სრულიად გეთანხმები! მართლაც და რა სი-
სულელეა; ათასობით წელია, რაც ეს სამყა-
რო არსებობს, მე კი იმაზე ვიკლავ თავს, რო-
გორმე დავადგინო, ვის უნდა ვუმაღლოდე იმ
ოცდაათ წელს, რომელიც დროის ოკეანეს გა-
მოვტყუე. არა, ბატონო, მეყოფა! დაე, ახლა

სხვამ იჭყლიტოს ტვინი! მთელი ცხოვრება
ასეთ წვრილმანს შეალიო, იგივეა, რაც იმ ჯაგ-
ლაგ ცხენს ემსგავსო, რომელიც ნებაყოფ-
ლობით გაყოფს თავს უღელში და ნავს მდი-
ნარის აღმა მიათრევს. არ ისვენებს და თუნუ-
თით შეისვენა, მაინც ათრევს ნავს, გინდაც
ადგილიდან ფეხს არ იცვლიდეს. არა-მეთქი,
დაველოდები და ვნახოთ, რა მოხდება!

გრაფი, თავისთვის: ყოველივე ამის მომ-
სწრეს, თავგზა სულ ამერია!

ბრიდ-უაზონი, ფიგაროს: კეთილშობილ ნა-არ-
მომავლობას და ციხე-დარბაზს რაღა ვუყოთ?
თქვენ სასამართლო ჩი-იხში მოაქციეთ!

ფიგარო: მაგ თქვენი სამართლის წყალო-
ბით, ლამის უბედურებას გადავეყარე, ცო-
ტაც და გამოუსწორებელ სისულელეს ჩა-
ვიდენდი! ოცჯერ მაინც, რაღაც საწყალი
ასი ეკიუს საფასურად, მამაჩემი კინაღამ
საიქიოს გავისტუმრე! მაგრამ, რამეთუ
განგებამ ცოდვა არ ჩამადენინა, გთხოვთ,
ძვირფასო მშობელო, მომიტევეთ და ცოდ-
ვილი ზრახვა მაპატიოთ! თქვენ კი დედი-
კო, ნება მომეცით, გულში ჩაგიკრათ... და
თქვენც მთელი დედური სიყვარულით ჩა-
მეკონეთ! (მარსელინი კისერზე ჩამოეკიდება.)

მეჩვიდმეტე სცენა. ბართოლო, ფიგარო, მარსელინი, ბრიდ-უაზონი, სიუზანი, ანტონიო, გრაფი

სიუზანი, შემორბის ქისით ხელში: დაიცადეთ, თქვენო ბრწყინვალე ბავ, ნუ დააქორწინებთ: ქალბატონს ფულს იმ სამზითვოდან გადაუხდის, რომელიც გრაფინიამ მიძღვნა. **გრაფი,** თავისთვის: ჯანდაბამდის გზა ჰქონია შენს ქალბატონს. ყველამ პირი შეკრა ჩემ წინააღმდეგ! (გადის.)

მეთვრამეტე სცენა. ბართოლო, ანტონიო, სიუზანი, ფიგარო, მარსელინი, ბრიდ-უაზონი

ანტონიო, სიუზანს, როდესაც ხედავს, როგორ ეხვევა ფიგარო დედას: რა გაეწყობა, გადაიხადე! ერთი, იმათაც შეხედე!

სიუზანი, სახეს იბრუნებს: კმარა! წავიდეთ, ბიძაჩემო!

ფიგარო, შეაჩერებს: არა, ასე არ გამოვა, ცოტაც შეიცადეთ, გეთაყვა! ასეთი რა დაინახე?

სიუზანი: ჩემი სისულელე და ჩემი სიმდაბლე!

ფიგარო: არაფერი შეგეშალოს!

სიუზანი, ბრაზით: რადგან ასე ეალერსები, ცოლადაც მოიყვან.

ფიგარო, მხიარულად: ველერსები, მაგრამ ცოლად მოყვანას არ ვაპირებ. (სიუზანს წასვლა სურს, ფიგაროაკავეებს, სიუზანი სილას გააწნავს.)

სიუზანი: თავხედო, როგორ მიბედავ! **ფიგარო,** დამსწრეთ: განა ეს არ არის სიყვარული?.. გთხოვ, სანამ წახვალ, კარგად დააკვირდი ამ სათნო ქალბატონს.

სიუზანი: მერე, რა?

ფიგარო: მოგწონს?

სიუზანი: საშინელებაა.

ფიგარო: გაუმარჯოს ეჭვიანობას, რომელიც არ დაგზოგავს და მწარ-მწარე სიტყვებს გესვრის! ყველაფერზე მზა პასუხი აქვს.

მარსელინი, მკლავებს გადაშლის: მოეხვიე დედაშენს, ჩემო კეთილო სიუზანეტ! აი, ეს ონავარი, ასე რომ გაჯავრებს, ჩემი ვაჟიშვილია!

სიუზანი, მისკენ მივბრუნდები: მისი დედა ხართ?! (ერთმანეთს ჩაეკონებიან.)

ანტონიო: დღეიდან?

ფიგარო: მეც დღეს გავიგე.

მარსელინი, აღელვებული: როდესაც ჩემი სული მისკენ ისწრაფოდა, მიზეზს ვერ ვხვდებოდი, სისხლი მიდუღდა და ენას მიბორკავდა.

ფიგარო: ჩემში კი საღი გონება ლაპარაკობდა და ინსტიქტს აჩუმებდა, ამიტომაც მუდამ ზურგს გიბრუნებდით, თუმცა თქვენდამი სიძულვილი არასოდეს მიგრძენია... ფულიც კი გთხოვეთ...

მარსელინი, ფურცელს უწვდის: ფული შენია. ესეც შენ მზითვად თამასუქი.

სიუზანი, სტყორცნის ფიგაროს ქისას: ესეც მითვალე.

ფიგარო: დიდი მადლობა.

მარსელინი, ძალიან აღელვებული: ქალიშვილობაში ბედი არ მწყალობდა, მერე იყო და ცოტა დამაკლდა, რომ ამქვეყნად ყველაზე უბედური ცოლი გავმხდარიყავი. ამჟამად კი მინის პირზე ჩემზე ბედნიერი დედა არსად მეგულება! მომეხვიეთ, შვილებო. მთელ ჩემს სითბოს და სინაზეს თქვენ გჩუქნით. უზომოდ ბედნიერი ვარ. ნეტავ, გაცოდინათ, რარიგ მეყვარებით!

ფიგარო, გულაჩქროლებული: ნულარ გააგრძელებ, ძვირფასო დედიკო, კმარა. ცრემლებს ვერ მოვერევი. ცხოვრებაში პირველად ავტირდები, თუმცა თქვენც იცით, ბედნიერების ცრემლები გადმომელვრება. არადა, ცოტა არ იყოს, დავირცხვინე კიდეც.

სისულელე მომივიდა – თვალეზე ხელი ავიფარე, მსურდა, ცრემლები შემეკავებინა, მაგრამ ვერ შევძელი – თითებს შორის დამისხლტდნენ: აბა, ერთი შეხედე! (გატოტვილ თითებს აჩვენებს.) განვედ ჩემგან სინითლეო სირცხვილისა! მსურს, ერთდროულად ვიცინო და ვიტვირო – ასეთი წუთები არასოდეს განმეორდება! (ებვევა დედას და სიუზანს.)

მარსელინი: ძვირფასო!
სიუზანი: სანუკვარო!

ბრიდ-უაზონი, თვალეებს ცხირსახოცით იწმენდს: გამოდის, მე-ეც დიდი სულე-ელი ვყოფილვარ.

ფიგარო, ფიცხლად: სევდა-ნალველო, ორთაბრძოლაში გინვევ, სცადე და მძლიე, სწორედ იმ წუთს, როს ესერიგად საყვარელ არსებათა შორის ვიმყოფები!

ანტონიო, ფიგაროს: კარგი, კარგი, იკმარე, ხბოს აღტყინება! წესიერ ოჯახებს ასე მოსდგამს, ჯერ დედა და მამა უნდა დაქორწინდნენ, გაიგე? შენმა მშობლებმა ხელი ხელს მისცეს?

ბართოლო: თუნდაც გამიხმეს, ასეთი ვიგინდარას დედას ხელს არ მივცემ!

ანტონიო, ბართოლოს: გამოდის, მამა კი არა

რალაც დედინაცულის მაგვარი ბრძანდები-
ბით? (ფიგაროს) თუ ასეა, ჩემო ლამაზო, საქ-
მე ვერ გამოგვივა!

სიუზანი: რას ამბობთ, ბიძაჩემო?..

ანტონიო: რადგან არავის შვილი არ არის,
ჩემი დის ქალიშვილს, ცოცხალი თავით,
ცოლად არ გავაყოლებ!

ბრიდ-უაზონი: რას მი-იედ-მო-ოედები,
ბრიყვო? ყველა ვილაცის შვილია.

ანტონიო: ეგეთები გავვიგია?! არა და არა,
ვთქვი და გავათავე! (გადის.)

მეცხრამეტე სცენა. ბართოლო, სიუზანი,
ფიგარო, მარსელინი, ბრიდ-უაზონი

ბართოლო, ფიგაროს: ისლა დაგრჩენია, ვინ-
მე მონახე, იქნებ გიშველოს. (წასვლა სურს.)

მარსელინი, გამოედევნება, წელზე ხელს ხვევს
და არ უშვებს: დაიცადეთ, ნუ ნახვალთ!

ფიგარო, თავისთვის: ეს რა ხდება? ყველა ან-
დალუზიელმა ბრიყვმა ერთიანად პირი
შეკრა, რომ ქორწინება ჩამიშალონ!

სიუზანი, ბართოლოს: ძვირფასო მამილო!
თქვენი ვაჟიშვილია...

მარსელინი, ეფერება: რომელიც ჭკუით და
სახით თქვენი ორეულია!

ფიგარო, ბართოლოს: თანაც გროშიც არ
დაგჯდომიათ!

ბართოლო: ის ასი ეკიუ რომ დამციცქნე?
მარსელინი, ეფერება: ისე მოგივლით, მამი-
ლო...

ბართოლო, გულმობრუნებული: მამილო, მა-
მილო, ძვირფასო მამილო! ეტყობა, ამ ბა-
ტონზე მეტად ყვეყეჩი ვარ. (ბრიდ-უაზონზე
მიუთითებს.) ლამისაა, გული ამიჩუყდეს.
(მარსელინი და სიუზანი ეხვევიან.)

ბართოლო: მოიცათ, მოიცათ, თანხმობამ-
დე ჯერ შორია! (თავს აქეთ-იქით ატრიალებს.)
მისი ბრწყინვალეობა სად არის?

ფიგარო: დავენიოთ და საბოლოო სიტყვა
ამოვგლიჯოთ! ახალი ოინი თუ მოიგონა,
ყოველივეს თავიდან დაწყება მოგვიწევს.

ყველანი: დავედევნოთ, დავედევნოთ!
(ბართოლოც თან მიჰყავთ.)

მეოცე სცენა. ბრიდ-უაზონი, მარტოა.

ბრიდ-უაზონი: „ამ ბატონზე მეტად ყვეყე-
ჩო!“ საკუთარ თავს მოჰკითხე, სხვებს...
არცთუ ი-ისე ზრდილობიან ხალხთან მქო-
ონია საქმე, რო-ოგორც ვხე-ედავ!

მეოთხე მოქმედება

სცენა წარმოადგენს კანდელაბრებით და ჭალე-
ბით განათებულ, თაიგულებით და გირლანდებით
საზეიმოდ მორთულ გალერეას. წინა პლანზე,
მარჯვნივ, მაგიდა და მასზე სამელნე, მაგიდის
უკანსაგარძელი.

პირველი სცენა. ფიგარო, სიუზანი

ფიგარო, სიუზანისთვის წელზე ხელი აქვს შე-
მოხვეული: რას იტყვი, ცუგრუმელავ, კმა-
ყოფილი ხარ? ტკბილად მოუბარმა დედი-
კომ ექიმი მოთაფლა! გაიპრანჭ-გამოიპ-
რანჭა, მაგრამ ქორწინებას ვერ ასცდება
და შენი ბუზლუნა ბიძიკოც პირში ნყალს
ჩაიგუბებს. მაგრამ მისი ბრწყინვალეობა
ჯერ კიდევ ჭირვეულობს: ჩემი მშობლების
შეუღლება, ჩვენი ქორწილის სანინდარია.
ამაზე კარგ გამოსავალს კაცი ვერ ინატ-
რებს!

სიუზანი: პირდაპირ საოცრებაა!

ფიგარო: საოცარიცაა და, ცოტა არ იყოს,
სასაცილოც. მისი ბრწყინვალეობისგან ერ-

თი სამზითვოს დაცინცვლას ვცდილობ-
დით, ახლა კი ორი მოვიხელთეთ, თუმცა
მისი ხელიდან არც ერთი არ მიგვიღია.
სისხლს მიშრობდა, შენ გაშმაგებული მე-
ტოქე გსდევდა, მე კი ნამდვილი ალქაჯი და
უცებ ორივეს მოსიყვარულე და უნაზეს
დედად მოგვევლინა. ჯერ კიდევ გუშინ
მარტოსული მიმანდა თავი, ახლა კი დე-
დაც მყავს და მამაც, მართალია, არცთუ
ისე პატივცემულნი, როგორც ჩემს წარ-
მოდგენებში ვხატავდი, მაგრამ ჩვენ მეტიც
არ გვინდა: მდიდრების ყოყლოჩინობა
ჩვენთვის უცხო ხილია.

სიუზანი: თუმცა კი, მეგობარო, ყოველი-
ვე შენებურად არ გამოგივიდა, და არც ისე,
როგორც ორივენი ველოდით.

ფიგარო: შემთხვევა ჩვენზე ბრძენი აღ-
მოჩნდა და საქმე გაცილებით ჭკვიანურად
მოაგვარა. ცხოვრებაში მუდამ ასეა. ჩვენ
წელეებზე ფეხს ვიდგამთ, გეგმებს ვან-
ყობთ, ერთისთვის ვემზადებით, ბედი კი
სულ სხვას გვთავაზობს. ვერაგი, ხარბი
დამპყრობლით დაწყებული, რომელსაც
ქვეყნიერების გადასანსვლა განუზრახავს,
და მეგზურ ძალღს ადევნებული, სვე-ბე-

დის მორჩილი უსინათლოთი დამთავრებუ-
ლი, ყველა შემთხვევის ნება-სურვილს
ემონვის. მერე, კიდევ, ის უსინათლო, რო-
მელსაც ძალლი მიათრევს, გაცილებით
სწორ გზას ირჩევს, ნაკლებად ცდება და
საკუთარ მოლოდინებშიც არ ბითურდება,
განსხვავებით იმ პირველი ბრმისგან, რო-
მელსაც მთელი ამაღა ახვევია თავს. რაც
შეეხება კიდევ ერთ, ძალიან საყვარელ
ბრმას, ამურს რომ უწოდებენ... (ისევ ნაზად
ეხვევა სიუზანს.)

სიუზანი: მართალი გითხრა, მის მეტი სხვა
ბრმა გულს სულაც არ მეხატება.

ფიგარო: თუ ასეა, ნება მომეცი, ერთი ოინიც
გავითამაშო: ერთგული ძალლივით, შენს
კარებთან მოვიყვან და ორთავე სიკვდი-
ლამდე ერთად ვიქნებით.

სიუზანი, სიცილით: შენ და ამური?

ფიგარო: მე და ამური.

სიუზანი: მერედა, სხვა საცხოვრებლის
პოვნა რომ მოინდომოთ?

ფიგარო: თუ ამაზე წამასწრებ, დაე, ათა-
სობით მილიონმა ცხენოსანმა...

სიუზანი: მეტისმეტი მოგივიდა. სრული სი-
მართლე მითხარი.

ფიგარო: ჩემი სიმართლე ყველა სხვა სიმართლეზე მართალია.

სიუზანი: ეს რამ გათქმევინა? განა არსებობს სხვადასხვა სიმართლე?

ფიგარო: დიახ, სწორედაც რომ ასეა! როგორც კი ცხადი გახდა, რომ დროთა განმავლობაში, ძველი ბოდვები სიბრძნედ იქცევა, ხოლო ძველი არაკები და ზღაპრები, პირობითად შექმნილი, წარმოუდგენლად დიდ ჭეშმარიტებებს ბადებს, დედამიწაზე უთვლელი სიმართლე იშვა. არის ყველასთვის ცნობილი სიმართლე, რომელზედაც არავინ სიტყვას არ ძრავს, რამეთუ ყველა სიმართლე არ ითქმის. არსებობს სიმართლე, რომელსაც ყველა ეთანხმება, რომელსაც ხოტბას ასხამენ, მაგრამ არა წრფელი გულით, რადგან ყველა სიმართლეს არ დაეჯერება. მერე კიდევ, შეყვარებულთა ფიცი, დედის მუქარა, ლოთის აღთქმა, ძლიერთა ამა ქვეყნისა დაპირებები, ვაჭრუკანას უკანასკნელი სიტყვა! და ვინ იცის, კიდევ რა, რომ მოინდომო, ვერ მოთვლი! არის მხოლოდ ერთადერთი სიმართლე, რომელსაც ეჭვის ნატამალიც არ ახლავს – სიუზანისადმი ჩემი სიყვარული.

სიუზანი: მეც ვლალობ, ესოდენ მხიარულს რომ გხედავ. თუ სიხარულმა თავი დაგაკარგვინა, ესე იგი ბედნიერი ხარ. ახლა კი გრაფის პაემანზე ვილაპარაკოთ.

ფიგარო: უმჯობესია, გრაფზე ნურაფერს ვიტყვი: ცოტაც და მის გამო სიუზანს დავკარგავდი.

სიუზანი: პაემანის წინააღმდეგი ხარ?

ფიგარო: თუ გიყვარვარ, პატიოსანი სიტყვა მომეცი, რომ არ წახვალ: დაე, ამაოდ გელოდოს, იქნებ ჭკუაზე მოვიდეს.

სიუზანი: პაემანის დანიშვნა ძალიან გამიჭირდა. აი, მისვლა კი სულაც არ გამიძნელებდა. სალაპარაკოც არაფერია.

ფიგარო: მართალს ამბობ?

სიუზანი: მე იმ თქვენს ჭკუის კოლოფებს არ ვგავარ. თუ რამეს ვიტყვი, მხოლოდ მართალს.

ფიგარო: ცოტათი მაინც ხომ გეყვარები?

სიუზანი: ძალიანაც მეყვარები.

ფიგარო: არც ისე ბევრია.

სიუზანი: ვერ გავიგე, რას ელი?

ფიგარო: იცი, ჩემო კარგო, სიყვარულში „ძალიან“ ბევრს არაფერს ნიშნავს.

სიუზანი: ამ შენი ბრძნულად ჩახლართუ-

ლი აზრებისა ვერა გამიგია რა. სიყვარულს რაც შეეხება, მხოლოდ ქმარი მეყვარება.
ფიგარო: თუკი დანაპირებს შეასრულებ, საერთო წესიდან ბრწყინვალე გამონაკლისი იქნები. (სურს მოეხვიოს.)

მეორე სცენა. ფიგარო, სიუზანი, გრაფინია

გრაფინია: არადა, მართალი ვიყავი: სადაც ალხანა, იქვე ჩალხანა. მომისმინეთ, ფიგარო, ეს წამიერი, ქურდული შეხვედრები არას გარგებთ, ამით თქვენს მომავალს, ცოლქმრობას და საკუთარ თავსაც ამცირებთ. თქვენ მოუთმენლად გელოდებიან!

ფიგარო: მართალი ბრძანდებით, გართობამ ყველაფერი გადამაფინყა. წავალ და ჩემს სიმართლეს დავამტკიცებ. (სიუზანის წაყვანაც სურს.)

გრაფინია, სიუზანს შეაჩერებს: დაგენევა.

მესამე სცენა. სიუზანი, გრაფინია

გრაფინია: კაბების გამოსაცვლელად ყველაფერი მზად გაქვს?

სიუზანი: არც არაფერია საჭირო, ქალბატონო. პაემანი არ შედგება.

გრაფინია: როგორ, გადაიფიქრეთ?
სიუზანი: ფიგარომ ასე ისურვა.

გრაფინია: მატყუებთ!
სიუზანი: ღმერთია მონმე!

გრაფინია: ფიგარო ის კაცი არ არის, სამზითვო ხელიდან გაუშვას!
სიუზანი: ქალბატონო! რაში მდებთ ბრალს?

გრაფინია: იმაში, რომ ბოლოს და ბოლოს, გრაფს მოელაპარაკეთ და ახლა ნანობთ, რომ მისი ზრახვები გამიმხილეთ. ვერაფერს გამომაპარებთ, შემწვარ-მოხრაკულს გიცნობთ! შემეშვით! (წასვლას აპირებს.)

სიუზანი, მუხლებში უვარდება: ღმერთს ნუ სცოდავთ, ქალბატონო! თვითონაც ვერ ხვდებით, რა ტკივილს აყენებთ სიუზანს! და ეს მთელი თქვენი კეთილი საქმეების შემდეგ. მას შემდეგ, რაც სამზითვო მიბოძეთ...
გრაფინია, წამოაყენებს: მართალი ხარ... თვითონაც არ ვიცი, რას ვამბობ! პაემანზე, სინამდვილეში, შენ ხომ არ მიდიხარ, მე მიშვებ. სიტყვას, რომელიც მეუღლეს მიეცი, არ გადახვედი და ამით მეც დამიბრუნებ ჩემსას.

სიუზანი: როგორ მანყენინეთ!

გრაფინია: გონება ამერია. (შუბლზე კოცნის.)
პაემანი სად დანიშნეთ?

სიუზანი, ხელზე კოცნის: „ბალი“, მხოლოდ ეს
სიტყვა მახსოვს.

გრაფინია, მაგიდაზე მიუთითებს: კალამი
აილე და ადგილი დავუნიშნოთ.

სიუზანი: წერილი მივწერო?

გრაფინია: საქმე ითხოვს!

სიუზანი: ქალბატონო! ჯობს თქვენ...

გრაფინია: ყველაფერზე პასუხს ვაგებ! (სი-
უზანი ჯდება. გრაფინია კარნახობს.) ახალი მო-
ტივი ძველ ჰანგზე: „რა ნეტარებაა, მწუხ-
რისას, ქოჩორა წაბლის ხეთა ქვეშ...“, წე-
რე: „რა ნეტარებაა, მწუხრისას...“

სიუზანი, წერს: „ქოჩორა წაბლის ხეთა
ქვეშ...“ შემდეგ?

გრაფინია: როგორ გგონია, ვერ მიხვდება?

სიუზანი, გადაიკითხავს: ეჭვსაც ვერ მიი-
ტანს. (წერილს ეცავს.) რით დავლუქოთ?

გრაფინია: ქინძისთავი, ჩქარა! პასუხადაც
ივარგებს. ფურცლის უკანა მხარეს მიაწე-
რე: „ბეჭედი დამიბრუნეთ!“

სიუზანი, წერს და იცინის: ესეც შენი ბეჭედი!
ბრძანების ფურცელზე დარტყმული ამას-
თან ვერ მოვა! გრაფს გაამხიარულებს!

გრაფინია, რალაც ავად გასახსენებელს გაიხ-
სენებს: ოო!

სიუზანი, ქინძისთავს ეძებს: ქინძისთავს რომ
ვერ ვპოულობ?!
გრაფინია, კაბას ქინძისთავს ააძრობს: აჰა, დაიჭი!

(პაუზის ბაფთა იატაკზე ვარდება.) ო, ჩემი ბაფთა!
სიუზანი, ბაფთას დასწვდება: პატარა ქურდ-
ბაცაცას ბაფთაა! თქვენ ისე უსულგულოდ
მოექცით...

გრაფინია: რა უნდა მექნა, სამკლავურად
დამეტოვებინა? რა ლამაზი სანახავი იქნე-
ბოდა! მომეცი!

სიუზანი: ქალბატონო, თქვენ მას აღარ გა-
იკეთებთ, მასზე იმ ბიჭის სისხლია.

გრაფინია, ბაფთას იღებს: ფანშეტიისთვის
ზედგამოჭრილია... პირველ თაიგულს მო-
მიტანს თუ არა...

მეოთხე სცენა. ახალგაზრდა მწყემსი ქალი,
ქერუბინო ქალის კაბაში, ფანშეტი და მასავით
საზეიმოდ გამოწყობილი სხვა ქალიშვილები, თა-
იგულებით ხელში, გრაფინია, სიუზანი

ფანშეტი: ქალბატონო! სოფლის გოგონებ-
მა თაიგულები მოგართვეს.

გრაფინია, სწრაფად მალავს ბაფთას: შესანიშნავი თაიგულებია! სამწუხაროდ, ბევრი თქვენგანი არ მეცნობა. (ქერუბინოზე მიუთითებს.) ეს მომხიბვლელი გოგონა ვინ არის? შეშინებული მეჩვენება.

მწყემსი ქალიშვილი: ჩემი ბიძაშვილი გახლავთ, ქალბატონო, ქორწილზე დასასწრებად მოვიდა.

გრაფინია: ძალიან ლამაზია! ამდენ თაიგულს ჩემი ხელები არ ეყოფა, ამიტომ უპირატესობა სტუმარს დავუთმობ. (ქერუბინოს ეამბორება და თაიგულს ჩამოართმევს.) განითლდა! (სიუზანს) ხომ არ მეჩვენება, სიუზან... იცი, ვიღაცას მაგონებს.

სიუზანი: ნამდვილი ორეულია.

ქერუბინო, ხელებს მკერდზე მიიკრავს, თავისთვის: ო, ეს ამბორი მე არ მეკუთვნის!

მეხუთე სცენა. ქალიშვილები, მათ შორის ქერუბინო, ფანშეტი, ანტონიო, გრაფი, გრაფინია, სიუზანი

ანტონიო: მე კი გარწმუნებთ, თქვენო ბრწინვალეზავ, ის აქ არის. ჩემი ქალიშვილის ოთახში მორთეს და მოკაზმეს: მისი

ტანსაცმელი ჯერ კიდევ ოთახშია, ეს კი მისი ოფიცრის ქუდია: ბოლჩიდან ამოვიღე. (წინ გამოდის, ქალიშვილებს თვალს მოავლებს, იცნობს ქერუბინოს და თავიდან ჩაჩს მოხსნის. დაწნული კულულები პაუს მხრებზე ეყრება. ანტონიო თავზე ოფიცრის ქუდს ადებს.) ოჰ, შე ეშმაკის ფეხო, აი, თურმე სად ყოფილა ჩვენი ოფიცერი!

გრაფინია, უკან იხევს: ღმერთო მაღალო! **სიუზანი:** დახე, ერთი ცრუპენტელაც ეს არის! **ანტონიო:** აკი ვამბობდი, ეს არის მეთქი... **გრაფი,** გაბრაზებული: თქვენ რას გვიბრძანებთ, გრაფინია?

გრაფინია: გიბრძანებთ იმას, რომ თქვენზე მეტად გაოცებული ვარ და არანაკლებ აღშფოთებული.

გრაფი: დავუშვათ; იქნებ, დილის ამბავიც მოგვახსენოთ.

გრაფინია: მართალი არ ვიქნები, თუ ჯიუტად გავაგრძელებ უარყოფას. დილით მე-ახლა... ხუმრობა მოვიგონეთ, რომელიც მერე ამ ბავშვებმა გაითამაშეს. თქვენც სწორედ მაშინ წაგვადექით თავს, როდესაც მას ტანსაცმელს ვარგებდით. თქვენ კი ბოლმა ვერ დამალეთ და იფეთქეთ! მან

თავს უშველა, მე დავიბენი, ყოველივე კი საერთო შიშმა დაასრულა!

გრაფი, ქერუბინოს, წყენით: რატომ არ გაემგზავრეთ?

ქერუბინო, ქუდს იხდის: თქვენო ბრწყინვალეზავ!..

გრაფი: ურჩობისთვის მკაცრად დაგსჯი.

ფანშეტი, დაუფიქრებლად: თქვენო ბრწყინვალეზავ! გთხოვთ, ყური მომაპყროთ! გაიხსენეთ, რას მიმეორებთ ყოველი კოცნისას: „თუ გიყვარვარ, ცუგრუმელა ფანშეტ, ნებისმიერ სურვილს აგისრულებო“...

გრაფი, წითლდება: მართლა? ამას გეუბნები?

ფანშეტი: მეუბნებით, ეჭვიც არ შეგეპაროთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, და თუ ასეა, ქერუბინოს სასჯელი ააცილეთ, ჯობს, მე გამომაყოლოთ ქმრად, მე კი კიდევ უფრო მეტად შეგიყვარებთ.

გრაფი, თავისთვის: ლანირაკმა პაჟმა მაჯობა!

გრაფინია: ახლა ჩემი ჯერია და მინდა გკითხოთ, გრაფ: ამ ბავშვის აღსარება, ისეთივე წრფელი, როგორიც ჩემი, ორ გარდაუვალ სიმართლეს ადასტურებს: თუკი თქვენში ეჭვებს აღვძრავ, მერნმუნეთ, უნებლიეთ მომდის, თქვენ კი ყველაფერს აკეთებთ,

რათა კიდევ მეტად გაამძაფროთ ჩემი ეჭვები და დამიმტკიცოთ, რომ არ ვცდები.

ანტონიო: ეს რამ გაფიქრებინათ, გრაფ! ერთი ის ქაჯანა მომაგდებინა ხელთ, ისეთ სეირს დავმართებ, როგორც ერთ დროს დედამისს, ღმერთმა აცხონოს მისი სული... მართალია, საამისო ჯერ კიდევ არაფერი მომხდარა, მაგრამ მოგეხსენებათ ქალბატონო, გოგონები მნიფობაში რომ შედიან... **გრაფი, დაბნეულია, თავისთვის:** ბოროტმა სულმა ყველა ჩემ წინააღმდეგ აამხედრა!

მეექვსე სცენა. ქალიშვილები, ქერუბინო, ანტონიო, ფიგარო, გრაფი, გრაფინია, სიუზანი

ფიგარო: თქვენო ბრწყინვალეზავ! ქალიშვილები დაითხოვეთ, მათ გარეშე ზეიმს და ცეკვებს ვერ დაინყებენ.

გრაფი: ცეკვა გნებავთ? ღმერთი შეგენით! მერედა ამ დილით, ყვავილნარზე დაცემისას ნაღრძობი ფეხი?

ფიგარო, ფეხს გაიქნევს: წამომტკივდება ხოლმე, მაგრამ არაფერია, ვუძლებ. (ქალიშვილებს) აბა, მომყევით, მზეთუნახავებო!

გრაფი, თავისკენ მოაბრუნებს: თქვენი ბედი, რომ ყვავილნარის ფხვიერ მიწას დაენარცხეთ!

ფიგარო: ბედი მქონია, ვერაფერს ვიტყვი. ასე რომ არ ყოფილიყო...

ანტონიო, თავისკენ მოაბრუნებს: უნდა გენახათ, როგორ მოიკუნტა ჰაერში...

ფიგარო: სხვა ჩემზე მოქნილი და ცქვიტი, ჰაერში გამოეკიდებოდა. (ქალიშვილებს) ნავედით, ქალბატონებო!

ანტონიო, თავისკენ მოაბრუნებს: ამასობაში კი, პატარა პაუი ცხენს სვეილიისკენ მიაგელვებდა...

ფიგარო: შეიძლება, მიაგელვებდა, შეიძლება, ჩორთით მიდიოდა...

გრაფი, თავისკენ მოაბრუნებს: სამსახურში გამწესების ბრძანება კი თქვენ გედოთ ჯიბეში.

ფიგარო, ცოტათი გაოცებულია: რა თქმა უნდა, დაკითხვას რატომ მიწყობთ? (ქალიშვილებს) ბოლოს და ბოლოს, ნავედით, გოგონებო!

ანტონიო, ქერუბინოს ხელს ჰკიდებს და წინ გამოჰყავს: ეს ქალიშვილი კი ამტკიცებს, რომ ჩემი მომავალი სიძუკა ხელიდან წასული მატყუარაა.

ფიგარო, გაოგნებული: ქერუბინო... (თავის-თავის) ეშმაკს წაუღია შენი თავი და ტანი! **ანტონიო**: ახლა ხომ ხვდები?

ფიგარო, თავის დაძვრენას ცდილობს: ვხვდები... ვხვდები... რა დაამლერა?

გრაფი, უკმეხად: დაამლერა კი არა, გასაგებად თქვა, რომ ლევკოიონების ბუჩქებში თვითონ ისკუპა...

ფიგარო, ჩაფიქრებული: თუკი თავად ამტკიცებს... ყველაფერი შესაძლებელია! რაც არ მინახავს, იმაზე ვერაფერს მოგახსენებთ...

გრაფი: გამოდის, ისიც და თქვენც...

ფიგარო: ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ. ერთი რომ გადახტება, მეორეც მიჰყვება... ასეც ხდება... პანურგის ფარა გაიხსენეთ. მით უმეტეს, თუ ვისმე თქვენი რისხვა დაატყდა თავს, მზად არის, თავი გადადოს და...

გრაფი: ეს რა გამოდის: ორი კაცი ერთდროულად...

ფიგარო: ორი კაცი კი არა და ოცდამეორიც რომ ყოფილიყო, ისინიც უკან მიჰყვებოდნენ. თავში საცემი არაფერია, არავინ და-

* პანურგი: ფრანსუა რაბლეს ნაწარმოების პერსონაჟი.

შავებულა. (ქალიშვილებს) ჰა, გელირსოთ ფეხის გამოდგმა!

გრაფი, გაფიცებული: მე მგონი, ყველანი კომედიას ვთამაშობთ! (ისმის დაფდაფების ხმა.)

ფიგარო: აჰა, ზეიმის დაწყებას გვამცნობენ. ადგილებზე, მზეთუნახავებო! სიუზანი! ხელი მომეცი და რაც შეიძლება, სწრაფად! (ბრბო იშლება; რჩება მხოლოდ თავჩაქინდრული ქერუბინო.)

მეშვიდე სცენა. ქერუბინო, გრაფი, გრაფინია

გრაფი, მიმავალ ფიგაროს გასცქერის: თავხედობა და ამის მსგავსი?! (პაუს) თქვენ კი, ბატონო თვალთმაქცო, ვითომდა დარცხვენილო, კეთილი ინებეთ და სასწრაფოდ გადაიცვით. ამ საღამოს თქვენი ფეხი არ ვნახო ციხე-დარბაზში!

გრაფინია: როგორ მოგვენატრებით!

ქერუბინო, აღტყინებული: მოგვენატრებით? ო, ეს რა მესმის! შუბლზე ნეტარების ბეჭედი მაზის, რომელიც ბნელ საკანში ასიწლის მარტოობას გამაძლებინებს! (ქუდს იხურავს და გარბის.)

მერვე სცენა. გრაფი, გრაფინია, უბრადა მყოფი გრაფინია მარათი იგრილებს სახეს.

გრაფი: რა ნეტარების ბეჭედზე ლაპარაკობს?

გრაფინია, დაბნეული: შეიძლება... ოფიცრის პირველ ქუდს გულისხმობს. ბავშვისთვის ყველაფერი სათამაშოა! (წასვლას აპირებს.)

გრაფი: ჩვენთან არ დარჩებით?

გრაფინია: ხომ იცით, თავს უქეიფოდ ვგრძნობ.

გრაფი: ნამით მაინც, თქვენი რჩეული მოახლის საპატივცემულოდ, თუ არადა, ვიფიქრებ, რომ გვიბრაზდებით.

გრაფინია: აი, მექორწინეთა ორი წყვილი. დავსხდეთ და სტუმრებს ღირსეულად ვუმასპინძლოთ!

გრაფი, თავისთვის: ჰმ, მექორწინენი! თუ ხელის შემლა ვერ შევძელი, რა ჩარაა, უნდა მოვითმინო.

(გრაფი და გრაფინია გალერეის კედელთან სავარძლებში სხდებიან.)

მეცხრე სცენა. გრაფი და გრაფინია,
სხედან.

მსვლელობა

მეტყევეები, თოფით მხარზე;
სასამართლოს აღმსრულებელი, ნაფიცი
მსაჯულები, ბრიდ-უაზონი;
გლეხკაცები და გლეხი ქალები საზეიმო სა-
მოსში;

ორ ქალიშვილს მოაქვს თეთრი ბუმბულით
გაწყობილი პატარძლის თავსაბური;
სხვა ორს მოაქვს თეთრი ჩიხტიკოპი;
მათ კიდევ ორნი მოჰყვებიან ხელთათმანებით
და თაიგულით;
ანტონიოს, ჯვრისწერის მამობილს, შემოჰყავს
სიუზანი; ქალიშვილებს მოაქვთ პატარძლის
თავსაბური, კაბა და თეთრი ყვავილების თაიგული
მარსელინისთვის.

ფიგარო მარსელინს მიაცილებს. მან უნდა გა-
დაულოცოს ქალი საქმროს, ექიმს, რომელიც
თეთრი ყვავილების თაიგულით ხელდამშვენებუ-
ლი დაასრულებს მსვლელობას. ქალიშვილები
ჯვრისწერისთვის საჭირო ნივთებს გრაფის
მსახურებს გადასცემენ.

გლეხები ფერხულს უვლიან; მუსიკა დუეტის შე-

სავალს იწყებს. ამ დროს ანტონიოს სიუზანი
გრაფთან მიჰყავს. სიუზანი გრაფის წინ იჩო-
ქებს.

გრაფი თავსაბურს თავზე ახურავს და ყვავილებს
გადასცემს, ქალიშვილები კი დუეტს მღერიან:

აქე, აღიდე, ლამაზო ქალო,
ვინც დათმო შური, იხმარა ტვინი,
სიძვას და ბოროტს აქცია ზურგი,
და საპატარძლო გიძღვნა გვირგვინი!

სიუზანი მოსასხამის კალთაზე წაეტანება
გრაფს და მიანიშნებს, რომ ხელში ბარათი უკა-
ვია, მერე, ხელს თავთან მიიტანს. გრაფი თავს
ისეაჩვენებს, თითქოს სიუზანს ქუდს უსწორებს,
ქალი კი ამასობაში ბარათს გადასცემს.

გრაფი ჯიბეში იღებს ბარათს. დუეტი მთავრ-
დება, სიუზანი მოკრძალებთ თავს უხრის
გრაფს. გრაფი სიუზანის ხელს ფიგაროს უწ-
ვდის და წყვილი მოპირდაპირე კედელთან
მდგარ მარსელინისკენ მიემართება.

გრაფი ველარ ითმენს, ავანსცენაზე გამოდის,
ჯიბიდან ბარათს იღებს და ხელს გაიქნევს, თით-
ქოს რალაცამ უჩხვლიტა; თითს აქნევს, სისხლს
გამოიდენს, წუწნის და ქალაღდს დასცქერის, რო-
მელიც ქინძისთავითაა შეკრული.

გრაფი: ეშმაკმა დალახვროს ეს ქალები,

უადგილო ადგილსაც კი ქინძისთავს არჭობენ. (ქინძისთავს იატაკზე მოისვრის, ბარათს კითხულობს და ფურცელს კოცნის.)

ფიგარო, გრაფს უთვალთვალეებს. *მერე, დედას და სიუზანს მიუბრუნდება: ვილაც გოგონამ, თითქოსდა არაფერიო, გვერდით ჩაუარა და სატრფიალო ბარათი გადასცა. ქინძისთავი, რომლითაც ბარათი იყო შეკრული, მისმა ბრწყინვალეებამ პირდაპირ თითში იჩხვლიტა.*

ცეკვა განახლდება. გრაფი ფურცელს გადმოაბრუნებს და კითხულობს, რომ პასუხის სანაცვლოდ ქინძისთავი უნდა დააბრუნოს. იატაკს აცქერდება, ქინძისთავს ეძებს, ბოლოს, პოულობს და სახელოში ირჭობს.

ფიგარო, აგრძელებს: სატრფოს საჩუქარი ძვირად ფასობს. ერთი შეხედეთ, ქინძისთავი აიღო. ო, რა თავგუნებაა!

(ამასობაში სიუზანი და გრაფინია ერთმანეთს რაღაცას ანიშნებენ. ცეკვა დასრულდა, იწყება დუეტი.)

ფიგაროს მარსელინი გრაფთან მიჰყავს, გრაფი თავსაბურს იღებს, დუეტი ის-ის არის უნდა დაიწყოს, რომ ერთბაშად გაისმის ყვირილი.

სასამართლოს აღმსრულებელი, ზღურბლიდან ყვირის: შეჩერდით, ბატონებო, ყვე-

ლანი ვერ შემოხვალთ! დაცვა! დაცვა! (დარაჯები კარებისკენ მიდიან.)

გრაფი, დგება: რა აურზაურია?

სასამართლოს აღმსრულებელი: ბატონი ბაზილია, თქვენო ბრწყინვალეებავ, მთელი სოფელი გამოიყოლა, ხალხი სიმღერით მოხიბლა.

გრაფი: მარტო შემოვიდეს.

გრაფინია: ნება მომეცით, დაგტოვოთ.

გრაფი: თქვენს თავაზიანობას არასოდეს დავივინყებ.

გრაფინია: სიუზან!.. გამომყევით! ახლავე დაბრუნდება. (სიუზანს ჩუმად) დროა, კაბები გავცვალოთ. (გადის სიუზანთან ერთად.)

მარსელინი: ეს ბაზილიც რომ მუდამ უდროო დროს მოდის!

ფიგარო: არაფერია, ბაზილი მე მომანდეთ.

მათე სცენა. იგივენი, გრაფინიასა და სიუზანის გარდა; ბაზილი გიტარით, გრიპ-სოლეი

ბაზილი (შემოდის და სიმღერას იწყებს):

ნუ გათათხავ საწყალ მოყვასს,
გინდ უქროდეს თავში ქარი,

ღმერთმა ასე ინება და
ასე შექმნა კაცი, ქალი...

ხასიათის ცვლილებები, ჩვენი ყველას ბედია,
დედამინის კანონია, ვერ გააწყობ ვერაფერს,
ფრთამალ ამურს დაეკითხე, სიყვარულის
გამგებელს,
მართალს გეტყვის, არ დამალავს: „ღმერთს
მადლი და ფერი ფერს!“

ამურს ქება ვუგალობოთ,
ავაყოლოთ ჰანგებს ტაში,
ფრთები მისთვის გამოისხა,
რომ იფრინოს მალლა ცაში.

ფიგარო, ბაზილს უახლოვდება: გეთანხმები,
ჰო, ფრთები სწორედ ამისთვის სჭირდება,
მაგრამ დანარჩენზე რას იტყვი? გამაგებინე,
რაზეა ეგ შენი სიმღერა?

ბაზილი, გრიპ-სოლეიზე უთითებს: იმაზე, რომ
მის ბრწყინვალეებას მორჩილებას ვუცხადებ;
აი, ეს ბატონიც, რომელიც მის წრეს
ეკუთვნის, კარგად გავართე, ახლა კი გრაფისგან
სამართალს ვითხოვ.

გრიპ-სოლეი: რა გართობაზე ლაპარაკობს,
თქვენო ბრწყინვალეებავ! ისეთი უგემოვნო
სიმღერები აქვს...

გრაფი: ჩემგან რას ითხოვთ, ბაზილ?
ბაზილი: იმას, რაც სამართლიანად მეკუთვნის,
თქვენო ბრწყინვალეებავ, ანუ მარსელის
ხელს. მე არ ვეთანხმები...

ფიგარო, უახლოვდება: თქვენო ღირსებავ!
დიდი ხანია, ბრიყვი კაცი არ გინახავთ?
ბაზილი: აგერ ახლა ვხედავ, ცხვირწინ
მიდგას, თქვენო ღირსებავ!

ფიგარო: თუკი ჩემი თვალები თქვენთვის
სარკეა, რომელშიც საკუთარ თავს ვხედავ,
იქნებ მათში ჩემი გაფრთხილებაც ამოიკითხოთ
და ყურად იღოთ. ერთი სცადეთ და ამ
ქალბატონს აღმაცერად გახედეთ...

ბართოლო, სიცილით: რას ერჩი? ერთი სიტყვა
მანც ათქმევინე.

ბრიდ-უაზონი, ჩადგება ფიგაროსა და ბაზილს შორის:
მე-ვეგობრებს შო-ორის...

ფიგარო: რა მეგობრები, რის მეგობრები?!

ბაზილი: საიდან მოიჭანეთ?

ფიგარო, სწრაფად: ნოტების მჯღაბნელთან
და საეკლესიო გუნდის გულის გამანვრლებელი
ზმუილის მთხზველთან რა საერთო უნდა
მქონდეს?

ბაზილი, სწრაფად: უკუღმართი ლექსების
ავტორთან მეგობრობა გაგონილა?

ფიგარო, სწრაფად: სამიკიტნოს მეარღნე!
 ბაზილი, სწრაფად: გაზეთების ჭია!
 ფიგარო, სწრაფად: ყურის მხვერეტელი.
 ბაზილი, სწრაფად: დიპლომატიური კუდის
 გამქიციანებელი!
 გრაფი, ზის: ორივენი კარგი ხვითოები
 ხართ!
 ბაზილი: ყოველ ნაბიჯზე მარცხვენს!
 ფიგარო: თუკი გამომდის, მეტიც არ მინდა.
 ბაზილი: ყველას ეუბნება, რომ სულელი
 ვარ.
 ფიგარო: ექო ხომ არ გგონივართ?
 ბაზილი: და ეს მაშინ, როდესაც ჩემი ნიჭის
 წყალობით, ვინ იცის, რამდენმა მომღე-
 რალმა გაიბრწყინა...
 ფიგარო: და რამდენმა მსმენელმა მოიწყინა...
 ბაზილი: თავისას არ იშლის!
 ფიგარო: სიმართლეს პირში გეუბნები: რა
 ისეთი პრინცი მყავხარ, რომ გეფერო და
 გეალერსო? სიმართლეს თვალი გაუსწო-
 რე, უბადრუკო; თუკი მატყუარას მოსყიდ-
 ვა არ შეგიძლია და ჩემგან მოსმენილი სი-
 მართლის გეშინია, აქ არ უნდა მოსულიყა-
 ვი, ჩემი ქორწინების ჩასაშხამებლად.

ბაზილი, მარსელინს: ხომ შემპირდით, ოთხი
 წლის განმავლობაში ოჯახი თუ ვერ შევექმე-
 ნი, ჩემი ხელის მადიებელთა შორის პირვე-
 ლი თქვენ იქნებითო?
 მარსელინი: მერედა, რა პირობით?
 ბაზილი: იმ პირობით, რომ თუ დაკარგულ
 ვაჟიშვილს იპოვიდით, განსაკუთრებულ
 წყალობას მოვიღებდი, ხათრს გაგინევდით
 და ვიშვილებდი.
 ყველანი: ჰოდა, იპოვა კიდეც!
 ბაზილი: პირობას არ გადავდივარ! სიტყვა
 სიტყვაა!
 ყველანი, ფიგაროსკენ იშვერენ ხელს: აი, ისიც!
 ბაზილი, რეტდასხმული, უკან იხევს: ეშმაკსაც
 ნაულია!
 ბრიდ-უაზონი, ბაზილს: ესე იგი, დედამისის
 ხელზე უა-არს ამბობთ?
 ბაზილი: უღირსი კაცი ვიშვილო? ამაზე
 უარესი არაფერი მეგულება.
 ფიგარო: ამ ნაძირალას ვეშვილო? სრულ
 ჭკუაზე ხართ?
 ბაზილი, ფიგაროზე მიუთითებს: თუ ეს ვიგინ-
 დარაც ამ საქმეშია გარეული, მე აქ აღარა-
 ფერი მესაქმება.

მეთერთმეტე სცენა. იგივენი, ბაზილის გარდა

ბართოლო, ხარხარებს: ჰა-ჰა-ჰა!

ფიგარო, სიხარულით ადგილზე ხტის: რო-გორც იქნა, მეღირსა ცოლი!

გრაფი, თავისთვის: მე კი საყვარელი. (დგება.)

ბრიდ-უაზონი, მარსელინს: და ყველა კმა-აყოფილია!

გრაფი: ორი საქორწინო ხელშეკრულება შეადგინეთ, მე კი ხელს მოვანერ.

ყველანი: დიდება! (გადიან.)

გრაფი: ერთი საათი მაინც დამასვენონ! (სხვებს უკან მიჰყვება.)

მეთორმეტე სცენა. გრიპ-სოლეი, ფიგარო, მარსელინი, გრაფი

გრიპ-სოლეი, ფიგაროს: დიდი წაბლის ხეებისკენ ჩავივლი და მაშხალებს მივხედავ. ამბობენ, საზეიმო სანახაობა იქ მოეწყობაო.

გრაფი, აჩქარებული ნაბიჯით უკან ბრუნდება: ეს სულელური ბრძანება ვინ გასცა?

ფიგარო: ცუდს რას ხედავთ?

გრაფი: გრაფინია შეუძლოდ გახლავთ, თუ ოთახიდან ფეხი ვერ გამოდგა, მაშხალებს როგორ დაინახავს? ტერასიდან უნდა გაეშვათ, გრაფინიას ფანჯრების წინ.

ფიგარო: გესმის, გრიპ-სოლეი? ტერასაზე!

გრაფი: დიდი წაბლის ხეების ქვეშ! მოიგონეს რაღა! (მიდის კარისკენ, თავისთვის) ცოტაც და პაემანს ჩამიშლიდნენ!

მეცამეტე სცენა. ფიგარო, მარსელინი

ფიგარო: ცოლისადმი ასეთი ყურადღებიანი როდის მერე გახდა? (წასვლას აპირებს.)

მარსელინი, შეაჩერებს: ორი სიტყვა მათქმევინე, შვილიკო. მინდა აღსარება გითხრა: ავმა ზრახვებმა გამაბოროტა და შენი მომხიბვლელი ცოლი უსამართლოდ ავითვალწუნე. ბაზილი მეუბნებოდა, გრაფის ახირებას მუდამ იგერიებსო, მე კი დავიჩემე, ერთსულ და ერთხორც არიან-მეთქი.

ფიგარო: ცუდად გცნობიათ თქვენი ვაჟიშვილი. თუ გგონიათ, რომ ქალების ფეხის ხმას ავყვები. გარწმუნებთ, ყველაზე

ავყია ქალის ჭორიც აზრს ვერ შემაცვლენინებს!

მარსელინი: მაღლობა ღმერთს, რომ საკუთარ თავში ესოდენ დარწმუნებული ხარ, შვილო. ეჭვიანობა...

ფიგარო: ამპარტავნობის უგონივრო შვილი ან შეშლილი გონების გამონაგონია. ამის თაობაზე ჩემს... ფილოსოფიას ვერა-რა ძალა ვერ შეარყევს. და თუკი სიუზანმა ოდესმე მიღალატა, ამთავითვე ვპატიებ: ამისთვის იმდენი ჯაფა დაადგება! (შემობრუნდება და შეამჩნევს ფანშეტს, რომელიც ვილაცას ეძებს.)

მეთოთხმეტე სცენა. ფიგარო, ფანშეტი, მარსელინი

ფიგარო: ოჰო, ჩვენს პატარა დაიკოს ყურები დაუცქვეტია!

ფანშეტი: არ დაიჯერო! მიყურადება რა საკადრისია!

ფიგარო: მართალი ხარ, მაგრამ რადგან სარგებელი დიდი მოაქვს, ამ უპატიოსნობას ხშირად პატიოსნება ეწირება.

ფანშეტი: აქაურობას ვათვალთვლებდი, ვინმე ხომ არ არის-მეთქი.

ფიგარო: ეშმაკობაში გვარიანად განვრთნილხარ, ცრუპენტელავ! კარგად იცი, რომ მას აქ ვერ ნახავ!

ფანშეტი: ვისზე ლაპარაკობ?

ფიგარო: ქერუბინოზე.

ფანშეტი: მასზე არც მიფიქრია, რადგან კარგად ვიცი, სად არის; ჩემს დაიკო სიუზანს ვეძებ.

ფიგარო: რა გაგჭირვებია?

ფანშეტი: თქვენ, ჩემო ძამიკო, რაც იქნება, იქნება, გაგიმხელთ. მე... მე... ერთი სიტყვით, ქინძისთავი უნდა გადავცე.

ფიგარო, ცოცხლად: ქინძისთავი? მერედა, ვისგან, ეშმაკის ფეხო? შენს ასაკში მაჭან... მაჭან... (თავს შეიკავებს და ხმას დაინაზებს.) დიახ, დიახ, ამას ვამბობდი, მაჭარივით ქორფა ასაკის მიუხედავად, ნებისმიერ დავალებას კეთილსინდისიერად ასრულებ, სამსახურზე უარს არავის ეუბნები.

ფანშეტი: მაშ, რაღას მიბრაზდებით? ნავე-ლი!

ფიგარო, შეაჩერებს: არა, არა, გეხუმრები. მომისმინე: გრაფმა გიბრძანა, ეს ქინძისთავი

ვი სიუზანისთვის გადაგეცა. ქინძისთავი იმ წერილს ახლდა, რომელსაც გრაფი კითხულობდა. ხომ ხედავ, ყველაფერი ვიცი.

ფანშეტი: საკითხავიც არაფერი გქონიათ, თუკი ყოველივე ასე კარგად იცით.

ფიგარო, პასუხს ეძებს: ცნობისმოყვარეობამ დამძლია, მსურს გავიგო, რა დაგავალა გრაფმა.

ფანშეტი, გულუბრყვილოდ: გამოცანა გერგებათ! ასე მითხრა: „ეს ქინძისთავი აიღე, ცუგრუმელა ფანშეტ, შენს თვალწარმტაც დაიკოს გადაეცი და უთხარი, რომ დიდი ნაბლის ხეების საწინდარი ბეჭედი.“

ფიგარო: დიდი...

ფანშეტი: ნაბლის ხეების. ჰო, მართლა, ესეც დაამატა: „გაფრთხილდი, არვინ დაგინახოს.“

ფიგარო: შენც ადექი და დაუჯერე, დაიკო. საბედნიეროდ, არავის არაფერი დაუნახავს. ზედმინევნით შეასრულე დავალება და სიუზანთან გრაფის დანაბარების გარდა, სხვა არაფერზე დაგცდეს სიტყვა.

ფანშეტი: მეტი რაღა უნდა ვუთხრა? ძამიკო, ბავშვი ნუ გგონივართ! (კუნტრუშით გარბის.)

მეთხუთმეტე სცენა. ფიგარო, მარსელინი

ფიგარო: რაო, დედიკო?

მარსელინი: რაო, შვილიკო?

ფიგარო, მძიმედ სუნთქავს: როგორ გითხრა... რა არ ხდება ამ ქვეყანაზე?

მარსელინი: ჰო, ხდება ხოლმე... მაინც, რა ხდება?

ფიგარო, მკერდზე იდებს ხელს: ის, რაც ახლა მოვისმინე, მძიმე ლოდივით მანევს გულზე.

მარსელინი, სიცილით: როგორც ჩანს, ეს გული, რომელიც არაფრის წინაშე უკან არ იხევს, ვაჟკაცური და შემართული, სინამდვილეში ჰაერით გაბერილი ბუშტი ყოფილა. ქინძისთავს უჩხვლეტ და მორჩა... ნამსვე ჩაიჩუტება.

ფიგარო, გაშმაგებული: ის ქინძისთავი გრაფმა იატაკიდან აიღო.

მარსელინი, მისავე სიტყვებს შეახსენებს: ეჭვიანობაზე ლაპარაკობდი: „იცო, დედიკო, ამის თაობაზე ჩემს ფილოსოფიას ვერა ძალა ვერ შეარყევს. და თუკი სიუზანმა ოდესმე მილალატა, ამთავითვე ვპატიებ.“ ხომ გახსოვს?

ფიგარო, ცოცხლად: დედიკო, ადამიანები მუდამ იმას ვამბობთ, რასაც ვგრძნობთ აიძულეთ, თუნდაც ყველაზე მიუკერძოებელი მოსამართლე, განიხილოს საკუთარი საქმე და დაინახავთ, როგორ მოექცევა კანონებსა ახლა კი ვხვდები, რამ გააბრაზა გრაფი, როდესაც საქმე მაშხალებზე მიდგა! მაგრამ ქინძისთავეების სახემშვენიერ მოყვარულს რაც შეეხება, ნაბლის ხეებთან დაკავშირებით, იაღლიში მოუვიდა! თუკი ჩემი ქორწინება გადაწყვეტილი საქმეა. აქედან გამომდინარე, ჩემი რისხვაც სავესებით კანონიერია. მეორე მხრივ, საქმე ბოლომდე ჯერ კიდევ არ მისულა, ასე რომ შემოძლია, სიუზანი დავივიწყო და სხვა შევიერთო...

მარსელინი: მსჯელობაც ასეთი უნდა! მცირე ეჭვი და ყველაფერი წყალში ჩაიყარა. ერთი ეს მითხარი, როგორ გგონია, ვის ასულელებს, შენ თუ გრაფს? რაო, მკაცრად დაკითხე და ახლა განაჩენი გამოგაქვს? დანამდვილებით იცი, რომ პაემანზე მისვლას აპირებს? მერედა, რა მიზნით? რას ეტყვის გრაფს? რას მოიმოქმედებს? მართალი გითხრა, მე უფრო ჭკვიანი მეგონე.

ფიგარო, გზნებით კოცნის ხელზე: მართალი ბრძანდებით, დედიკო, სრულ სიმართლეს ლაღდებთ. ვერვინ მოგედავებათ! მაგრამ მოდით, ორიოდ სიტყვით, საერთოდ, ადამიანების ბუნება გავიხსენოთ! ის კი სწორია, რომ განაჩენის გამოტანამდე, საქმე ყურადღებით უნდა შეისწავლო და გამოიკვლიო. ვიცი, პაემანი სად დაუნიშნა. მშვიდობით, დედიკო!

მეთექვსმეტე სცენა. მარსელინი, მარტოა.

მარსელინი: გზა მშვიდობისა! პაემანის ადგილი მეც ვიცი. ახლა, როცა ცოტათი აზრზე მოვიყვანე, სიუზანს უნდა მივხედო. ამ მართლაცდა მშვენიერ არსებას სიფრთხილე მართებს! როდესაც ურთიერთ ქიშპობას მოვრჩებით, ქალები ერთ მუშტად ვიკვრებით და მზად ვართ ჩვენი საბრალო, დამონებული სქესი დავიცვათ ესოდენ ამპარტავანი, საშინელი (იციინის) და ესოდენ ჭკუასუსტი მამაკაცებისგან! (გაღის.)

მესუთე მოქმედება

სცენა მიმდინარეობს პარკის მოედანზე, წაბლის ხეების ქვეშ. მარცხნივ და მარჯვნივ: ორი ფანჩატურის მაგვარი ნაგებობა, პავილიონები ან მოსასვენებელი ოთახები. სიღრმეში ყვავილებით მოფენილი პატარა მდელო; მდელოს წინ კორდი. სცენაზე ბნელა.

პირველი სცენა. ფანშეტი, მარტოა, ერთ ხელში ნამცხვარი და ფორთოხალი უკავია, მეორეში ანთებული ფანარი

ფანშეტი: მარცხენა ფანჩატურიო, ასე თქვა. აი, ისიც... თუ არ მოვიდა, ჩემი როლი... ო, ეს საძაგელი ლაქიები! ერთი ციციქნა ნამცხვარი და ფორთოხალი დაინანეს! „ვისთვის გნებავთ, ქალბატონო?“ – „მავანისთვის.“ – „კარგად ვიცით, ვის უნდა მიართვათ.“ „თუნდაც, ასე იყოს! მხოლოდ იმის გამო, რომ მის ბრწყინვალეებას ვერ ენახვება, შიმშილით სული უნდა ამოხდეს?“ რა მექნა, ერთი კოცნის ნება მივეცი. რა თქმა უნდა, ლოყაზე. ეგ არაფერი; ერთი დღეც მოვა და სამაგიეროს გადავუხდის! (შეამჩნევს ფიგაროს, რომელიც ყურადღე-

ბით მისჩერებია და შეკვივლებს.) ვაი!.. (მარცხენა ფანჩატურისკენ გარბის.)

მეორე სცენა. ფიგარო, გრძელი მოსასხამით და ფართეფარფლებიანი, თვალებზე ჩამოფხატული ქუდით, ბაზილი, ანტონიო, ბართოლო, ბრიდ-უაზონი, გრიპ-სოლეი, მსახურები და ხელოსნები

ფიგარო, ჯერჯერობით მარტოა: ფანშეტია! (რიგრიგობით, ყურადღებით აკვირდება მომსვლელებს. შემდეგ არცთუ ისე თავაზიანად გამოელაპარკება) სალამი, ბატონებო... სალამო მშვიდობისა, ყველანი მოხვედით?

ბაზილი: ყველა, ვისაც მოუხმე.

ფიგარო: როგორ გგონიათ, რომელი საათი იქნება?

ანტონიო, ცას ახედავს: ეტყობა, მთვარე ამოვიდა.

ბართოლო: რა საიდუმლო სერობა გამიმართეთ?! შეთქმულებს ჰგავხართ.

ფიგარო, დელავს: თუ არ ვცდები, ციხედარბაზში ქორწინებაზე დასასწრებად მოხვედით, ხომ ასეა?

ბრიდ-უაზონი: რა-ა თქმა უნდა.

ანტონიო: პარკისკენ გამოვეშურეთ, რათა

ზეიმის დანყების ნიშანს დაველოდოთ.

ფიგარო: ამაზე შორს ნუ ნახვალთ, ბატონებო! აქ, ამ ნაბლის ხეების ქვეშ, ჩემი ზნეკეთილი საცოლე და ის პატიოსანი სენიოვი უნდა განვადიდოთ, რომელსაც ქალიშ-

ბაზილი, დღის მოვლენებს იხსენებს: აჰა! როგორც იქნა, მივხვდი, რაშიც არის საქმე. მომისმინეთ, ბატონებო, ერთ რჩევას მოგცემთ: აქაურობას მოვშორდეთ! ვგონებ, პაემანს შევესწარით. გვერდზე მივდგეთ და ყველაფერს მოგიყვებით.

ბრიდ-უაზონი, ფიგაროს: და-ავბრუნდებით. ფიგარო: დაგიძახებთ თუ არა, მყისვე აქ გაჩნდით და თუ სახალისოს ვერაფერს იხილავთ, შეგიძლიათ, რამდენიც გენებოთ, მლანძლოთ და მთათხოთ!

ბართოლო: გახსოვდეს, სუსტს ძლიერთან მართალი არასოდეს გასვლია!

ფიგარო: კარგად მახსოვს!

ბართოლო: მდგომარეობით ისარგებლებენ და ხელს მოგვითავებენ.

ფიგარო: ჭკუა არ ეყოფათ, ესეც კარგად გახსოვდეთ! კიდევ ერთი, – ლაჩარს ნებისმიერი დაჩაგრავს...

ბართოლო: რაც მართალია, მართალია.
ფიგარო: ...მე კი ვერტ-მიულერის, დედა-ჩემის პატივდებული მფარველის სახელს ვატარებ...

ბართოლო: ტანში ეშმაკი შეგიჯდა.

ბრიდ-უაზონი: შე-ეუჯდა...

ბაზილი, თავისთვის: გამოდის, გრაფმა და სიუზანმა უჩემოდ პირი შეკრეს? თუმცა, რა? გასაბრაზებელი არაფერი მაქვს.

ფიგარო, მსახურებს: თქვენ კი, ყალთაბანდებო, ბრძანება ადრე მოგეცით; მაშ, კეთილი ინებეთ და აქაურობა გამინათეთ, თუ არა-და, კარგი დღე არ დაგადგებათ: ერთი თუ გამოგენთეთ... (გრიპ-სოლეის ხელს სტაცებს.)

გრიპ-სოლეი, გარბის, თან ყვირის და ცრემლად იღვრება: ო-ო, ნამდვილი პირუტყვია!

ბაზილი, გადის: აბა, შენ იცი, სიძუკა! ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი! (ფიგაროს გარდა, ყველანი გადიან.)

მესამე სცენა. ფიგარო მარტოა, გულდამძიმებული და აფორიაქებული, ბნელ ოთახში უთავბოლოდ დადის.

ფიგარო: ო, ქალი, ქალი, ქალის სუსტი და მზაკვარი არსება. იქნებ, სიუზანის ბუნე-

ბაც სიცრუისკენაა მიდრეკილი... ცოტა ხნის წინ, როდესაც ქალბატონის თანდასწრებით, მე თვითონ ვევედრებოდი, უარი მტკიცა, მერე კი, შუაგულ ზეიმში, ფიცის დადებისას... გრაფი წერილს კითხულობდა და ხითხითებდა... ვიგინდარა! მე კი, დოჟ-ლაპია... არა, თქვენო ბრწყინვალეზავ, ვერ მოგართვეს, თქვენი არასოდეს იქნება... ნუთუ ფიქრობთ, თუკი ამა ქვეყნის ძლიერთა რიცხვს ეკუთვნით, ნიჭითაც სხვებზე აღმატებული ბრძანდებით?.. კეთილშობილი წარმომავლობა, სიმდიდრე, მალალწრეში ტრიალი, შესაშური თანამდებობები – როგორ იქნება, ყოველივე ამის გამოცხვირი არ აიბზუოთ! მაგრამ ისეთი რა გაისარჯეთ, ასეთ კეთილდღეობას რომ ეღირსეთ? თავი მხოლოდ იმით შეინუხეთ, რომ სამყაროს მოევლინეთ. ეს იყო და ეს. ჩვენში რომ ვთქვათ, ერთი ჩვეულებრივი კაცი ბრძანდებით! აბა, ახლა მე მკითხეთ? იმ ადამიანებს ვეკუთვნი, რომელთა დაბადების დღე და ადგილი ბნელითაა მოცული. ამიტომ, თავი რომ გამეტანა და სარჩო-საბადებელი მომეპოვებინა, ისეთი ცოდნა და მარიფათი უნდა გამომეჩინა, რომელიც სა-

უკუნის მანძილზე ესპანეთის სამეფოს მართვასაც არ დასჭირდებოდა. თქვენ კი ჩემთან გაჯიბრებას აპირებთ... ვილაც აქეთ მოდის... ის არის... არა, მომეყურა. ისე ბნელა, თითოს თვალთან ვერ მიიტან, მე კი ქმრის სულელური მოვალეობა უნდა აღვასრულო, თუმცა მეუღლე სანახევროდ თუ მეტქმის. (სკამზეჯდება.) მერედა, რარიგ უჩვეულო ბედი მერგო! უცნობი მამის შვილმა, ყაჩაღების მიერ გატაცებულმა, მათ ხელში გაზრდილმა, ერთბაშად შევიზიზღე ისინი და პატიოსანი კაცის ცხოვრება ვარჩიე. თუმცა, ვისაც კი არ მივაკითხე, ყველამ მუჯღუგუნებით გამომისტუმრა. შევისწავლე ქიმია, ფარმაცია, ქირურგია, მაგრამ რა? ერთი წარჩინებული პირის დახმარებით ვეტერინარის ადგილს ძლივს გამოვკარი ხელი. ბოლოს და ბოლოს, სწეული პირუტყვების ამოწვლა ყელში ამომივიდა და სრულად განსხვავებულ საქმეს დავადექი – თეატრის ორომტრიალში გადავეშვი. ჯობდა, ყველაზე მძიმე ლოდი შემება და წყალში ჩავმხტარიყავი. ვიცოდვილე და ჰარამხანის ცხოვრებაზე პიესა დავწერე. ვიფიქრე, ესპანელი დრამა-

ტურგივარ და ალაჰს უდიერად რომ მოვექცე, არვინ დამძრახავს-მეთქი. მაგრამ მყისვე ვინმე დესპანმა, ეშმაკმა უწყის, საიდან მოთრეულმა, არზა გააშანშალა, თითქოს ჩემი ლექსებით შეურაცხყოფა მივაყენე პორტას, სპარსეთს, თითქმის ნახევარმნიფობსაც: ბარკას, ტრიპოლის, ტუნისს, ალჟირს და მაროკოს. ჰოდა, ჩემი კომედია ცეცხლს მისცეს მაჰმადიან ტირანთა საამებლად, რომელთაგან დარწუნებული ვარ, არც ერთს ცხოვრებაში ორი სიტყვაც არ წაუკითხავს და რომლებსაც ცემა-ტყეპით სიკვდილის პირას მივყავართ, თან წამდაუნუმ გვიჩინებენ: აი, ესეც თქვენ, ქრისტიანებო! რადგან გონების დამცირება არავის ძალუძს, მისი მტრები ჯავრს იმით იყრიან, რომ მუდამ სდევნიან და მოსვენებას არ აძლევენ. სულით დავეცი, უკიდურეს ზღვართან მისულს, თვალწინ დამიდგა სასამართლოს მოხელე, საზიზღარი სიფათით, ყურთან გაჩრილი კალმით... თავზარდაცემული ვცდილობდი, სიმხნევე მომეკრიბა. სწორედ ამ დროს, საზოგადოებაში კამათი ატყდა სიმდიდრის წარმოშო-

ბაზე და რადგან ამა თუ იმ საგანზე მსჯელობისას, საერთოდ არ არის აუცილებელი მისი ცოდნა, მეც, - თუმცა ჯიბეში გროშიც არ მიჭყაოდა, - ავდექი და დავინყეწე-რა ფულის ღირებულებაზე და იმაზე, რა სარგებლის მოტანა შეუძლია სიმდიდრეს. ხანი გამოხდა და საზიდარში მჯდომმა, დავინახე, როგორ დაეშვა ჩემს ზურგს უკან ციხე-კოშკის ხიდი, მერე კი, საკნის ზღურბლზე იმედი და თავისუფლებაც დავთმე. (წამოდგება.) ო, როგორ მენადა, ამ მედროვეთაგან, რომლებიც სინდისის ქენჯნის გარეშე აწერენ ხელს უსასტიკეს განაჩენს, ერთი მაინც მომეგდო ხელთ... და სწორედ იმ დროს, როს ულმობელი უიღბლობა სამსახურიდან გამოაპანლურებდა და ბოროტ უინს დაუცხრობდა, ვეტყოდი, რომ გაზეთების ფურცლებზე გაპარული სისულელეები ძალას მხოლოდ იქ იკრებს, სადაც მათი გავრცელება ჭირს, რომ იქ, სადაც კრიტიკის თავისუფლებაზე არვის არაფერი სმენია, ქება-დიდებასაც გასავალი არა აქვს და რომ ვიღაცის კნინი ნაჯღაბნები მხოლოდ მწირ კაცუნებს თუ დაუფრთხობს ძილს. (ისევ ჯდება.) როდესაც უცნობი ხიზა-

ნის კვება მობეზრდათ, გარეთ გამაგდეს და რადგან, საკანში იქნები თუ სუფთა ჰაერზე, ჭამა იქაც და აქაც გინდა, ისევ ნავამახვილე კალამი, მივდექ-მოვდექი და შევეცადე კითხვა-კითხვით გამეგო, რა უფორიაქებდა იმ წუთს ადამიანებს ტვინს. ჰოდა, ამიხსნეს, სანამ შენ მუქთად საკანში შეჭამადს მიირთმევდი, მადრიდში ნებისმიერი საქონლის თავისუფალი ვაჭრობა შემოიღეს, თვით ბეჭვდითი სიტყვისაც და რომ ჩემს წერილებში კრინტიც არ უნდა დამეძრა ხელისუფლებაზე, რელიგიაზე, პოლიტიკაზე, ზნეობაზე, საჯარო მოხელეებზე, კეთილსინდისიერ კორპორაციებზე, ოპერის თეატრზე, სხვა თეატრებზეც და იმ ადამიანებზე, ვინც რაიმე საქმეს ადგიან. სხვა დანარჩენებზე, რაც მოგეხალისება, ის თქვი, ოლონდ ცენზორის აზრის გათვალისწინებითო. ერთი სული მქონდა, სანამ ესოდენ ნანატრი თავისუფლების ნაყოფს ვიგემებდი, ამიტომ სასწრაფოდ გაცხადება გავაშანშალე, და ვისაც საჭირო იყო, ვამცნე, რომ ახალი გაზეთის გამოცემას ვაპირებდი, მკითხველის გულის მოსაგებად და გასახალისებლად სათაურიც უც-

ნაური მოვიგონე: „უქმი გაზეთი“. ერთი გენახათ, რა აურზაური ატყდა! გაზეთის მჯღაბნელებმა ერთიანად შემომიტიეს... და აი, გაზეთს ხურავენ, მე კი ისევ პირში ჩალაგამოვლებული ვრჩები. უიმედობამ დამრია ხელი. ერთი საქმე შემომთავაზეს, მაგრამ, საუბედუროდ, ჩემთვის ზედგამოჭრილი აღმოჩნდა... მერედა, რა მოიმოქმედეს? მოანგარიშე სჭირდებოდათ, ადგნენ და მოცეკვავე დაიქირავეს! ქურდობის მეტი აღარაფერი მრჩებოდა. უნებლიეთ, „ფარაონის“ მებანკე გავხდი. ერთიც ვნახოთ და უცებ, ყველამ ჩემკენ იბრუნა პირი, თავს მეფოფინებოდნენ, ეგრეთ ნოდებულმა პატიოსანმა ადამიანებმა სახლის კარი გამიღეს, თუმც კი, მოგების მეტნილს თვითონ იჯიბავდნენ. ვიფიქრე, ეს რა დახლი დამიდგა-მეთქი, იმასაც მივხვდი, რომ ფულის საშოვნელად სულაც არ ღირს, მეცნიერებას შეაკლა თავი, სისხარტეც საკმარისია. მაგრამ რადგან ირგვლივ ყველა ფულს ეტანებოდა, ჩემგან კი პატიოს-

* ფარაონის მებანკე: „ფარაონი“ ბანქოს თამაშია ერთგვარი; მებანკე – ბანქოს დამრიგებელი.

ნებას ითხოვდნენ, ამჯერადაც დავმარცხდი. გადავწყვიტე სამყაროს განვშორებოდი. ის-ის იყო, ღრმა მორევისთვის უნდა მიმეცა თავი, რომ არ ვიცი საიდან მოვლენილმა ქველმოქმედმა სულმა მიჩია, ჩემს პირველ ხელობას დავბრუნებოდი. საპარსი ხელსაწყოები და ინგლისური ტყავის ქამარი მოვიკითხე, ამპარტავნების ასპარეზი ბრიყვებს დავუთმე, იმათ, ვისაც სხვა არაფერი აღელვებთ; სირცხვილი, გზად მავალი კაცისთვის ზედმეტი ტვირთი, შორს მოვისროლე. მოხეტიალე დალაქის ბედი ვირჩიე და უზრუნველ ცხოვრებას ვეზიარე. ერთ მშვენიერ დღეს, სევილიაში ვინმე დიდებული ჩამოვიდა, მიცნო: ცოლი მე გავურიგე და ახლა, მადლობის ნიშნად ჩემს ცოლს დაადგა თვალი. არშიყს ქარიშხალი მოჰყვა. უფსკრულის პირს მიმდგარმა, ლამის იყო, საკუთარი დედა შევირთე და სწორედ ამ დროს, ერთიმეორის მიყოლებით ცხვირნინ მშობლები ამეტუზნენ. (დგება. ძალიან აღელვებულია.) ეს თქვენ ხართ... ეს ის არის... ეს მე ვარ, ეს კი შენ. არა, ეს ჩვენ არ ვართ: აბა, მაშ ვინ? ბოლოს და ბოლოს, რა გამოვიდა? (ისევ ჯდება.) აი, ბედისწერაც

ამას ჰქვია! რა ჭირად მერგო ეს უბედურება? და თუ მოხდა, რაც მოხდა, რატომ ასე და არა ისე? იძულებული ვიყავი, იმ გზით მევლო, რომელსაც ჩემი ნების გარეშე ვადექი და რომელსაც ერთ მშვენიერ დღეს, ისევ და ისევ, ნების გარეშე ვადევნებ. სავალი გზა ყვავილებით მოვრთე, ისე, როგორც ჩემს ლალ ხასიათს შეეფერება: ჩემია-მეთქი, ვამბობ, თუმცა, ზუსტად ვერ ვიტყვი, რამდენადაა ჩემი, სხვა დანარჩენთან შედარებით. ისიც ვერ გამიგია, რა არის „მე“, რომელსაც ამდენ ყურადღებას ვუთმობ: გაურკვეველი ნაწილაკების თავყრილობა, უგონივრო რამ, ცელქი, ტყიური ყმანვილი კაცი, რომელიც სიამოვნებებს ელტვის; განცხრომისთვის გაჩენილი, რომელიც არავითარ საქმეს არ იუკადრისებს, ყველა ხელობას დათანხმდება, ოღონდ როგორმე თავი გაიტანოს. დღეს – ბატონი, ხვალ – მოჯამაგირე, როგორც ბედი ინებებს; ამპარტავანი და ყოყლოჩინა, აუცილებლობის გამო შრომისმოყვარე, თანაც თავდავინყებამდე ზარმაცი, ხიფათის დროს – ორატორი, მოცალეობის უამს – პოეტი, თუ შემთხვევა მიეცა, მუსიკოსი,

დროდადრო თავგადაკლული მიჯნური. დიახ, ყოველივე ვნახე, რა საქმეს არ ვენიე, რა არ გამოვცადე! მერე, ერთ დღეს, სიცრუე განქარდა და სასონარკვეთილმა... დიახ, იმედი სულ მთლად გადამენურა! ოჰ, სიუზან, სიუზან, ეს რა სატანჯველი დამატეხე თავს! ნაბიჯების ხმა მესმის... აქეთ მოდიან. ცოტაც და ყოველივეს ნათელი მოეფინება! (მიდის მარჯვენა პირველი კულისისკენ.)

მეოთხე სცენა. ფიგარო, გრაფინია სიუზანის კაბაში, სიუზანი გრაფინიას ტანსაცმელში, მარსელინი

სიუზანი, გრაფინიას ჩუმად: მარსელინმა მითხრა, ფიგარო უნდა მოვიდესო.

მარსელინი: ვფიქრობ, უკვე აქ არის.

სიუზანი: გამოდის, ერთი მოგვაყურადებს, მეორე კი პაემანზე მეახლება. აბა, დავინყოთ.

მარსელინი: მე ფანჩატურში დავიმალეები და შევეცდები, სიტყვაც არ გამოვტოვო. (ფანჩატურში შედის, სადაც ადრე ფანშეტი შევიდა.)

მეხუთე სცენა. ფიგარო, გრაფინია, სიუზანი

სიუზანი, ხმამაღლა: კანკალებთ, ქალბატონო? ხომ არ გცივათ?

გრაფინია, ხმამაღლა: აგრილდა, ციხე-დარბაზში დავბრუნდები.

სიუზანი, ხმამაღლა: თუ აღარ გჭირდებით, ცოტა სუფთა ჰაერს ჩავისუნთქავ, აქვე, ხეების ქვეშ.

გრაფინია: ცვარია... ფრთხილად, არ გაცივდე.

სიუზანი: ცვრის არ მეშინია.

ფიგარო, თავისთვის: კარგად ვიცი, რა ცვარიცაა!

(სიუზანი კულისებისკენ მიდის, ფიგარო საწინააღმდეგო კულისთან რჩება.)

მეექვსე სცენა. ფიგარო, ქერუბინო, გრაფი, გრაფინია, სიუზანი

(ფიგარო და სიუზანი ავანსცენის გაღმა-გამოღმა)

ქერუბინო, ოფიცრის ფორმა აცვია, მხიარულად მღერის რომანსს: ლა, ლა, ლა...

გულს არავინ მაკლია,
მიყვარს მხოლოდ ნათლია.

გრაფინია, თავისთვის: პატარა პაუი!
ქერუბინო, ჩერდება: ვილაც დასეირნობს. აბა, ჩქარა თავშესაფარში, ფანშეტთან... დახე, ქალია!

გრაფინია, აყურადებს: ღმერთო მაღალო!
ქერუბინო, თვალს არ აშორებს, იხრება: რა მემართება, ხომ არ მეჩვენება? თუ არ ვცდები, სიუზანი უნდა იყოს. აი, იქ, შორს, სიბნელეში, ფრთებით განყობილ ქუდს ვხედავ.
გრაფინია, თავისთვის: გრაფი რომ თავს წაგვადგეს? (სცენის ბოლოში გრაფი გამოჩნდება.)

ქერუბინო, გრაფინიას უახლოვდება და ხელს ხელზე ჰკიდებს, გრაფინია ხელის გათავისუფლებას ცდილობს: ეს ის მომხიბვლელი გოგონა ყოფილა, სიუზანი რომ ჰქვია. ეს თლილი თითები, მსუბუქი თრთოლვა და, რაც მთავარია, ჩემი გულის ცემაც ამას მიმტკიცებენ. (სურს, გრაფინიას ხელი მკერდზე მიიკრას, ქალი ხელს გამოსტაცებს.)

გრაფინია, ჩუმად: გამერიდეთ!

ქერუბინო: თუკი ჩემს სამალავში თანაგრძნობამ მოგიყვანა...

გრაფინია: სადაცაა ფიგაროც მოვა.

გრაფი, ახლოვდება, თავისთვის: თუ არ ვცდები, სიუზანი უნდა იყოს.

ქერუბინო, გრაფინიას: ფიგაროსი რატომ უნდა მეშინოდეს? შენ ხომ მას არ ელოდები!

გრაფინია: მაშ, ვის?

გრაფი, თავისთვის: მარტო არ არის, ვილაც ახლავს.

ქერუბინო: დღეს დილით, სავარძლის უკან რომ ვიმაღლებოდი, თავად მისმა ბრწყინვალეობამ გთხოვა, შე ეშმაკის ფეხო, პაემანზე მისულიყავი.

გრაფი:, თავისთვის, გაბრაზებული: ისევ, ეს ნყეული პაჟი!

ფიგარო, თავისთვის: ვინ თქვა, რომ მიყურადება ცოდვაა?! ბოროტებაა?

სიუზანი, თავისთვის: ენატარტალა.

გრაფინია, ქერუბინოს: გთხოვთ, დამტოვოთ!

ქერუბინო: სანამ დაგტოვებთ, მორჩილებისთვის თქვენგან საზღაურს ველი.

გრაფინია, დამფრთხალი: გსურთ, რომ...

ქერუბინო, გზნებით: ჯერ ოცი კოცნა შენგან, მერე კი ასი შენი ქალბატონისგან.

გრაფინია: გაბედავთ და...

ქერუბინო: გავბედავ და მეტი არა?! შენ გრაფინიას ადგილს დაიკავებ გრაფის

გვერდით, მე კი, გრაფისას შენ გვერდით. აი, ფიგაროს რა ეშველება, არ ვიცი.

ფიგარო, თავისთვის: ერთი ამ ყაჩაღანას დამიხედე!

სიუზანი, თავისთვის: ყველა პაჟივით თავხედია! (ქერუბინო გრაფინიას საკოცნელად წაეტანება, გრაფი წყვილს შუაში ჩაუდგება და ქერუბინოს ამბორსაც ის იღებს.)

გრაფინია, უკან იწევს: ღმერთო ჩემო!

ფიგარო, კოცნის ხმას გაიგონებს, თავისთვის: მეც ვიპოვე რა საცოლე! (აყურადებს.)

მეშვიდე სცენა. ფიგარო, გრაფი, გრაფინია, სიუზანი

ფიგარო, ახლოვდება: მსურს...

გრაფი, ჰგონია, რომ პაჟს ელაპარაკება: რადგან კოცნა-ხვევნას მორჩით... (ფიგაროს სილას გააჩნავს.)

ფიგარო: ვაი!

გრაფი: ესეც პირველი კოცნის საფასური.

ფიგარო, გარბის, თან ლოყას ისრესს, თავისთვის: ზოგჯერ მიყურადებაც შეიძლება ცუდად შემოგიბრუნდეს.

სიუზანი, სცენის მეორე მხარეს ხარხარებს: ჰა-ჰა-ჰა...

გრაფი, გარფინიას, რომელიც სიუზანი ჰგონია: მოდი და გაუგე ამ პაუსს! ეს-ეს არის სილა იგე-მა და ვითომც არაფერი, ხარხარით გარბის. ფიგარო, თავისთვის: სატირელი რა აქვს?

გრაფი: ნაბიჯსაც ვერ ვდგამ... (გრაფინიას) თუმცა, მოდი სისულეებს შევეშვათ, შენთან შეხვედრის სიამოვნებას ვერ მოვიშხამავ.

გრაფინია, სიუზანის ხმით: დარწმუნებული იყავით, რომ შეგხვდებოდით?

გრაფი: შენი ეშმაკური ბარათის შემდეგ, ვერაფერი გადამარწმუნებდა. (ხელს ხელზე ჰკიდებს.) კანკალებ?

გრაფინია: ძალიან შევშინდი.

გრაფი: შენ მაგივრად მიღებულ კოცნას გიბრუნებ. (შუბლზე კოცნის.)

გრაფინია: მეტისმეტი ხომ არ მოგდით?

ფიგარო, თავისთვის: რა საშინელი სანახავია!

სიუზანი, თავისთვის: რა მშვენიერი სანახავია!

გრაფი, ცოლს ხელს ჩაჰკიდებს: რა ნაზი, რა სათუთი კანია!

გრაფინია, თავისთვის: სულ დაკარგა თავი!

გრაფი: რა იქნებოდა, გრაფინიასაც ასეთი

საუცხოო ხელები ჰქონოდა? ნაზად მოხრილი მკლავი, თლილი, კოხტად გამოყვანილი და ცელქი თითები?

გრაფინია, სიუზანის ხმით: ესე იგი სიყვარული... გრაფი: სიყვარული გულის მიერ შექმნილი რომანია, რომლის მთავარი თემა განცხრომაა.

გრაფინია: გრაფინია აღარ გიყვართ? გრაფი: ძალიან მიყვარს, მაგრამ სამი წლის ცოლქმრობამ ვნება დააცხრო და ჩვენს კავშირს კეთილზნეობა შესძინა.

გრაფინია: თქვენს ცოლს რა აკლია?

გრაფი, ეალერსება: ის, რაც შენში ვპოვე, სულიკო...

გრაფინია: მაინც რა?

გრაფი: როგორ გითხრა? მრავალფეროვნება, სილალე, ყინი, ზოგჯერ სიჯიუტეც. ცოლებს რომ ჰკითხო, საკმარისია, ქმრები უყვარდეთ, სხვას არად დაგიდევენ. ეს აზრი ტვინში ჩაიჭედეს. ქმრები უყვართ – თუკი მართლა უყვართ – თავს ევლებიან, ნებისმიერ სურვილს უსრულებენ, ერთგულად ემსახურებიან, ყოველ წამს ყველაფრისთვის მზად არიან, არაფერს იშურებენ და აი, ერთ

მშვენიერ საღამოს, ოი, საოცრებავ, აღმოაჩენ, რომ ყველაფერი ყელში ამოგივიდა და ნეტარება მოყირჭებად გექცა.

გრაფინია, თავისთვის: კარგი გაკვეთილია!

გრაფი: მართალი თუ გნებავს, სიუზან, ხშირად მიფიქრია, თუკი სხვაგან ვეძებთ იმ სიტკბოებას, რასაც შინ ვერ ვპოულობთ, ასე იმიტომ ვიქცევით, რომ ჩვენს ცოლებს არ ძალუძთ სურვილის გაღვივება. ჩვენ მუდამუჟამს ახლებურ სიყვარულს ვესწრაფვით, დიახ, შეიძლება ასეც ითქვას, ახალ ტრფობას მრავალფეროვნების ხიბლი ახლავს.

გრაფინია, განაწყენებული: გამოდის, ქალები ყველაფერს უნდა დავთანხმდეთ.

გრაფი, სიცილით: მამაკაცები კი არაფერს ბუნების კანონს წინ ვერავინ აღუდგება. მამაკაცი ურთიერთგაგებას ეძიებს, ქალი კი...

გრაფინია: ქალს რაღა რჩება?

გრაფი: ქალებმა ჩვენი შეკავება უნდა შეძლოთ. ამას კი ხშირად ივინყებთ.

გრაფინია: მე კი მუდამ მემახსოვრება.

გრაფი: მეც.

ფიგარო, თავისთვის: მეც თქვენთან მიგულეთ.

გრაფი, ცოლს ხელს ჩაჰკიდებს: ო, როგორი ექოა, ხმადაბლა ვილაპარაკოთ. მაშ, ასე, შენ ამაზე თავს ნუ შეინუხებ: სიყვარულის ღმერთს შენს შესამკობად არაფერი დაუშურებია, ცოცხალი ხასიათი და სილამაზე გიბოძა. ცოტა უინიანობა და შენსავით მომხიბვლელი სატრფო სანთლით საძებნელი იქნება. (შუბლზე კოცნის.) სიუზან! კასტილიელები სიტყვას არ ღალატობენ. აი, შეპირებული ოქრო, შენგან მონიჭებული მათრობელი ნუთებით ტკბობის უფლების ხელახლა შესაძენად. რადგან შენგან ბოძებულ წყალობას ფასი არ ადევს, ოქროსთან ერთად მარგალიტით მოჭედილი ბეჭედიც მიიღე, რომელსაც ამიერიდან სიყვარულის ნიშნად ატარებ.

გრაფინია, დაიჩოქებს: მადლობას მოგახსენებთ საჩუქრისთვის.

ფიგარო, თავისთვის: ო, რა ცბიერია!

სიუზანი, თავისთვის: აი, ეს მესმის, საჩუქარი თუ გინდა, სწორედ ეს არის!

გრაფი, თავისთვის: საჩუქრებს დახარბებული ყოფილა, მით უკეთესი.

გრაფინია, სცენის სიღრმისკენ იხედება: ჩირალდნებს ვხედავ.

გრაფი: შენი ქორწინებისთვის ემზადებიან. სანამ ჩაივლიან, ფანჩატურს შევეფაროთ.

გრაფინია: იქ რომ ბნელა?

გრაფი, ფანჩატურისკენ გაიყოლებს გრაფინიას: სინათლე რაში გვეჭირდება? ნიგნის კითხვას ხომ არ ვაპირებთ?

ფიგარო, თავისთვის: არადა, მიჰყვება! არ ველოდი! (უახლოვდება წყვილს.)

გრაფი, მობრუნდება, ხმას იმტკიცებს: აქ ვინ დადის?

ფიგარო, ბრაზით: კი არ დადის, გიახლოვდებათ.

გრაფი, გრაფინიას, ჩურჩულით: ფიგაროა. (გარბის.)

გრაფინია: მეც გამოგყვებით. (ფანჩატურში შერბის, გრაფის სცენის სიღრმეში, ხეებში გაუჩინარდება.)

მერვე სცენა. ფიგარო, სიუზანი სიბნელეში

ფიგარო, ცდილობს გამოიცნოს, საით წავიდნენ გრაფი და გრაფინია, რომელიც სიუზანი ჰგონია: ჩამიჩუმი არ ისმის. ფანჩატურში შევიდნენ,

გასაგებია. (აღელვებული) ეი, თქვენ, დოკლაპია ქმრებო! დაქირავებულ მეთვალყურეებს აქეთ-იქეთ არბენინებთ, თვადაც თვეობით ლობე-ყორეს ედებით, მაგრამ ცოლის გამოჭერას ვერა და ვერ ახერხებთ! აბა, ერთი, მე შემომხედეთ! დიახ, მაგალითი ჩემგან უნდა აიღოთ! პირველი დღიდანვე თვალს არ ვაშორებ ჩემს საცოლეს, სიტყვასაც ვერ გამომაპარებს და აი, ერთბაშად, ყოველივე საცნაური ხდება. შესანიშნავია! არავითარი ეჭვი! ყოველ შემთხვევაში, ახლა უკვე ვიცი, როგორ მოვიქცე. (ჩქარი ნაბიჯებით დადის სცენაზე.) მადლობა ღმერთს, სადარდებელი არაფერი მაქვს! მისი ღალატიც აღარ მალელვებს. როგორც იქნა, შეყვარებულებს თავს ნავადექი!

სიუზანი, სიბნელეში ფეხაკრეფით უახლოვდება, თავისთვის: ყველაფერს გაზღვევინებ, ეჭვიანობას არ შეგარჩენ. (გრაფინიას ხმით) რომელი ხარ?

ფიგარო, დაბნეული: რომელი ვარ? ის, ვინც მთელი სულითა და გულით წყევლის თავის დაბადების დღეს და სიკვდილს ნატრობს.

სიუზანი, გრაფინიას ხმით: ოჰო, ფიგარო?!

ფიგარო, ქალს დააკვირდება, მკვირცხლად:
 თქვენო ბრწყინვალეებავ!

სიუზანი: ხმას დაუწიე.

ფიგარო, სწრაფად: ქალბატონო, ნამდვი-
 ლად ზეცამ მოგავლინათ! როგორ ფიქ-
 რობთ, გრაფი სად უნდა იყოს?

სიუზანი: იმ უგულო კაცთან რა მესაქმე-
 ბა? ერთი ეს მიბრძანეთ...

ფიგარო, უფრო სწრაფად: როგორ გგონიათ,
 ჩემი საცოლუ სიუზანი, სად უნდა ვეძებო?

სიუზანი: ჩუმად-მეთქი.

ფიგარო, სხაპასხუპით: ეს ის სიუზანია, რო-
 მელსაც ყველა ზნეკეთილ და სათნო არსე-
 ბად თვლიდა, თვითონაც უკარება იყო.
 იფიქრებდი, ბუზს არ დაისვამს თავზეო! აი,
 იქ ჩაიკეტნენ. ახლავე დაფუძახებ.

სიუზანი, პირზე ხელს ააფარებს, ხმის შეცვლა
 ავიწყდება: ამას ნუ იზამთ!

ფიგარო, თავისთვის: ეს ხომ სიუზანია! God-
 dam!

სიუზანი, გრაფინიას ხმით: რამ შეგაშფო-
 თათ?

ფიგარო, თავისთვის: მოლალატეე! ჩემი გა-
 ცურება გადაწყვიტე?

სიუზანი: ფიგარო, შური უნდა ვიძიოთ.

ფიგარო: ძალიან გსურთ?

სიუზანი: თუ არადა, ქალი აღარ მეთქმის.
 მამაკაცებს კი რამდენი რამ შეგიძლიათ!

ფიგარო, იღუმალი ხმით: ქალბატონო! ჩვენ
 აქ მარტონი ვართ. ქალის მოგონილი ერთი
 ხერხი კი ყველა ჩვენსას სჯობს!

სიუზანი, თავისთვის: ო, რას გავუღანუნებდი!
ფიგარო, თავისთვის: კარგი იქნებოდა ქორ-
 წინებამდე მაინც...

სიუზანი: ის რა შურისძიებაა, რომელსაც
 იოტისოდენა სიყვარულიც არ ურევია.

ფიგარო: როდესაც მოგეჩვენებათ, სიყვა-
 რული განქარდა, გაიხსენეთ, რომ ნამდვი-
 ლი გრძნობა პატივისცემის ნიღაბსაა ამო-
 ფარებული.

სიუზანი, ნაწყენი: არ ვიცი, მართლა ასე
 ფიქრობთ თუ არა, მაგრამ თქვენს სიტყ-
 ვებში გულწრფელობას ვერ ვგრძნობ.

ფიგარო, მუხლებზე დამხობილი, კომიკური
 გზნებით: ო, ქალბატონო, გალმერთებთ! გა-
 ითვალისწინეთ დრო, ადგილი, ვითარება-
 ნი! დაე, თქვენმა აღშფოთებამ მეტი ძალა
 შესძინოს ჩემს ვედრებას.

სიუზანი, თავისთვის: ო, რარიგ მექავება ხე-
 ლი!

ფიგარო, თავისთვის: ო, რარიგ მიძგერს გული!

სიუზანი: მაგრამ, ბატონო ჩემო, იმაზე თუ იფიქრეთ, რომ...

ფიგარო: როგორ არა, ქალბატონო, ყოველივე ავნონ-დავნონე.

სიუზანი: ვერც რისხვა, ვერც სიყვარული...

ფიგარო - ...დახანებას ვერ იტანს, დაგვიანება უცილობელი მარცხია. ხელი მიბოძეთ, ქალბატონო.

სიუზანი, სილას გააწნავს, თავისი ხმით: ინებეთ!

ფიგარო: ო, demonio* ეს რა მაგრად გამილანუნეთ!

სიუზანი, მეორედ გაარტყამს: გეტკინათ? ეს როგორილაა?

ფიგარო: კი მაგრამ ვინ ბრძანდებით? გასილაქების უამი დადგა?

სიუზანი, ურტყამს, თან იმეორებს: რაო? ვინ ვარ? სიუზანი ვარ, რით ვერ გაიგე?! აი, ეს შენი ეჭვებისთვის, ესეც შურისძიებისა და ლალატისთვის, შენი ოინბაზობისთვის, შენი ზრახვებისთვის... ახლა კი დღეს რაც თქვი, ის გაიმეორე: „განა, ეს არ არის სიყვარული?“

* ესპ. ეშმაკმა დალახვროს.

ფიგარო, დგება და ხარხარს მოჰყვება: **Santa Barbara!*** სიყვარულია, აბა, რა არის! ოი, ბედნიერება, სიხარულო, ო, ასმაგ ნეტარო ფიგარო! მირტყი, საყვარელო, მირტყი, რამდენიც შეგიძლია! მაგრამ როდესაც ერთ ადგილსაც არ დამიტოვებ საღ-საღამათს, მაშინ სიუზანი, შენი კეთილი მზერა მიაპყარ უბედნიერეს მამაკაცს, რომელიც ოდესმე ქალს გაულახავს.

სიუზანი: „მამაკაცთა შორის უბედნიერესი!“ და მაინც, გაიძვერავ, გრაფინიას თვალებს უჟუჟუნებდით და მერე, რა გზნებით, საქმის ცოდნით, ისე, რომ ერთხანობა გონება ამერია და მის სანაცვლოდ ლამის იყო და დაგნებდით.

ფიგარო: ნუთუ ფიქრობ, რომ შენს წყაროსავით წკრიალა ხმას ვერ ვიცნობდი?

სიუზანი, სიცილით: ესე იგი, მიცანი? ო, რარიგ გაზღვევინებ.

ფიგარო: კაცი გალახო და მერე გამოლმა შემოედავო? ასეთები ხართ ქალები. ერთი ეს მითხარი, რა ბედნიერმა შემთხვევამ მოგიყვანა აქ? მე კი ვფიქრობდი, მასთან იყავი. ან ეს ტანსაცმელი, რომელმაც თავ-

* ესპ. წმიდაო ბარბარე!

დაპირველად გონება ამირია, როგორ და-
ამტკიცებს შენს უცოდველობას?

სიუზანი: შენ კი, წმინდაო უმანკოებავ,
როგორ გაები სხვისთვის დაგებულ მახე-
ში? რა ჩვენი ბრალია, თუკი ერთი გასრო-
ლით ორი კურდღელი მოვკალით?

ფიგარო: ეს მეორე ყურცქვიტა საიდან გა-
მოძვრა?

სიუზანი: მეუღლემ ივარგა.

ფიგარო: მეუღლემ?

სიუზანი: დიახ, ცოლმა.

ფიგარო, ახარხარდება: ესეც შენ, ჩემო ფი-
გარო, გიჯობს თავად ჩამოიხრჩო თავი
ასე რამ შეგაცდინა! ცოლიო, ამბობ? ასე-
თები ხართ ქალები. რას არ მოიგონებთ. გა-
მოდის ის კოცნა, სწორედ აქ, ბაღში...

სიუზანი: გრაფინიას ერგო წილადა.

ფიგარო: პაუის კოცნა?

სიუზანი, სიცილით: გრაფს.

ფიგარო: იმდღევანდელი? სავარძლის
უკან, რომ... ის ვიდას ერგო?

სიუზანი: ჰაერს.

ფიგარო: დარწმუნებული ხარ?

სიუზანი, სიცილით: ფიგარო, როგორ ვერ
ხვდები, ალიყურების წვიმა მოდის.

ფიგარო, ხელზე კოცნის: შენი ყოველი ალი-
ყური, ჩემთვის... ისე რა, მხოლოდ სიამოვ-
ნებაა. გრაფისა კი რა მოგახსენო, მძიმე ხე-
ლი აქვს.

სიუზანი: კუდს ყავარზე ნუ გაიდეგ. პატი-
ება მთხოვე!

ფიგარო, ასრულებს იმას, რასაც ამბობს: გე-
მორჩილები. მუხლებზე დავიჩოქოთ, თავი
მოვიდრიკოთ, მინაზე განვეერთხოთ,
მტვერს შევერიოთ!

სიუზანი, სიცილით: ო, საბრალო გრაფი! რა-
რიგ ირჯება...

ფიგარო, მუხლებში გამართვას ცდილობს:
მხოლოდ იმისთვის, რომ საკუთარი ცოლი
აცდუნოს!

მეცხრე სცენა. გრაფი, გამოჩნდება სცე-
ნის სიღრმეში, ფანჩატურისკენ მიემართება,
ფიგარო, სიუზანი

გრაფი, თავისთვის: მთელი ბალი ამაოდ შე-
მოვიარე, შეიძლება ფანჩატურში იმალება.

სიუზანი, ფიგაროს ჩუმადა: ის არის.

გრაფი, კარს აღებს: სიუზან, აქ ხარ?

ფიგარო, ჩუმადა: მას ეძებს, მე კი მგონია...

სიუზანი, ჩუმადა: ვერ იცნო.

ფიგარო: გსურს, ერთხელ და სამუდამოდ წირვა გამოვუყვანო? (ხელზე კოცნის.)

გრაფი, შემოტრიალდება: მამაკაცი გრაფინი-ას ფერხთით. იარაღი უნდა წამომეღო. (ახლოვდება.)

ფიგარო, წამოიშარტება, ხმას იცვლის: პატიებას გთხოვთ, ქალბატონო. აზრადაც არ მომსვლია, რომ ჩვენი შეხვედრების ადგილს საქორწილო ზეიმისთვის ამზადებდნენ.

გრაფი, თავისთვის: ეს კაცი დღეს დილით მის სააბაზანოში იმალეობდა...

ფიგარო, აგრძელებს: ...თუმცა, ეს მცირე უხერხულობა, მერწმუნეთ, ჩვენს სატრფიალო სიამტკბილობას ხელს ვერ შეუშლის.

გრაფი, თავისთვის: ეშმა, სატანა, ბოროტი სული!..

ფიგარო, სიუზანი ფანჩატურის კენ მიჰყავს, ხმა დაბლა: რაღაცას ბუზღუნებს. (მერე ხმამაღლა) იჩქარეთ, ქალბატონო, ის უსიამოვნებები ავანაზღაუროთ, რაც თავს გადაგვხდა, როდესაც ამ დილით, ფანჯრიდან ვისკუპე...

გრაფი, თავისთვის: ოჰო, ყოველივეს ნათელი ეფინება!

სიუზანი: სანამ შევალთ, ერთიც მივიხედ-მოვიხედოთ, ვინმე ხომ არ აგვედევნა. (ფიგარო შუბლზე კოცნის.)

გრაფი, ყვირის: შურისძიება! გაზღვევინებთ! (სიუზანი იმ ფანჩატურში იმალება, რომელშიც ადრე ფანშეტი, მარსელინი და ქერუბინო შევიდნენ.)

მეთე სცენა. გრაფი, ფიგარო, გრაფი ფიგაროს მკლავზე წაავლებს ხელს.

ფიგარო, ვითომდა შეშინებული: გრაფია!
გრაფი, იცნობს ფიგაროს: ა, ეს შენ ხარ, ნაძირალავ?! ეჰეი, მოგვხედეთ!

მეთერთმეტე სცენა. პედრილიო, გრაფი, ფიგარო

პედრილიო, ჩექმებში: ძლივს მოგაგენით, თქვენო ბრწყინვალეზავ.

გრაფი: პედრილიო, შენ ხარ? ძალიან კარგი. არვინ გახლავს?

პედრილიო: ეს-ეს არის, სევილიიდან გეახელით, ცხენს ლამის არაქათი გავაცალე.

გრაფი: მომიახლოვდი, ფილტვები დაბერე და ხმამაღლა იყვირე.

პედრილიო, მთელი ხმით ყვირის: პაუის ნასახიც არსად არის! ეს გზავნილი კი თქვენ! **გრაფი**, ხელს ჰკრავს: ნამდვილი პირუტყვი ხარ!

პედრილიო: თქვენო ბრწყინვალეებავ, თვითონვე მიბრძანეთ, რაც შეიძლება ხმამალა იყვირეო.

გრაფი, ფიგაროს ხელს არ უშვებს: ვინმეს უნდა მოვუხბმო! ეი, თქვენ აქეთ, ჩემკენ! სწრაფად!

პედრილიო: მე და ფიგარო თქვენ გვერდით ვართ, შიში ნუ გექნებათ. აბა, ისეთი რა უნდა მოხდეს?

მეთორმეტე სცენა. იგივენი, ბრიდ-უაზონი, ბართოლო, ბაზილი, ანტონიო, გრიპ-სოლეი, სტუმრები ჩირალდნებით

ბართოლო, ფიგაროს: ხომ ხედავ, პირველივე დაძახებაზე...

გრაფი, ფანჩატურს უთითებს: პედრილიო! კარს უდარაჯე! (პედრილიო კართან მიდის.)

ბაზილი, ფიგაროს, ჩუმად: სიუზანთან ერთად გამოიჭირე?

გრაფი, უთითებს ფიგაროს: თქვენ კი, ვასალ-ნო ჩემნო, ეს კაცი ალყაში მოაქციეთ, ხე-

ლიდან თუ დაგისხლტათ, ვერ გადამირჩებიო.

ბაზილი: კარგი საქმეა, ღმერთმანი! **გრაფი**, განრისხებული: ხმა-კრინტი! (ფიგაროს, ცივი ტონით) თქვენო ღირსეებავ, იქნებ ინებოთ და კითხვებზე მიპასუხოთ!

ფიგარო, მკვახედ: თავის დაძვრენას არ ვაპირებ. ყოვლის მფლობელი ბრძანდებით, საკუთარი თავის გარდა.

გრაფი, თავს იკავებს: საკუთარი თავის გარდა?

ანტონიო: ლაზათიანად შეამკო!

გრაფი, გაფიცებული: ლამისაა ჭკუა გადამეკეტოს, ეს კი ვითომც არაფერიო.

ფიგარო: განა ჯარისკაცები ვართ, რომლებიც რაღაც აუხსნელი მიზეზის გამო ან კლავენ, ან თავს აკვლევინებენ? იქნებ გამაგებინოთ, რის გამო უნდა განვრისხდე?

გრაფი, წონასწორობადაკარგული: გაშმაგებას ცოტა მაკლია! (თავს იკავებს.) მომისმინეთ, პატივცემულო. მართალია, თავს იკატუნებოთ, აქაოდა არაფერი ვიციო, არაფერი გამიგიაო, მაგრამ იქნებ იკადროთ და გაგვანდოთ იმ ქალბატონის ვინაობა, რომელიც ეს-ეს არის ფანჩატურში გაიყოლეთ.

ფიგარო, განზრახ მეორე ფანჩატურს მიუთითებს: იმ ფანჩატურს გულისხმობთ?

გრაფი, ნაჩქარევად: არა, აი, ამას.

ფიგარო, ცივად: ეს სულ სხვა საქმეა. ერთი ქალიშვილი ვიახლე, რომელიც განსაკუთრებით განენყო ჩემდამი.

ბაზილი, გაკვირვებული: ესეც ახალი ამბავი!

გრაფი, ნაჩქარევად: ხომ გაიგონეთ, ბატონებო?

ბართოლო: დიახ, გავიგონეთ.

გრაფი, ფიგაროს: იმ ქალიშვილს სხვა ვალდებულება ხომ არ აკისრია, რომელიც თქვენთვისაც ცნობილი უნდა იყოს?

ფიგარო, ცივად: მხოლოდ ის ვიცი, რომ მავანი დიდებული ერთ დროს თვალებს უყუყუნებდა, მაგრამ არ ვუნყი, რის გამო დაშორდნენ – იქნებ აშკიმა გული აიცრუა, ან იქნებ თვით ქალიშვილმა ჩემთან ყოფნა ირჩია. ერთი კი ცხადია, დღეს ქალიშვილი ჩემ გვერდითაა.

გრაფი, ცოცხლად: თქვენთან... (თავს შეიკავებს.) ყოველ შემთხვევაში, გულწრფელობას ვერ დაუნუნებ. ის რასაც ამბობს, ვფიცავ, ბატონებო, უფრო ადრე, სწორედ მისი თანამზრახველი ქალიშვილისგან მოვისმინე.

ბრიდ-უაზონი, გაოგნებული: თანამზრახველისგან?

გრაფი, რისხვით: მაშ ასე, რადგან შეურაცხყოფა საჯაროდ მომაყენეს, შურისძიებაც ყველას თვალწინ უნდა აღსრულდეს. (შედის ფანჩატურში.)

მეცამეტე სცენა. იგივენი, გრაფის გარდა

ანტონიო: რაც მართალია, მართალია.

ბრიდ-უაზონი, ფიგაროს: ბოლოს და ბოლოს, ვინ ვის და-ასტყუა ცოლი?

ფიგარო, იცინის: მსგავსი სიამოვნება არავის რგებია წილად.

მეთოთხმეტე სცენა. იგივენი, გრაფი და ქერუბინო

გრაფი, ფანჩატურში, იქიდან ვიღაცას გარეთ მოათრევს: ამაოდ ფართხალებთ. სასჯელს ვერ გადაურჩებით, ქალბატონო. თქვენი განკითხვის ჟამი დადგა! (უკან მიუხედავად გამოჰყავს) რა ბედნიერებაა, რომ ჩვენი უკულმართი კავშირი არაფერს მავალდებულებს.

ფიგარო: ქერუბინო!

გრაფი: ჩემი პაჟი?

ბაზილი: აი, ესეც ოინი!

გრაფი, თავისთვის, ბრაზით: ეს წყეული პაუი მუდამ ფეხებში მეზღანდება. (ქერუბინოს) იქ რას საქმიანობდით?

ქერუბინო, რიდით: თქვენი ბრძანების თანახმად, ვიმალებოდი.

პედრილიო: ამისთვის ცხენის სიკვდილის პირას მიყვანა არ ღირდა.

გრაფი: წადი, ანტონიო და ის ქალბატონი, რომელმაც ლაფი დამასხა, მოსამართლეს მიჰგვარეთ.

ბრიდ-უაზონი: გრაფინიას ეძე-ებთ?

ანტონიო: ეშმაკმა დალახვროს. ამქვეყნად სამართალი მაინც არსებობს. თქვენ, თქვენო ბრწყინვალეებავ, იმდენი რამ ავი მოიძოქმედეთ ჩვენს მხარეში, რომ დროა თქვენც...

გრაფი, გაცოფებული: წადი-მეთქი! (ანტონიო ფანჩატურში შედის.)

მეთხუთმეტე სცენა. იგივენი, ანტონიოს გარდა

გრაფი: ახლა კი ბატონებო, თავად დარწმუნდებით, რომ ფანჩატურში პაუი მარტო არ იყო.

ქერუბინო, შიშით: ო, რარიგ დაითრგუნებოდა სული ჩემი, მის ტანჯვა-წამებას საღებუნად მავანი არსების სიკეთე რომ არ დასდებოდა.

მეთექვსმეტე სცენა. იგივენი, ანტონიო, ფანშეტი

ანტონიო, ვილაცას მოათრევს: აქეთ მობრძანდით, ქალბატონო, რადგან ყველასთვის ცნობილია, რომ იქ შეხვედით, იქიდან გამოსვლასაც ნუ მოერიდებით.

ფიგარო, წამოიძახებს: დაიკო!

ბაზილი: მოდი და ნუ გაოცდები! ესეც ახალი ამბავი!

გრაფი: ფანშეტი!

ანტონიო, შემობრუნდება და შეჰყვირებს: ჯანდაბა! თქვენ რა, თქვენო ბრწყინვალეებავ, განგებ გამგზავნეთ, რომ ყველას ეხილა ჩემი სირცხვილი? მთელი ეს აურზაური ჩემი ქალიშვილის გამო ატყდა?

გრაფი, ბოლმით: საიდან უნდა მცოდნოდა, რომ იქ იმალებოდა? (ფანჩატურში შესვლას აპირებს.)

ბართოლო, წინ გამოდის: მაპატიეთ, თქვენო ბრწყინვალეებავ, მაგრამ აქ რაღაც ისე არ არის. მე უფრო გულცივი გახლავართ. (შედის ფანჩატურში.)

ბრიდ-უაზონი: ესეც ერთი ჩა-ახლართული საქმე!

მეჩვიდმეტე სცენა. იგივენი და მარსელინი

ბართოლო, ვილაცას ელაპარაკება ფანჩატურში, გამოდის: ნუ შიშობთ, ქალბატონო, გპირდებით, ვერავინ ვერაფერს დაგიშავებთ. (შემობრუნდება და წამოიყვირებს.) მარსელინი! **ბაზილი:** ერთი ამას დამიხედეთ!

ფიგარო, სიცილით: სასწაულია პირდაპირ! დედაც იქ ყოფილა?

ანტონიო: როდის მორჩება ეს დავიდარაბა?

გრაფი, გაბრაზებით: ეს მე არ მეხება! გრაფინია...

მეთვრამეტე სცენა. იგივენი და სიუზანი, რომელიც სახეს მარაოთი იფარავს.

გრაფი: აი, ისიც! (უხეშად წაეტანება მკლავზე) ბატონებო! თქვენი აზრით, რას იმსახურებს საზიზღარი...

სიუზანი თავს ხრის და მუხლებზე ეცემა.

გრაფი: არა, არა!

ფიგაროც, სიუზანის გვერდით, მუხლებზე ემხობა.

გრაფი, უფრო მკაცრად: არა! არა!

მარსელინი ფეხებში ჩაუვარდება გრაფს.

გრაფი, ისევ ისე მკაცრად: არა! არა!

ყველანი, ბრიდ-უაზონის გარდა, მუხლს იდრეკენ.

გრაფი, რისხვით: ასჯერ მეტიც რომ იყოთ, არაფერი გამოგივათ.

მეცხრამეტე სცენა. იგივენი და გრაფინია, რომელიც მთორე ფანჩატურიდან გამოდის.

გრაფინია, მუხლებზე ეცემა: მეც მიმათვალეთ!

გრაფი, შეჭყურებს ჯერ გრაფინიას, მერე სიუზანს: ამას რას ვხედავ!

ბრიდ-უაზონი, ხარხარებს: ღმერთს ვფიცავ, გრა-აფინიაა.

გრაფი, გრაფინიას წამოყენებასურს: როგორ, ეს თქვენ იყავით, გრაფინია? (მონანიე ტონით) მხოლოდ სულგრძელი შენდობა...

გრაფინია, სიცილით: ჩემს ადგილზე რომ იყოთ, არაო, დაიჩემებდით. მე კი დღეს უკვე მესამედ გპატიებთ, თან უპირობოდ.

სიუზანი, წამოდგება: მეც.

მარსელინი, წამოდგება: მეც.

ფიგარო, წამოდგება: მეც. ო, როგორი ექოა, ხმადაბლა ვილაპარაკოთ. (ყველანი დგებიან.)

გრაფი: ექო! ამათი მოტყუება განვიზრახე, მაგრამ ბავშვივით გამაცურეს.

გრაფინია, სიცილით: არ დაიდარდოთ, გრაფ! **ფიგარო,** ქუდით მუხლისთავებს იბერტყავს:

ისეთი დღეა, რომ გსურს თუ არა, განაფუ-
ლი დიპლომატი გახდები.

გრაფი, სიუზანს: ქინძისთავით შეკრულ ბა-
რათზე რას იტყვი?

სიუზანი: გრაფინიამ მიკარნახა.

გრაფი: თუ ასეა, პასუხსაც მას მოვახსენებ.
(გრაფინიას ხელზე ეამბორება.)

გრაფინია: თითოეულს ღვანლისდა მიხედ-
ვით. (ქისას ფიგაროს უწვდის, ბეჭედს კისიუზანს.)

სიუზანი, ფიგაროს: აი, კიდევ ერთი მზითვი!
ფიგარო, ქისას შეათამაშებს: სამმა ადამიან-
მა დაგვასაჩუქრა. ყველაზე ძნელად მოსა-
პოვებელი ეს უკანასკნელი აღმოჩნდა.

სიუზანი: ჩვენი ქორწილისა არ იყოს.

გრიპ-სოლეი: პატარძლის წვივსაკრავი
როგორ მოვიხელთოთ?

**გრაფინია, საკინძიდან ბაფთას ამოიღებს და მი-
წაზე მოისვრის:** წვივსაკრავი გნებავთ? კაბას-
თან ერთად ინახავდა. აი, ისიც. (სტუმრებს
შორის გაბნეული ბიჭები ბაფთას მივარდებიან.)

**ქერუბინო, სხვებზე უფრო მარჯვე, ბაფთას ხელთ
იკადებს:** აბა, ვინმემ სცადოს და წამართვას!

გრაფი, პაუსსიცილით: ეს რა ბუტია ყოფილხართ!
სილა რომ გაგანნეს, მახსოვს, იცინოდით.

ფიგარო, უკან იხევს და დაშნას ქარქაშიდან ამო-

წევს: ის ალიყური მე მომხვდა. ასეთია დი-
დებულის სამართალი.

გრაფი, სიცილით: ლოყა შენ აგენვა? ჰა-ჰა-
ჰა, როგორ მოგნონთ, გრაფინია?

**გრაფინია, ფიქრისგან გამოერკვევა, გრძნო-
ბით:** დიახ, დიახ, გრაფ, სიცოცხლის ბო-
ლომდე, ვფიცავ, უსაზღვროდ...

**გრაფი, მოსამართლეს მხარზე ხელს წამოარ-
ტყამს:** თქვენ რაღას იტყვით, ბრიდ-უაზონ?

ბრიდ-უაზონი: იმის თაობაზე, რასაც საკუ-
თა-არი თვა-ალით ვხედავ? ჩემი აზრი თუ
გაინტერესებთ, არც კი ვიცი, რა ვთქვა-ა.
მეტს ვერაფერს ვიტყვი.

ყველანი: რა ბრძნულად განსაჯა!

ფიგარო: ღარიბი ვიყავი და ყველა ათვალ-
წუნებით მიყურებდა. მეც ჭკუა არ მეყო და
სიძულვილმა მძლია. ლამაზი ცოლი და სიმ-
დიდრე...

ბართოლო, სიცილით: ყველას შენკენ გად-
მოიბირებს.

ფიგარო: ასე გგონია?

ბართოლო: ადამიანის გულს კარგად ვიცნობ.

ფიგარო, მაყურებელს თავს უკრავს: ყველას
შემოვირიგებ... ცოლს და ქონებას არვინ
შემეცილება... ყველანი მეტი კრძალვით და

პატივით მომეპყრობიან და მეც მათი თავაზიანობით, მერწმუნეთ, ძალზედ გავიხარებ. (უკრავს მუსიკა.)

ვოდევილი

პირველი კუპლეტი

ბაზილი

საქმე გასრულდა კეთილად,
დაიმსხვრა ძველი მითები,
მოხერხებული კაციისთვის
ჰა, საცოლედ და მზითვები.
ვერას ივარგებს პაუი,
ვერას გახდება გრაფი,
მოიგებს, ხერხი ვინც იცის,
კაცი გაქნილი, სწრაფი.

ფიგარო

ვიცი... (მღერის.)

Gaudeant bene nati.

ბაზილი

არა... (მღერის.)

Gaudeat bene nanti.*

* ფრანგულ-ლათინური სიტყვები: „ბედნიერნი არიან კარგ ფეხზე დაბადებულნი“ (ლათ. gaudeant bene nati) და „ბედნიერნი არიან მდიდრები“ (ლათ. gaudet bene nanti).

მეორე კუპლეტი

სიუზანი

ქმრის ლალატი სხვების თვალში
თამაშია, ხუმრობა,
ცოლს კი – მხოლოდ ჯოჯოხეთი,
თუ დაკარგა ქმრის ნდობა.
სამართალი სად ვეძებოთ?
ვის მივანდოთ ბედი ცოლის?
რა თქმა უნდა, ის ზეიმობს,
ვისი ქისაც გადაწონის.

მესამე კუპლეტი

ფიგარო

ჟანმა, ოჯახის მოყვარემ,
ერთ დღეს იყიდა ძალღი.
რათა დაეცვა მეუღლე
და ორი თოთო ბაღღი.
ღამით აღვიძებს ხმაური,
დარდისგან გული მისდის...
ცოლი საყვარელს ეხვევა,
ძალღი კი ტყისკენ გარბის...

მეოთხე კუპლეტი

გრაფინია

ცოლის ერთგული ქმარი
ძილში ოხრავს და ბოდავს,
ვინც რომ ღალატზე ფიქრობს,
ისიც სიზმარში სცოდავს.
საკუთარ კერას ვინც უვლის,
მას არ სჭირდება ფიცია.
ოჯახის ერთგულს უმართლებს,
ეს ყველამ კარგად ვიცით.

მეხუთე კუპლეტი

გრაფი

არ მიყვარს ქალი, ერთგულებას რომ იფიცება.
ორსახოვანი მირჩევნია, ფლიდი, ორგული,
ქმარიც უყვარდეს, ვინ დაუშლის, მისი საქმეა,
და არც საყვარელს, გახელებულს, ატკინოს
გული.

მეექვსე კუპლეტი

მარსელინი

კარგად ვუნყით, დაბადებას
ვუმაღლოდეთ უნდა დედას,
თუ შესცოდა რომელიმემ,
დააჭირეთ კბილი ენას.

ფიგარო, აგრძელებს მარსელინის სიმღერას.

ერთსაც გეტყვით, მისმინეთ.
სხვას გონებით რომ სჯობდეთ,
ოქროს პოვნას, მერწმუნეთ,
შვილის პოვნა გიჯობდეთ.

მეშვიდე კუპლეტი

ცხოვრებაში ასეა, ვერც ვერაფერს გაანყობ,
ერთი ტყეში ათენებს, მეორე კი ოქროში,
დაბადება – შემთხვევაა, მთავარია – გონება,
ერთი ადის მწვერვალზე, სხვა ვარდება
ორმოში.

მერვე კუპლეტი

ქერუბინო

ძვირფასო მოდგმავ, მშვენიერო და
თვალწარმტაცო,
შენს სათნოებას ლამაზ ჰანგზე ვუმღერე ქება...
ვერც ვერას ვხედავ, დაოსებულს
წამერთვა სმენა,
მაგრამ უშენოდ ამ მიწაზე რა მესაქმება.
მაყურებელსაც ვსაყვედურობ, წყენამ
დამძლია,
თუმც მის გარეშე ვერ ვიარსებებ, არ შემიძლია.

მეცხრე კუპლეტი

სიუზანი

ჩვენი აზრი და ხუმრობა მსურს გაიგოთ,
მეგობრებო:
სამყარო და თვით ბუნება ასე არის
მონყობილი!..
და ცხოვრებას, დამერწმუნეთ,
ალამაზებს ორი ძალა -
სალი გონი, ცოტაც ჭორი, პიესაში
თანწყობილი.
მოკვდავია ხელმწიფე,
მარად ცოცხლობს ვოლტერი.

მეათე კუპლეტი

ბრიდ-უაზონი

იმ პი-იესებში, ჩვენ რომ ვუ-უყურებთ,
თითქმის ყო-ოველდღე, თითქმის
ყო-ოველთვის,
მა-აყურებელი გმი-ირებს ტაშს უ-უკრავს,
„აი, ეს მე-ე ვარ“ - ბევრი ა-ასე თვლის.
არის კა-ამათი, ინილ-ბი-ინილო,
ზედახო-ორა და დავიდა-არაბა.
ბოლოს სი-იმღერა, ფა-არდის და-აშვეება,
ჩვე-ენი თე-ეატრი ხუ-ურავს და-არაბას.

ბალეტი

მეხუთე, ანუ ბოლო მოქმედების
დასასრული